

ჩვენთან არს ღმერთი!



ჯვარი კაბილი. 3. 1991

გამოგრძელდა გაღლი ზენ. თავასა
ზენა და უკველი ვებორპრეზელი გი-
გალობრთ ზენ: ზენ ვფუნდობაი გოგი
ჩურ, კრისტი, ლეიხოო ჩურ.



საქართველოს არს ღმერთი!

ჯუვარი ვაჟაპესა

3
1991

დაიგვერდა
სრულიად სახართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის,
უცხოებენისა და უცხოარების,
იღია გვორის
ლვაზლითა და ლოცვა-კურთხველთ.

თავისით

1991



ლვთისშეტყველება

გრიგოლ ნოსელი

ძაღლება 67-ე ფსალმური ამაღლებისათვის

ჩა მშენიერი თანამგზავრია ჩვენი კაცობრივი ცხოვრების გზაზე დავით წინასწარმეტყველი, სვლის ჩა წერტილშიც უნდა შემოხვდეთ მას. იგი სუუცხოოდ ერწყმის მათ, ვინც შეუპოვარია სულიერ გზაზე, იგი თანამშრომლობს ყველა მოზარდთან - სულიერი ზრდის ყოველ საფეხურზე! სულიერად ყრმათ იგი ეთამაშება, ხოლო მოწიფულთ ბრძოლაში შეეწევა. ყმაწვილთ განსწავლის და ხანდაზმულთ ამხნევებს. იგი ყველასათვის ყველაფერია: მებრძოლთათვის თუ საჭურველია, ათლეტთათვის - მწვრთნელია, ტანქმოვარჯიშეთათვის - პალესტრი, მძლეველთათვის - გვირგვინი. ლინგში თუ სიხარულია, ჭირში ნუგეშის მომცემია. მისი მაღლი არც ერთ ცხოვრებისეულ მოვლენას არ აკლდება. განა არსებობს ნაყოფიერი ლოცვა დავითის თანამშრომლობის გარეშე? ანდა, წარმოსადგენია მედლესასწაულებ იგრძნოს დღესასწაულის სიხარული, თუ წინასწარმეტყველი არ განადიდებს მას?

დღეს სწორედ ამის მოწმენი ვხდებით. ამ დღესასწაულის ისედაც დიდებული საგანი წინასწარმეტყველმა კიდევ უფრო განადიდა, მოუტანა ჩა მის უმთავრეს საღვთისმსახურო ნაწილს მისადაგებულ ფსალმუნთა სიხარული.

„უფალმან მმწყსოს მე“. ერთ-ერთი მათგანი¹ გიშვევს გახდე ცხვარი, რომელსაც ღმერთი მიუძლვება საძოვარზე. ასეთს არაფერი არ აკლდება; არც საძოვრის ბალახი, არც სულისმოსათვებელი წყლები, არც საკედები, არც ჭერი; არც სავალი გზები და არც წინამძლოლი. კეთილი მწყემსი გა-სარგებლებს ყოველივე ამით; იგი მაღლს ანაწილებს და უსაღაგებს ყოველგვარ მოთხოვნილებას. ამგვარია ეკლესის მოქმედების წესი. იყავ, უწინარეს ყოვლისა, კეთილი მწყემსის ცხვარი. კარგი კატეხიზმო ღვთიური საძოვრებისკენ და მოძლვებებათა სათავეთაკენ გაგიძლება. შემდგომ კი სიკ-ვდილად თანადაუფლვი უფალს მისი ნათლისლების საშუალებით. ნუ შეუშინდები ამ სიკვდილს, რადგანაც არის არა სიკვდილი, არამედ მხოლოდ აჩრდილი და სახე სიკვდილისა. „ვიდოდილათუ შორის აჩრდილთა სიკვდილისათა, არა შემეშინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ ჩემთანა ხარ“ (ფს.22,4). ამის შემდეგ ნუგეშცემული იქნები სულიწმიდის კვერთხით. სული - ნუგეშისმცემელია. იგი შენს წინაშე დადგამს საიდუმლოთა ტაბლას, განმზადებულს დემონთა ტაბლის პირისპირ. ეს ის დემონებია, კაცთა ცხოვრებას კერპთაყვანისმცემლობით რომ ზღუდავენ. სულის ტაბლა მათ წინაალმდევ აღიმართება. შემდეგ ეკლესია თავზე სულის სურნელოვან ზეთს გცხებს, ამას დაუ-მატებს ღვინოს, გულის გამხარებელს (შდრ.ფს.103,15) და სულისათვის იმ ანკარა თრობის მომგვრელს, ფინქრებს წარმავლობიდან რომ მოაქცევს და მარადისობისაკენ მიაპყრობინებს. ამგვარი

1 22-ე ფსალმუნი

თრობის განმცდელი კაცი ყოველივე ხანიერს უსასრულო ხანგრძლივობაზე ცვლის და ცხოვრებას აგრძელებს იმ „დღეთა განგრძობამდე“, რაც უფლის სახლში გამოიცდება.

ერთმა ფსალმუნბა ამგვარ ფიქრთა სიამე მოგვანიჭა. იგი სულს აღვიძებს იმ უფრო დიდი და სრულყოფილი სიყვარულის მისაღებად, რომელიც მას მომდევნო ფსალმუნიდან მოევლინება. თუკი კეთილად გიჩნთ, სულ რამდენიმე სიტყვით გადმოვცეთ იგი მისა მნიშვნელობის გამოსარკვევად.

„უფლისად არს ქვეყანა“

„უფლისად არს ქვეყანად და სავსებაშისი“ (ფს. 23,1). ადამიანო, რად გეუცხოება, რომ ჩვენი ღმერთი გამოჩნდა ქვეყანაზე, და, რომ მან იცხოვრა კუცთა შორის. განა მან არ შექმნა ქვეყანა? განა იგი მისი შემოქმედება არ არის? რა არის წარმოუდგენელი ან შეუსაბამო იმაში, რომ სამკვიდრებელის პატრიონი მოვიდეს მის მოსანახულებლად? ეს სამყარო მისთვის არ არის უცხო, თავად გამოსახა იგი. მან ზღვებზე დააფუძნა ხმელეთი და იზრუნა, რათა იგი კეთილად განელაგებინა მდინარეების გასწვრივ. გამოგტაცა რა ცოდვათა მორევიდან, მას სურს თავის მთაზე აგიყვანოს. ამ მთას აივლი სამეუფო ეტლით - სათნო ცხოვრებით. შეუძლებელია მისი დაძლევა, თუ თან სათნოებათ არ იახლებ. იყავი სულით უბიშო, ნურცერთი უმსგავსო ქცევა ნუ შესვრის მას; იყავი გულით წმიდა; განაშორე სული უსარგებლოს, ნუ დაუგებ მოყვასს მახეს. ამ აღმასელის ჯილდოდ უფლის კურთხევა გელის. ეს შეველა მას შემონახული აქვს შენთვის. „ესე არს ნათესავი, რომელი ეძიებს უფალსა“, ნათესავი, რომელსაც სათნოების ძალით შეუძლია სიმალეებზე ასვლა. „ესე არს ნათესავი, რომელი ეძიებს ხილვად პირსა ღმრთისა იაკონისა“ (ფს. 23,6).

„აღეხუნით ბჟენი საუკუნენი“

ფსალმუნის მომდევნო ნაწილის სწავლება ალბათ უფრო ამალლებულია, რაკი უფრო სახარებისეულია. მართლაც, რას გვასწავლის სახარება, თუ არა უფლის ქვეყანად ცხოვრებას და მის ზეცად ამალლებას. ეს ღიდი წინასწარმეტყველი, თითქოს მას სხეულის წონა არ აბრკოლებდეს, თავის თავზე მაღლდება, შეერთვის ზემიწირ ძალთა დასს და ჩვენამდე დაწვრილებით მოაქვს იქაური სიტყვები. ქვეყანად მომავალი უფლის მხლებელი ძალები ხმას აწვდინ დედამიწის გარშემო მყოფ ანგელოზებს, რომელთაც კაცთა სვე-ბედი აბარიათ, და ამ უკანასკნელთ აჩქარებენ, რომ განუხვნან ბჟენი. ისინი ამბობენ: „აღახუნით ბჟენი თქვენნი მთავარნო, და აღეხუნით ბჟენი საუკუნენი და შევიდეს მეუფე. დიდებისად“ - ის, ვინც ყოველივეს თავისთავში მოიცავს, სადაც არ უნდა იყოს, უტოლდება თავისსავე დამხვედრს. ადამიანთან ადამიანი, ანგელოზთა გარემოცვაში ანგელოზურ ბუნებას იღებს და მათ დონეზე დგება. ამიტომაც კითხულობენ მეკარენი: „ვინ არს ესე მეუფე დიდებისად?“ გათ მეწინავენი აგებინებენ, რომ მოდის თავად ის - ძლიერი, ბრძოლაში შეუდრეკელი; იგი შეებრძოლება ადამიანური ბუნების დამატყვევებელს, მალე დაარღვევს მას, ვისაც აქვს სიკვდილზე ხელმწიფება (შდრ. ებრ.2,14). ოდეს მოწყდება ეს ბოლო მტერი, ადამიანთა მოდგმა კვლავ მოხმობილი იქნება თავისუფლებისა და მშვიდობისაკენ.

ისევ გაისმის იგივე სიტყვები. სიკვდილის საიდუმლო უკვე აღსრულდა, მტრები ძლეულ იქმნენ და მათ წინააღმდევ ალიმართა ჯვარი, როგორც ნიშანი გამარჯვებისა. „აღპხედ მაღალსა, წარმოსტყუნე ტყუუ“ (ფს.67,18). კაცთ ებოძა ცხოვრება და მეფობა, ეს ორი საზეპურო ნიჭი. ახლა კვლავ უნდა განალონ მისთვის ზენა კარნი. მცველთ ადგილი უნდა მიუჩინონ სამეუფეო ამალაში და ზენა კარნი გაახსნევინონ, რათა მეუფე მათ შორის კვლავ განდიდებულ იქნეს, მაგრამ ისინი ველარ სცნობენ მას: იგი გამოხვეულა ჩვენი ცხოვრების შესვრილ სამოსელში, რომელიც

გაწითლებულა ადამიანის ცოდვათა საწურში გამოვლის გამო. ამჯერად, მათგან მოისმის კითხვა: „ვინ არს ესე მეუფე დიდებისაჲ?“ ხოლო პასუხია არა – „უფალი ძლიერი ბრძოლასა შინა“, არამედ „უფალი ზეციურთა ძალთად“, თავად ის, ვინც ხელმწიფება მოიპოვა მთელ სამყაროზე, ვინც ყოველივე განაახლა თავის პიროვნებაში; თავად იგია, ვისაც ყველაფერში უპირატესობა აქვს, და ვინც ყველაფერი აღადგინა თავის პირველყოფნაში. აპა, მეუფე დიდებისა .

აი, რაოდენი შექმატა დავითმა დღესასწაულის მომხიბვლელობას, ეკლესიის ბრწყინვალებას შეუზავა რა პირადი მადლი. ჩვენც, შეძლებისამებრ, ღვთის სიყვარულში, წინასწარმეტყველს მივბაძოთ წინსვლით, თავმდაბალი ცხოვრებით, მოძულეთა მიმართ სულვრელობის გამოჩენით. ამგვარად, წინასწარმეტყველის სწავლება ხელს ჩაგვკიდებს და ასე მიგვიყვანს ცხოვრებად უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ, დიდება მას უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ფრანგულიდან თარგმნა თამარ ჯაყლმა.



მარჯუენედ შენი, უფალო, დიდებულ არს ძალითა და მკლავი შენი - საკურველი მოქმედებითა, რომელმან იხსნა ნათესავი კაცთად წყალობით, რამეთუ დიდებით დიდებულ არს.

დოგმატური პროგლოგატიკა ბასილი დიდთან

ყველაზე თვალსაჩინო დამსახურება ბასილი დიდისა საკაცობრიო აზროვნების წინაშე არის მისი უშუალო მონაწილეობით ქრისტიანული დოგმატიკის რაფინირება. პირველ ყოვლისა, სწორედ დოგმატურ პროგლოგმატიკაზე მსჯელობისას გამომეუღლავნდა მისი ფილოსოფიური ნიჭიერება; და ყველაზე მეტად ამ სფეროში მოიხმარა მან თავისი ენციკლოპედიური განათლება, რომელიც იმდრონდელ მსოფლიოს ინტელექტუალურ ცენტრებში მოიპოვა (ათენი, კონსტანტინოპოლი).

დოგმატურ საკითხებზე გამლილ აზრობრივ მოლვაწეობაში ფილოსოფიური ტერმინოლოგიური გარკვეულობის შეტანის აუცილებლობას თვით ბასილიც აღნიშნავს. „დიალექტის ძალა დამცველი კედელია ქრისტიანული ღმრთისმეტყველებისათვის, დიალექტის ძალა არის მცველი კედელი დოგმატებისათვის, ის არ აძლევს საშუალებას ყველას, ვინც კი მოინდომებს, დაიტაცის ისინი“.

„როცა საჭირო იყო ერესებთან ბრძოლა და გმობათა გაქარწყლება უარყოფებით, ხშირად ვხმარობდი გამოთქმებს, რომლებიც არ არიან სამრთო წერილში, თუმც საწინააღმდეგონი არ არიან მისი ღმრთივსათნო აზრისა, მსგავსად მოციქულისა, რომელიც არ იყო უარზე, რომ ეხმარა ხშირად წარმართული გამოთქმებიც კი... სხვაა თავისი ბუნებით სიტყვანი სამხილებელნი და სხვა მქადაგებლური, სხვაა უბრალოება სამყაროსა, სადაც აღირებენ კეთილკრძალულებას და სხვაა შრომა იქ, სადაც უარყოფენ წინააღმდეგომთა ცრუსწავლებას“ (ბარსოვი ნ. „Вера и разум,” 1895, N1).

პოლემიკური ბრძოლა 1V საუკუნეში მიმდინარეობდა, პირველ რიგში, არიოზელთა წინააღმდეგ და გაშლილი კამათის საგანი იყო წმ. სამების არსის გარკვევა. არიანელებთან ბრძოლის ეპოქაში დოგმატურ სფეროში ორიგენეს წინააღმდეგ ბრძოლა ახალ ეტაპზე გადადის. არ იქნება სწორი, რომ ორიგენეს სუბორდინაციონიზმი უშუალოდ არიანობის ერესის წყრო დავინახოთ. მაგრამ უდავოა, რომ არადიკალურმა პასუხმა კითხვაზე, რომელიც დააყენა ორიგენეს ერესმა, საბოლოოდ განაგდო სუბორდინაციონალიზმი: ძე ღმრთისა თანასწორია მამისა, ამიტომ ღმრთაებრივი უპირატესობა მამა ღმერთს არა აქვს მხოლოდ. არსი ღმრთაებრიობისა ყოვლად წმინდა სამებისათვის საერთოა, ამიტომაც შემეცნება ღმრთისა კვლავ ინტელექტუალურია. არსი ღმრთისა აღარაა მარტივი უსია, რომელიც გონებათმეტყველობითი წვდომის საგანია, როგორც ეს ორიგენთან იყო. ის არის ზესრული არსი. თუ ორთოდოქსურ ეკლესიათა სწავლება მიემხრო წმ. სამების არსის შეუცნობადობას, ორიგენეს ინტელექტუალიზმი, რომელიც ამ პერიოდში, უარყოფილი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, შეზღუდულია, ნახულობს ნოყიერ ნიადაგს არიოზის სწავლებაში. არიოზისთვის ყოვლად მარტივი საღმრთო უსია არ უშვებს არანაირ განსხვავებას საღმრთო თვისებებისას. ასე გაგებულ სიმარტივეს აგნოსტიკიზმამდე უნდა მივეყვანეთ. არიოზი მართლაც თვით ძესაც არ ანიჭებს მამა ღმერთის შემეცნების შესაძლებლობას. აქ უკიდურესი სუბორდინაციონიზმია: მისი ბუნება რადიკალურად სხვაობს მამა ღმერთის ბუნებას და საღმრთო არსი მარტო მამა ღმერთს უიგივდება. მაგრამ არიანელობის უკიდურესი ფრაქცია, ანომიტელთა სახით, ღმრთის შემეცნების

გაფაქიზებული ინტელექტუალიზირებისკენ წავიდა. მაგ., არიოზელი ევნომი ქადაგებდა გნოსეოლოგიურ ოპტიმიზმს. არჩევდა სახელთა ორ ჯგუფს: ერთი, რომელიც ადამიანის გონების ნაყოფია და არსს ვერ წვდება და მეორე, რომელიც არსის წვდომით გამოირჩევა ანუ ობიექტური სახელები. საღმრთო სახელთაგან თუ აღმოჩნდა არსის გამომავლინებელი, ღმერთი სრულად შემეცნებული იქნება. ევნომმა ასეთი სახელი იპოვა კიდეც. ესაა „უშობელობა“ როგორც დაპირისპირება ძეს შობილობასთან და როგორც მხოლოდ მამა ღმერთის მარტივი საღმრთო უსის გამომაშეარავებელი სახელი. ამით კი ჩათვალა მისი შემეცნება დასრულებულად. ასეთი უკიდურესი ინტელექტუალიზმი ღმერთის შემეცნებაში ადგილს არ ტკოვებდა სარწმუნოებისათვის, ხოლო რელიგიას აქცევდა განკუნებული იდეებით მოლვაწე წმინდა რაციონალურ დიალექტიკად.

ამიტომ არსებითი შეიქმნა ევნომის წინააღმდეგ ბრძოლა. ეს, პირველ რიგში, ბასილი დიდმა ითავა. მან კრიტიკა მიმართა ფილოსოფიურ პლანში ევნომის შემეცნების თეორიის წინააღმდეგ. ყველა სიტყვა გონების პროდუქტია, მაგრამ ისინი მაინც შეიცავს რალაციას ამ სინამდვილის ობიექტურობიდან, მაგრამ რაც არ უნდა წვდეს სიტყვა არსს, მაინც რჩება შემეცნებადი მოცემულ საგანში. მეტადრე ეს შეიძლება ითქვას ღმერთის შემეცნებაზე. გამორიცხავს რა საგანთა არსობრივი შემეცნების უნარს, ბასილი დიდი არ დგას გნოსეოლოგიური პესიმიზმის პოზიციაზე. პირიქით, ამით ის ევნომის ინტელექტუალიზმებულ გალარიზმებულ სამყაროს უპირისპირებს მდიდარ სამყაროს და აზროვნების აქტიურობას. თანაც გამოთქვამს მთელი აღმოსავლური ღმრთისმეტყველებისათვის დამფუძნებელ აზრის, რომ საგანთა შემეცნება მხოლოდ აღამიანის გონების აქტივობას არ ეფუძნება, ღმრთის შემეცნება ამის გარდა გულისხმობს აქტიურობას თვით ღმერთის მხრიდანაც - ესაა საღმრთო გამოცხადებანი, არასაც საღმრთო წერილი გვაძლევს. ღმერთი ავლენს თავის თავს აქტიურობაში - თავის ენერგიებში. ვამტკიცებთ რა, რომ ჩვენ ვიმეცნებთ ღმერთს თავის ენერგიაში, არამც და არამც არ გპირდებით იმას, რომ მივუახლოვდებით მას თვით არსში, - წერს ბასილი.

ენერგიებზე ევნომიც საუბრობს, მაგრამ მისთვის ენერგიები არის გამოვლინება არა ღმრთის არსისა, რადგან მამა ღმერთი ძის გარდა უშუალოდ არაფერს არ ქმნის (ევნომის აზრით), ხოლო ძე განუზომელად სხვაობს მას, რადგან მამა უშობრელია და ესაა მისი არსი, ხოლო ძე შობილია. ქმნის ძე ღმერთი, ხოლო ენერგიები მას მინიჭებული აქვს ამ ქმნადობისათვის მამისაგან. ამიტომ „ენერგია - არაა გამოვლინება ღმრთისა - არამედ ეფექტია ქმნადობისა, ქმნილი მამის მიერ ძეში, თანაც მისგან ყოვლად განსხვავებულში“ (17.163). ამიტომ აქ გვაქვს სუბორდინაცია ძისა მამის მიმართ, ის ხდება იარალი მამის ხელში სამყაროს შესაქმნელად და ამის გამო მახინჯდება კიდეც არსი მტკიცებისა, რომ ძე არის მამის გამოვლინება. პირველი საუკუნეების ღმრთისმეტყველთა ეს აზრი (ძე გამოვლინება მამისა) კეშმარიტ შინაარსს ინარჩუნებს მხოლოდ ღმერთის სამგვამოვნებისა და ერთარსების პოზიციაზე დგომის შემთხვევაში. აქ ის ხდება აბსოლუტური გამოვლინება მამისა გარე სამყაროში - ქმნილ სამყაროში. ნიკეის შემდგომ ღმრთისმეტყველებაში ძე არის საერთო ერთარსი სამების თავისთავადი გამოვლინება, არაფრისალმი მიმართული; ამით მოინახა ობიექტური საფუძველი საღმრთო სახელთათვის, მაგრამ არსი ღმრთაებისა იქნა ალიარებული ტრანსცენდენტურად. სამების ურთიერთმიმართება (ენერგიების წვდომისდა მიუხედავად) აღემატება ჩვენს ბუნებრივ რაციონალურ უნარს, მაგრამ ძის განკაცების შემდეგ შესაძლებელია ნაწილობრივ მათი განკვერეტაც ამ შესაძლებლობის გამო. სამების ღმრთისმეტყველება გახდა უპირატესი ყველა სხვასთან შედარებით. თეოლოგიამ (ორიგენის გაგებით, რომელიც გაზიარებული იქნა მამების მიერ), როგორც ღმრთისმეტყველებამ მის ლოგოსში უპირატესობა მოიპოვა **ჭრის აუდიტორია** (ორიგენის ტერმინით) ანუ ყველანაირი ეკონომის წინაშე (მოძღვრებისა, რომლის საგანი იყო

სალმრთო გამოვლინება ქმნილ საგნებში - სალმრთო გნეგების, ქმნადობის, გამოსყიდვისა თუ განწმენდის თვალსაზრისით) სამების ღმრთისმეტყველება არის ღმრთისმეტყველება ღმერთთან სიკვარულის გზით შეერთებისა. სადაც სული წმიდაში ჩვენ ვტვრეტო სახეს ღმერთისას. ხოლო ძის გზით პირველსახეს - მამისა. ამიტომ ყოველი ჭვრეტა ღმერთისა სამმაგია: სული წმიდაში ძის გზით და მამის მიმართ (17.162-163).

განსაკუთრებით დიდი ღვაწლი ბასილისა, რაც მას ხდის მსოფლიო მამად, არის ნიკეის საეკლესიო კრებაზე მიღებული სამების დოგმატის ფილოსოფიური დაფუძნება. მოძღვრება კაბადოვიელთა სამების წევრთა ერთარსობის შესახებ ყველასთვის ერთია (ბასილი დიდი, გრიგოლ ღმრთისმეტყველი, გრიგოლ ნიკელი), მაგრამ განსხვავებულია ფილოსოფიური მხარე მათი სწავლებისა. მიუხედავად ამისა, მათი სამუშაო უპირატესად მაინც ტერმინოლოგიური იყო. წმ. ათანასე ალექსანდრიელის მიერ დაწყებული ბრძოლა „ერთარსობისთვის“ მათ გააგრძელეს, მაგრამ მანამდე არ იყო ზუსტი და აშკარად გამიჯნული ორი ძირითადი ღმრთისმეტყველური ტერმინი - არის და ჰიპოსტასი, რაც ბევრად აბუნდოვნებდა საკითხს. ჰიპოსტასი გაიგებოდა სიტყვასიტყვით, ლათინური სუბსტანციის აზრით, რაც სწორი თარგმანია. მათ ეს მიზანი შეასრულეს და გაარკვის ამ ორ ტერმინს შორის დამოკიდებულება: არის როგორც ზოგადი საფუძველი ყოველივე არსებულისა. ჰიპოსტასი - აღმნიშვნელი ინდივიდუალური არსებობისა, კონკრეტული რეალობისა. მათი ურთიერთმიმართება განისაზღვრება, როგორც დამოკიდებულება გვარეობრივი და სახეობრივი ცნებებისა, რაც ჰიპოსტასი განმასხვავებელი თვისებაა, რაც მას აძლევს გარანტიას დამოუკიდებელი ყოფიერებისა. არის უსია არის არსებობა ზოგადად, უთვისებო არსებულად. ეს ფილოსოფიური გენეზისი მომდინარეობს პორფირიდან. ამ აზრით კაბადოკიური ტერმინოლოგია არის გარკვეული აზრით ქრისტიანული გამართლება ნეოპლატონიზმისა (Киприан Арх. м. Золотой век святоотеческой письменности. Жизнь и учение Восточных отцов IV века. Paris, 5).

ბასილიმ თავისი ფართო განათლების გზით მოიზიდა არაქრისტიანული ფილოსოფიური აზრი წმ. სამების დოგმატის ნათელყოფის მიზნით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ გრიგოლ ნიკელი-დან დამკვიდრებულ ტრადიციას „ჰიპოსტას“ ანუ „სახეს“, რომელიც აღრე პოლიტე რომაელთანაც გვხვდება, ბასილი აშკარად გაუჩინის. „ჰიპოსტასი“ მისთვის უფრო ფორმას უტოლდება, ხოლო სახე ანთროპომორფისტულ გაგებად გამოდის.

აღნიშნეთ რა, რომ კაბადოკიური შოლვაწეობა სამების დოგმატის გარშემო ეყრდნობოდა ნიკეის ერთ არსების დოგმატის უნდა დავუმატოთ, რომ თვით გაგება ერთარსობისა 1V საუკუნის შე-2 ნახევარში სხვაობს წმ. ათანასეს „ერთარსობის“ გავებას. წმ. ათანასე მთელს არს ღმრთაებისას უიგივებდა მამას, ამიტომ ერთარსობის გაგებაც იღებდა ცალმხრივ მიმართულებას. ძის ერთარსებობიდან მამასთან შეიძლებოდა დასკვნა ძის შობაზე მამის არსიდან. როცა კაბადოკიელებმა და-აკონკრეტეს არის გაგება როგორც საერთოსი მთელი სამებისათვის, ასეთი სუბარი ძის შესახებ აღარ არის სწორი.

ასევე აღსანიშნავია, რომ კაბადოკიელებმა განსაკუთრებული სითამამით მიმართეს არაქრისტიანულ აზროვნებას ქრისტიანული დოგმატების დაფუძნებისათვის. მაგ. ბასილი დიდი სული წმიდის პოპოსტასის განსასაზღვრად მიმართავს პლოტინს. ტრატატი „სული წმიდაზე“ განსაკუთრებით აშკარად IX თავში ავლენს საოცარ მსგავსებას „ენეადებთან“.

გამოიყო რა არსისა და ჰიპოსტასის როგორც გვარეობრივი და სახეობრივი ტერმინების ურთიერთმიმართების პრობლემა, ბასილი მაინც დარჩა არსის განუყოფლობისა და სიმარტივის

პოზიციებზე. სხვანაირად, მას რომ უოგმატურ სწავლებაში სამების შესახებ უკიდურესობა გამოეჩინა და ბოლომდე გაეტარებინა გვარეობრიობა და სახეობრიობის მიმართების ზუსტი გაგება, მაშინ ტრითეისტი გახდებოდა. მაგრამ თუ რამდენად ფრთხილობდა ამას ბასილი, იქიდანაც ჩანს, რომ არ უშვებს რიცხობრიობას ღმერთის მიმართ. რიცხვის გაგება უკავშირდება რაოდენობის გაგებას, რაოდენობრიობა კი იწვევს ასოციაციას სასრულობისა. მტკიცება ღმერთის არსის განუყოფელობისა ჰიპოსტასთა გაყოფის ფონზე გამოდის, მათ შორის დროულ-სივრცული განუყოფელობიდან. მაგრამ საერთო არსისდა მიუხედავად, თითოეულ ჰიპოსტასში ჩანს გამოჩეული თვისებები.

„IV საუკუნის მამათა ღმრთისმეტყველება წარმოადგენს გაღამწყვეტ ეტაპს კლიმენტისა და ორიგენეს ალექსანდრიული ელინიზმის ქრისტიანულად გადამუშავებაში. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა დოგმატურ პლანში. სამება არ ტოვებს ადგილს ღმერთისათვის, რომელიც მარტივი გონებათმჭვრეტელობით, ან ზეგონიერი მონადაა და არის წყარო სულიერი ცხოვრებისა.

IV საუკუნე არის პერიოდი, როცა კაცობრიობის ინტელექტი მიერთა ჰიპოველსაწყისის კონკრეტულობის მოაზრობის სიმწიფემდე. სამებას დოგმატი და კრეაციონალიზმი ერთდროულად არის ახალი მსოფლალების დვრიტა.

თვით ბასილისათვის კი არსებობდა ერთადერთი ჭეშმარიტი საქმე - ყოფილიყო და წოდებულიყო ქრისტიანად. ის სხვათა თვალში იყო ჭეშმარიტი გამოხატულება აღმოსავლური ეკლესიის მრწამსისა. რადგან თვით ეკლესიური ცხოვრების პირობები აიძულებდა მას ყოფილიყო მუდმივად ფხიზლად ჩართული არა მარტო აღმოსავლური ეკლესის - საზოგადო-საეკლესიო ცხოვრებაში, არამედ მთელი მსოფლიოს სულიერ ცხოვრებაში.

ბასილი იყო აღმიანი, რომელიც არა მარტო მოწოდებულია დიადი საქმეებისათვის, არამედ, რომელიც მცირე საქმეებსაც დიადად ხდის

გრიგოლ ღმრთისმეტყველის თქმით, ის იყო ყრმობიდან მოხუცებული სიბრძნით. ისტორიკოს სოკრატეს აზრით, იგი თავის პრესოტერობამდეც საყრდენი კედელი იყო რწმენისა, ხოლო ფერარი აღნიშნავდა, რომ წმ. ბასილი თავის პონტოს მიღამოებში განმარტოებაშიც კი უფრო დიდ ძალას წარმოადგენდა, ვიდრე ივლიანე კესარის ტახტზე, რადგან ივლიანე, ვითარცა მტვრი აღავა „ქარმან პირისაგან ქვეყანისა“, ხოლო ბასილი, ვითარცა მოძღვარი მსოფლიო არის მწყემსი კეთილი, რომელმან სული თვისი დაძვა ცხოვართათვის; მის ნააზრევს და ღვაწლს ეფუძნება ჩვენი მსოფლალების მრავალი სპეციფიკური შტრიხი, რადგან ჩვენ როგორც შეიღები ქრისტიანული კულტურისა, ვეთანხმებით თუ ვეწინააღმდეგებით მას, ყოველ შემთხვევაში, აუცილებლად ვპოულობთ მასთან საერთოს ან როგორც მოზიარენი ან როგორც მოწინააღმდეგენი მისი.

IV საუკუნე, როგორც ახალი მსოფლმხედველობის გაბატონების საუკუნე, თავისთვად საინტერესო პერიოდია. მეტადრე კარგად იშლება ამ პროცესის სიმწვავე და თავისებურებანი ამ ეპოქის ღვიძლი შვილის ბასილი დიდის მოღვაწეობის ფონზე. რადგან „იგი არს საფუძველი სათნოებათა, წერილი დიდებათა და ცხოვრება სასწაულებრივი“ (ეფრემ ასური). გრიგოლ ღმრთისმეტყველი: „მან თავისი ქალაქი ქმნა ნოეს კიდობნად, რომელიც ადვილად სძლევდა ერესთა ღელვას და განაახლა მისგან ყოველი სოფელი“. ხოლო კონდაკი მის ღვაწლზე იტყვის: „გამოსჩდი შეუძრველად სიმტკიცედ ქრისტეს ეკლესიისა, და მიანიჭებ ყოველთა კაცთა მაღლთა სალმრთოთა, რამეთუ განიფინენ სწავლანი საღმრთონი ყოველსა ქვეყანასა ზედა, და პბრწყინავ ზეცათა შინა ყოვლად პატიოსანო, ღირსო ბასილი“.

„მწვალებელსა კაცსა განეშორე“ (ტიტუს მიშართ 8, 10)

სექტანტების საფინანსდებო კატეგორია

შესავალი შენიშვნები

კითხვა: რას ნიშნავს სიტყვა კატებიზმო?

პასუხი: კატებიზმისი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს დარიგებას, მითითებას (ეს არის სახელმძღვანელო, რომელიც შეიცავს ქრისტიანული მოძღვრების ძირითად დებულებებს).

კითხვა: რას წარმოადგენს სექტანტობის საწინააღმდეგო მართლმადიდებელი კატებიზმო?

პასუხი: სექტანტობის საწინააღმდეგო მართლმადიდებელ კატებიზმოში კითხვა-პასუხის სახით, ბიბლიაზე დაყრდნობით, გადმოცემულია ის მართლმადიდებელი ქრისტიანული ჭეშმარიტებანი, რომლებიც მცდარად ესმით სექტანტებს.

კითხვა: რა მიზნით შეიქმნა ქრისტიანობისათვის სექტანტობის საწინააღმდეგო კატებიზმო?

პასუხი: რათა აღსრულდეს ნება ღმრთისა. უფალმა უბრძანა ადამიანებს: „გამოიძიებდით წიგნთაგან (იოან.5.39), რათა „ჰსცნათ ჭეშმარიტი“ (იოან. 8,32); ხოლო მოციქულმა პეტრემ მიუწერა ქრისტეანებს: „განმზადებული იყუენით მარალის სიტყუს-მიგებად ყოვლისა, რომელი ეძიებდის ოქუენგან სიტყუსა, თქუენ შორის სასოებისა მისთვის, სიმშვიდით და შიშით“ (1 პეტრე 3, 15); მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც მართლმადიდებელი სარწმუნოების შესახებ გვეკითხებიან; მოწინააღმდეგენი თავიანთი სიტყვებით, რომლებიც თითქოსდა საღმრთო წერილზეა დაფუძნებული, ჩვენი უძლური ძმების სინდისს აცდუნებენ, მათ და-სახმარებლად და გზასაცდენილი ქრისტეანი - სექტანტების შესაგონებლად (თესალ. 5,14) მხოლოდ და მხოლოდ საღმრთო წერილის საფუძველზე შეიქმნა ეს კატებიზმო.

კითხვა: რად იწოდება ქრისტეს რწმენა მართლმადიდებელ სარწმუნოებად?

პასუხი: მართლმადიდებელი სარწმუნოება ნიშნავს მართალ სარწმუნოებას - ქრისტეს ჭეშმარიტად მადიდებელ სარწმუნოებას. ასე სახელვდებთ ჩვენს სარწმუნოებას განსხვავებით ყველა იმათგან, რომლებიც არასწორად (არა მართლად), აღიდებენ უფალს ანუ სექტანტთა და ერეტიკოსთაგან განსხვავებით.

კითხვა: არის თუ არა ლაპარაკი ხალმრთო წერილში უფლის სწორ (მართალ) თაყვანისცემაზე?

პასუხი: ოცდამეთორმეტე ფსალმუნში დავით წინასწარმეტყველი ამბობს: „იხარებდით მართალი უფლისა მიერ და წრფელთა შვენის ქება“. ამ გამონათქვამიდან ნათელია, თუ რა არის ქება უფლისა, რომელიც „წრფელთა შვენის“ ანუ „მართალი ქება“ უფლისა.

კითხვა: რას ამბობენ უფლის „მართალი ქების“ შესახებ მოციქულები?

პასუხი: პავლე მოციქული თავის მოწაფე ტიმოთეს მიუწერს: „ისწრაფე თავისა შენისა რჩეულად წარდგინებად წინაშე ღმრთისა, მუშაკად ურცხუერელად, წარმართებად სოტყუასა მას ჭეშმარიტებისასა“ (2 ტიმ.2,15). მართლმადიდებელი სარწმუნოება არის სწორედ ის ქრი-

სტეანული სასოება, რომელიც თავის შვილებს „წარუმართებს სიტყუასა მას ჰეშმარიტებისასა“.

კითხვა: როგორ უწოდებენ მოციქულები იმ ქრისტეანებს, რომლებიც უფლის შართალ მოძღვრებას რყვნიან და ამახინჯებენ?

პასუხი: ასეთ ადამიანებს ისინი ერეტიკოსებს (ბერძნულად) ეძახიან (ტიტ. 3,10); ჩვენ კი - სექტანტებს (რომაულად), განდგომილებს ქრისტეს მოძღვრებიდან (1 ტიტ. 1,6; 4,1).

თავი პირველი

1. საღმრთო წერილის შესახებ

კითხვა: საიდან ვიღებთ შართლშადიდებელი სარწმუნოების ჰეშმარიტებებს?

პასუხი: საღმრთო განცხადებიდან, რომელიც ძეველი და ახალი აღთქმის სახით მიიღეს ადამიანებმა.

კითხვა: რაში მდგომარეობს საღმრთო განცხადება?

პასუხი: ღმრთის სიტყვაში - წერილობითსა და ზეპირში - სხვაგვარად, საღმრთო წერილსა და საღმრთო გარდმოცემაში.

კითხვა: რა იწოდება საღმრთო წერილად?

პასუხი: საღმრთო წერილი ეწოდება იმ წიგნებს, რომელიც დაწერილია სული წმიდის მადლით (2 პეტრე 1,24) მოციქულთა, წინასწარმეტყველთა და ღმრთივ-განმარტინბილ მამათა მიერ. ეს წიგნები გვასწავლიან ღმრთის ნებისმიერ ცხოვრებას და შეაღგენენ საღმრთო წერილს (ძეველ და ახალ აღთქმას - ბიბლიას).

კითხვა: თანაბარი ღირსებისა თუ არა მნიშვნელობის მიხედვით ბიბლიის ყველა წიგნი?

პასუხი: არა, საღმრთო წერილის ყველა წიგნი განიყოფა ორ ნაწილად; ერთს - კანონიკურ წიგნებს ვუწოდებთ, ხოლო მეორეს არაკანონიკურს.

კითხვა: რას აღნიშნავს ეს სახელწოდებანი?

პასუხი: ბიბლიაში კანონიკურ წიგნებად ის წიგნები მიიჩნევა, რომლებიც ჩვენს დასამოძღვრადაა დაწერილი და უეპველად სული წმიდის მადლითაა აღსებული. ეს წიგნები თავისი შეუცდომელი ღირსების გამო ჭერ კიდევ ქრისტეს უძველესი ეკლესის მიერ არის მიღებული. (კანონიკური წიგნები წმ. მამათა და კრებათაგან ცნობილია ნამდვილად მოციქულთა და წინასწარმეტყველთაგან დაწერილად და ამიტომ, როგორც უეპველად ღმრთივსულიერნი, სავალდებულოა სახელმძღვანელოდ სჭულისა და ცხოვრებისათვის).

კითხვა: მხოლოდ ახალი აღთქმიდან უნდა მივიღოთ კანონიკური წიგნები, თუ ძველი აღთქმიდანაც?

პასუხი: პავლე მოციქულის სიტყვების მიხედვით: „მრწამს ყოვლისა მისებრ, რომელი სჭულისა და წინასწარმეტყველთა წერილ არს“ (საქმე 24,14). კანონიკური წიგნები უნდა მივიღოთ

ძველი აღთქმიდანაც. ხოლო ის, ვინც არ მიიღებს სახარების ულ კეთილუწყებას, მოციქულ პავლეს სიტყვებით რომ თქვათ, „შეჩერებულ იყავნ“ (გალ. 1, 8-9) (ანუ ანათემა მას), ამიტომ აუცილებელია ვერწმუნოთ ძველი და ახალი აღთქმის ყველა კანონიკურ წიგნს (2 ტიმ. 3,16).

კითხვა: რა შეიძლება ითვას ბიბლიის არაკანონიკურ წიგნებზე?

პასუხი: არ არის ზუსტად ცნობილი, იყვნენ თუ არა ღმრთის ულიერნი (სული წმიდით განბრძნობილი) არაკანონიკური წიგნების ავტორები. ამის გამო სიფრთხილით ვეკიდებით ამგვარ წიგნებს. (არაკანონიკური წიგნები ის წიგნებია, რომლებსაც არა აქვს ზემოაღნიშნულ კანონიკურ წიგნთა ლიტერატურა და ამიტომ არ არის სავალდებულო ყველასათვის). მაგრამ წმ. მამებსა და ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრებს უყვარდათ ეს წიგნები და პატივს სცემდნენ სწავლამოძღვრებათა იმ სიუხვის გამო, რაც ასეთ წიგნებში მრავლად მოიპოვება. არაკანონიკური წიგნები ბიბლიის შემადგენლობაში იყო შეტანილი და მორწმუნენი წმინდა და საცხოვნებელ წიგნებად მიიჩნევდნენ.

კითხვა: როგორ დაგრწმუნდეთ, რომ არაკანონიკურ წიგნებს შეცდომაში არ შევყავართ?

პასუხი: თავმდებად გამოგვალგება შეუცდომელი კანონიკური წიგნები. არაკანონიკური წიგნებიდან მხოლოდ იმას ვიღებთ კეშმარიტებად, რაც სრულიად ეთანხმება კანონიკურ წიგნებს.

კითხვა: რომელია არაკანონიკური წიგნები?

პასუხი: წიგნი ტობიასი, ივდითისა, სიბრძნე სოლომონისა, ისუ ძისა ზირაქისა, წინასწარმეტყველება ბარუქისა, ეპისტოლე იერემიასი. მეორე და მესამე წიგნი ეზდრასი და სამივე წიგნი მაკაბელთა.

2.საღმრთო გარდმოცემის შესახებ

კითხვა: რა პრის საღმრთო გარდმოცემა?

პასუხი: უწინარესად, საღმრთო გარდმოცემა არის მაცხოვრის, მოციქულების და მოციქულებრივი მამების მოძღვრებანი, რომელიც ზეპირად გადაეცა ეკლესიას, როგორც სიწმინდე და არ არის ბიბლიაში ჩაწერილი. საღმრთო გარდმოცემა შემოგვინახეს მოციქულთა ღმრთისმოსამა მოწაფეებმა, მას შემდეგ, რაც გულმოლგინედ გამოიძიეს მისა სინამდვილე და ღვთივსულიერი ღირსებანი. შემდგომად ამისა, საღმრთო გარდმოცემად იწოდება საეკლესიო კრებების დადგენილებები და მართლმადიდებელი ეკლესიის მამების სწავლებანი. ამგვარი გარდმოცემა წარმოადგენს ბიბლიის მტკიცელ შეკრული მოძღვრების აუცილებელ ახსნა-განმარტებასა და გაღრმავებას.

კითხვა: საიდან გამომდინარეობს, რომ საღმრთო გარდმოცემა ჩვენი სარწმუნოების წყარო უნდა იყოს?

პასუხი: ეს ნათელია საღმრთო წერილიდან. ქრისტე მაცხოვარი ამბობს: „შეინანეთ და გრწმენინ სახარებისა“ (მარკ. 1,15); „რომელსა არა ჰქმენეს დაისაჭიროს“ (მარკ. 16,16); თვით მაცხოვარი

ზეპირად ქადაგებდა, არ იწერდა თავის მოძლვრებებს და მოწაფეებს ზეპირად გადასცა, როგორც გარღმოცვამა.

კითხვა: მოციქულებმა შაინც ხომ აღწერეს შაცხოვრის მოძლვრება და საქმენი?

პასუხი: აღწერს, მაგრამ არა ყველაფერი და სრულიად. ამაზე მოწმობს იოანე მახარებლის სიტყვები: „მრავალნი სხუნიცა ჰქმნა იქსო წინაშე მოწაფეთა თჯსთა, რომელი არა დაწერილ არიან წიგნსა ამას“ (იოანე 20,30); იოანე მახარებელი თავის ეპისტოლეში წერს: „მრავალნი მინდა მიწერად თქუენდა, არამედ არა ვინებე ქარტითა და მელნითა“ (2 იოანე 12; 3 იოანე 13).

კითხვა: ნუთუ მოციქულებმა თავინთ ეპისტოლებში არ აღწერეს ყოველივე ის, რაც აუცილებლად საჭიროა ქრისტეანისათვის?

პასუხი: მოციქულებმა აღწერეს ყველაზე აუცილებელი მორწმუნეთათვის, მაგრამ მოკლედ და შეფარვით. ამ ჩაწერილის სწორად გავება მოციქულთა გადმოცემის დახმარების გარეშე შეუძლებელია. ეს ნათლად ჩანს იქიდან, რომ საღმრთო წერილში არ არის აღნიშნული, თუ როგორ უნდა შესრულდეს ნათლობა, ზიარება, ზეთისცხება; თუ როგორი სულიერი საგალობლები იგალობრიდეს ეკლესიაში ქრისტეანთა დასამოძღვრად (კოლ. 3,16) და ბოლოს, თუ ბიბლიის რომელი წიგნებია კანონიკური და რომელი არაკანონიკური.

კითხვა: თვით მოციქულები რას აშბობენ საღმრთო გარდმოცემაზე?

პასუხი: ისინი გვიანდერებენ, რომ საღმრთო გარდმოცემა მივიღოთ და შევინახოთ ისე, როგორც საღმრთო წერილი. მოციქული პავლე ასწავლის ქრისტეანებს: „... მტკიცედ ჰსდეგით და შეიკრძალეთ მოძლურებას ესე, რომელიც გისწავის გინა სიტყვა, გინა წიგნითა ჩუენითა“ (2 თესალ. 2,15). იგივე მოციქული გვამცნებს განშორებად „... ყოველსავე მისგან ძმისა, რომელი უწესოდ ვიდოდეს, და არა მოძლურებისა მისებრ“, რომელიც მაცხოვრისაგან მიიღეს მოციქულებმა (2 თესალ. 3,6).

კითხვა: რა გზით შეიძლება დარწმუნება იმაში, რომ საღმრთო გარდმოცემა, რომელიც მართლმადიდებლმა ეკლესიამ შემოინახა, ნამდვილად მოციქულთა დროიდან იღებს დასაბამს ანუ სახარებისეული სულით არის განმსჭვალული?

პასუხი: მართლმადიდებელი ეკლესიის გარდმოცემის მოციქულებრივ წარმოშობაზე მოწმობს ეკლესიის ისტორია - კეშმარიტი „მოწმობა კაცთა“, რომელსაც ღმრთის სიტყვა (საღმრთო წერილი) არ უკუგდებს (1 იოანე 5,9) და მკაცრი სულიერი თანხმობა საეკლესიო გარდმოცემისა სახარებისეულ მოძლვრებასთან.

კითხვა: რატომ აკრძალა ქრისტე შაცხოვარშა, რათა გვეპყრა „მოძლურება ხუცესთა“ (მათე 15)?

პასუხი: იმიტომ, რომ ეს გარდმოცემა ეწინააღმდეგებოდა ღმრთის სიტყვას. მოციქული პავლე, რომელსაც პერნდა „გონება ქრისტესი“, გვიბრძანებს სახარებისეული გარდმოცემის ხელშეუხებლად შენახვას; (2 თესალ. 2,15). ხოლო გმობს გამოუგონებელ ადამიანურ გადმოცემებს, რომელიც ამაზინჯებს ღმრთის მცნებათა სულს. ასეთი იყო „მოძლურება ხუცესთა“, რომელიც შეეხებოდა დაუბანელი ხელით პურის ჭამას. ფარისევლები ხელის დაუბანავად არ ჭდებოდნენ ტრაპეზზე, ხოლო ღარიბებსა და მდაბიორებს არ სწყალობდნენ. „ხუცესთა“ ეს ფარისევლური გარდმოცემა ღმერთის მოტყუება იყო და სწორედ ეს დაგმო ქრისტემ (მათე 15, 7-9).

თავი მეორე

1. სახარებისეული სარწმუნოების შესახებ

კითხვა: რას გვასწავლის უმთავრესად ღმრთის სიცუვა - წერილობითი და ზეპირი?

პასუხი: ის გვასწავლის უფლის იესუ ქრისტეს ცოცხალ ჩრდენას (იოანე 20, 31); ამ ჩრდენის შინაარსს მართლმადიდებელი ეკლესია გამოთქვამს სარწმუნოების სიმბოლოში განსაკუთრებული წესით.

კითხვა: რამდენი წევრისაგან შედგება მართლმადიდებელი სარწმუნოების სიმბოლო?

პასუხი: იგი შედგება თორმეტი მუხლისაგან ანუ წევრისაგან.

კითხვა: რას გვასწავლის მიწამისი პირველი წევრი?

პასუხი: მრწამისი პირველ მუხლში ლაპარაკია ერთ ღმერთზე - ერთიან შემოქმედსა და სამყაროს შემქმნელზე, როგორც პავლე მოციქული წერს: „ერთ-არს ღმერთი და მამა ყოველთა, რომელი ყოველთა არს და ყოველთა მიერ და ჩუენ ყოველთა შორის“ (ეფეს. 4,6).

კითხვა: როგორ ავხსნათ, რომ ყოველ ქრისტეანს სწამე ერთი ღმერთი და იმავდროულად მასში სამპიროვნებას აღიარებენ?

პასუხი: ქრისტეანებს სწამო, რომ ღმერთი არსებით ერთია, მაგრამ მან კაცობრიობას თავი სამ პირში გამოიუცხადა: როგორც მამა ღმერთი „ძუელი დღეთა“ (დან. 7,9); როგორც ქეღვერთი მაცხოვარი ჩვენი (გალატ. 4,4) და როგორც სული წმიდა - ღმერთი (მათე 3,16). მაგრამ ჩვენ გვწამს არა სამი ღმერთი, არამედ ერთი. უფრო ნათლად ერთ არსებობა და სამპიროვნება ღმერთისა შეიძლება გავიგოთ მზის მაგალითზე: მას აქვს სიმრგვალე (წრის ფორმისაა); აქვს სინათლე (ანათებს) და გამოსცემს (ასხივებს) სითბოს, მაგრამ მზე ერთია და არა სამი. ასევე ჩვენი სული შედგება: გონების, გრძნობისა და ნებისაგან, მაგრამ ადა-მინი ერთია და, ნორმალურ მდგომარეობაში, თავის თავს შეიმეტებს, როგორც ასეთს.

კითხვა: ძველი აღთქმა შეიცავს თუ არა სწავლებას ყოვლადწმიდა სამების შესახებ?

პასუხი: ძველი აღთქმა ძალიან ბევრ ადგილას შეფარვით შეიცავს სწავლებას წმ. სამების შესახებ. ყველაზე ნათლად ამას ესაია წინასწარმეტყველი გამოთქვამს: „ყოვლისაგან ჭირისა მათისა, არცა მოციქულმან, არცა ანგელოზმა, არამედ თვით უფალმან აცხოვნა იგინი, სიყვარულისათა მათისა და რიცებისა მათისა, ოჭო იბსნა იგინი და აღიხუნა იგინი, და აღამაღლნა იგინი ყოველთა დღეთა საუკუნოსადა, ხოლო იგინი ურჩ ექმნებს და განაძლებს სული წმიდა მისი...“ (ეს. 63,9-10). „ყველა მათ გასაჭირში მათთვის უჭირდა და მისი პირის ანგელოზმა იბსნა ისინი... მაგრამ აჯანყდნენ და შეაწუხეს მისი წმიდა სული“... (ეს. 63,9-10). მოყვანილ სიტყვებში წინასწარმეტყველი ესაია საკმარისი გამომსახველობით განარჩევს ღმერთში სამპიროვნებას: თვით ღმერთს, მის ანგელოზს - ქრისტეს და სული წმიდას.

კითხვა: მრწამისი რომელ წევრებშია ლაპარაკი წმ. სამების მეორე პირზე?

პასუხი: ექვს წევრში - დაწყებული მეორედან მერვემდე.

კითხვა: როგორ სწამე უკლესიას დე ლმერთი - წმ. სამების შეორე პირი?

პასუხი: მრწამსის მეორე მუხლი შეიცავს მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებას იესუ ქრისტეს ღმრთაებობის შესახებ, რომ იესუ ქრისტე არის მხოლოდ შობილი ძე, ისეთივე ღმერთი, როგორც მამა და სული წმიდა; შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა ისევე მიუწვდომლად, როგორც ნათელი იბადება ნათლისაგან (იოანე 1, 1-2). საუკუნეთა უწინარეს შობა მაცხოვრისა მამა ღმერთისაგან განცხადებულია ძვ.აღთქმაში წინასწარმეტყველ მიქიას მიერ. ის ამბობს, რომ „და, შენ, ბეთლემ, სახელი ეფრაათასი, მცირე ხარ ყოფად ათასულთა შორის იუდასთა, რამეთუ შენგან გამოვიდეს ჩემდად ყოფა-დი, მთავრად ისრაელსა ზედა და გამოსავალნი მისნი დასაბამით ღღეთაგან საუკუნოსათა“ (მიქ. 5,2). მრწამსის მესამე მუხლში მართლმადიდებელი ეკლესია ავითარებს სწავლებას იმის შესახებ, რომ იესუ ქრისტე ხორცში მოვიდა (განხორციელდა) მამაკაცის თესლის გარეშე, ყოვლადწმიდა ქალწული მარიამისაგან, რამელიც მიღომილ იქნა სული წმიდი-საგან (ლუკა 1, 35). ეს „უცნაური და დიდებული“ („странное и преславное“) საიდუმლო გამოცხადებული იყო ჯერ კიდევ ძვ. აღთქმაში წინასწარმეტყველ ესაიას მიერ: „აპა ქალწული მიუდევს და შუეს ძე და უწოდინ სახელი მისი ემმანუილ“ (ესაია, 7, 14), რაც ნიშნავს, რომ ღმერთი ჩვენთანა, ანუ ღმერთი განხორციელდა (განკაცნა). მეოთხე მუხლში აღვიარებთ, რომ უფალი ეწამა ჩვენი ცოდვებისათვის პილატე პონტორელის - იუდეველთა მმართველის დროს (მათე 27,2; ესაია 53, 5). მეხუთე მუხლში - რომ მაცხოვარი ჩვენი აღსდგა სიკვდილიდან მესამე დღეს ძველი წინასწარმეტყველების თანახმად (მათე 28,6). მეექვსე მუხლში, რომ უფალი ამაღლდა ზეცად და დასჭდა მარჯვენით მამისა ღმრთისა.

კითხვა: რას ნიშნავს ეს?

პასუხი: მრწამსის მეექვსე მუხლში მართლმადიდებელი ეკლესია აღიარებს, რომ ქალწული მარია-მისაგან განხორციელებითა და ცოდვილ ადამიანებთან ცხოვრებით უფალი იესუ ქრისტე არ დაკინდა თავისი ღვთაებრივი ღირსებით. მას შემდეგ, რაც აღასრულა ჩვენი ხსნა მიწაზე, ის დარჩა ისეთივე ყოვლად-წმიდა ღმერთად, როგორიც იყო საუკუნითაგან. ამ საიდუმლოს მსგავს ხილულ სამყაროში ეხედავთ: როგორც მზის სხივი, მიუხედავად ჭუპყი-ანი ადგილების გავლისა, ისეთივე უწმიდეს სხივად ჩეხბა, ასევე უფალი ჩვენი იესუ ქრისტე, რომელმაც მიწაზე სიღარიბეში იცხოვრა, საუკუნოდ დარჩა ყოვლის-შემძლე ღმერთად, რომელიც მეუფებს ყოველივესა-ზედა.

კითხვა: რაზეა ლაპარაკი მრწამსის შეშვიდე მუხლში?

პასუხი: მეშვიდე მუხლში ქრისტეს ეკლესია აღიარებს თავის რწმენას იმაში, რომ უფალი კვლავ მოვა მიწაზე დროთა დასასრულს, რათა განსაჭოს ყოველი - ცოცხალი და მკვდარი, რის შემდეგაც დადგება მისი მარადიული მეუფება წმინდანებთან ერთად (საქმე, 1, 10; გამოც. 21,3; მალაქ.4).

კითხვა: რას აღიარებს ეკლესია მრწამსის მერვე მუხლში?

პასუხი: ამ მუხლში ქრისტეანები გამოხატავენ წმ. სამების მესამე პირის - ღმრთის სულის რწმენას. სული ღმრთისა მარადის გამოდის მამისაგან (იოანე 15,26). ის არის უფალი, ცხოვ-ელსმყოფელი ყოველთა. სული წმიდა ისეთივე თაყვანისცემის ღირსებია, როგორც მამა ღმერთი და ძე ღმერთი (ლუკა 12, 10; მათე 28, 19). ღმრთის სულმა გამოუცხადა.

წინასწარმეტყველებს ყოველივე ის, რასაც ისინი შემგომში კაცობრიობას ამცნობდნენ ხოლმე (2 პეტრე 1,21). ამიტომ საღმრთო წერილში სული წმიდა იწოდება როგორც „ნუგ-ეშინის მცემელი“ და „სული ჭეშმარიტებისა“ (იოანე 15,26).

კითხვა: რაზეა ლაპარაკი მრწაშის ბოლო მუხლში?

პასუხი: მეცხრე მუხლში ლაპარაკია იმაზე, რომ გვწამს ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია (1 კორ. 12,11-13); მეათე მუხლში აღვიარებთ, რომ ნათლისღება, რომელიც ცოდვებისაგან განგვრმედს და აღვაორდინებს, არის ერთი და, რომ არ შეიძლება იგი განმეორდეს. არ შეიძლება სწორად მონათლულთა მეორედ მონათვლა (ეფეს. 4,5). მეთერთმეტე მუხლში - გვწამს, რომ იქნება საყოველთაო აღდგომა მკვდრეთით, როგორც მართალთა ისე ცოდვილთა (1 კორ. 15,51-52). მეთორმეტე მუხლში ლაპარაკია იმაზე, რომ მკვდრეთით აღმდგარ ადამიანთა სულებისათვის დადგება მარალიული, საუკუნო ცხოვრება (ტიტ. 1,2; მათე 25,46) - მართალთათვის - გამოუთქმელი ნეტარება; ცოდვილთათვის - მარალიული ტანგვა.

კითხვა: რა შეიძლება მოკლედ ითქვას მრწაშის ყველა წევრის შესახებ?

პასუხი: ის, რომ მართლმადიდებელი სარწმუნოების სიმბოლოში გამოხატულია სახარებისეული, სამოციქულო, ძველი მამაპაპისეული ჩრდილი; ის სარწმუნოება, რომელმაც მთელი მსოფლიო „დაამტკიცა“ სათნოებებსა და ღმრთისმოსაობაში.

2. კეთილი საქმეების შესახებ

კითხვა: რას გვასწავლის სახარება კეთილი საქმეების შესახებ?

პასუხი: მაცხოვრისია და მოციქულთა მოძღვრების მიხედვით ჩვენი კეთილი საქმეები უნდა გამომდინარეობდეს სახარებისეული მართალი სარწმუნოებიდან. უფალმა თქვა: „ყოველმან ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილ გამოიღოს“ (მათე 7, 17); ხოლო მოციქული პავლე თავის მოწაფე ტიტეს უანდერძებს: „ყოვლისავთქმულ თავსა შენსა სახედ მიჰსცემდი კეთილთა საქმეთა...“ (ტიტე 2,7).

კითხვა: როგორ განვსაზღვროთ უფრო ზუსტად დამოკიდებულება სახარებისეული სარწმუნოებისა კეთილი საქმეებისადმი?

პასუხი: სახარებისეული სარწმუნოება ითვლება ქრისტეანულ სათნოებათა საფუძვლად - იმ ავლადიდებად, რაც ქრისტეში გადარჩენის კარს გვიღებს. სწორედ ამიტომ მოციქული პავლე ეუბნება საპყრობილის მცველს: „გრწმენინ უფალი იესუ ქრისტე და ჰსცხონდე შენ და ყოველი სახლი შენი“ (საქმე 16,31). მაგრამ მხოლოდ სარწმუნოება, თვინიერ კეთილ საქმეებისა ან ჩრდილო ღვთისმოსაური ცხოვრებისა, საქმარისი არაა იმისათვის, რომ ქრისტეანმა სიკედილის შემდეგ სამოთხის ნეტარება დამშევილოს. ამას გარკვევით (მკაფიოდ) ქადაგებენ მოციქულები. იაკობ მოციქულის ეპისტოლეში ვკითხულობთ: „... ვითარცა ხორცი თჯიერ სულისა მკუდარ-არიან, ეგრეთვე სარწმუნოება თჯიერ საქმეთასა მკუ-

დარ-არს“ (იაკობ. 2,20); მაშინადამე, სარწმუნოებასა და კეთილ საქმეთა შორის კავშირი იმდენად განუყოფელია, რამდენადაც შეუძლებელია ცოცხალი ადამიანის სხეულისა და სულის განყოფა. ამიტომაც პავლე მოციქული მიუწერს ქრისტეანებს, რომ „ქრისტე იესოს მიერ არცა წინა-დაცუეთილება რას შემძლებელ-არს, არცა წინა-დაუცუეთელებაც, არამედ სარწმუნოება, სიყვარულისგან შეწევნული“ (გალატ. 5,6).

კითხვა: რას გამოხატავს მოციქულის ეს სიტყვები?

პასუხი: იმას, რომ ქრისტესთვის, როგორც უკვე ვთქვით, არაფერს არ ნიშნავს სარწმუნოება, თვი-ინიერ კეთილი საქმეებისა. ის, ვინც მარტოოდენ ბაგებით აღიარებს თავის რწმენას და არ ქველმოქმედებს, არ ცხოვნდება, რადგან მოციქულის სიტყვებით: „ეშმაკთაცა ჰრწამს და ჰსძრწიან მისგან“ (იაკობ 2,19). მაგრამ ისინი მაინც ღმრთისაგან ტანჯვისათვის არიან განწირულნ. ამგვარადვე - ის ადამიანი, რომელიც ქველმოქმედებს, მაგრამ „მართლიად“ არ სწამს ღმერთი, არა აქვს კეშმარიტი სარწმუნოება, შორსაა ღმრთის სასუფევლისაგან. ეს ნათლად ჩანს „საქმე მოციქულთადან“. კესარიაში ცხოვრობდა კორნელიუსი - წარმართი კაცი, „კეთილად მსახური და მოშიში უფლისა“ (საქმე 10,2). იგი მარადის ეველრებოდა ღმერთს და გულუხვად იქმნდა სიკეთეს, მაგრამ მისი ცხოვნებისათვის სიჭირო იყო მარ-თალი (კეშმარიტი) სარწმუნოება და ის საქმენი, რომლებიც ასეთი სარწმუნოებიდან გამოდინარებას.

კითხვა: როგორ საქმეებს მოითხოვს ჩვენგან სახარებისეული სარწმუნოება?

პასუხი: ეს საქმეები ნეტარებებშია ჩამოთვლილი. უნდა გვიყვარდეს სიმართლე, ვიყოთ მშვიდინი, მორჩილნი გულით, გლოხაკთა შემწყალენი, სულიერი სიფაქიზით და სიწმიდით გამორჩეულნი და ღმრთის მიერ დაშვებული განსაცდელის უდრტვინველად ამტანნი (მათე 5-7). მაგრამ, როგორც ქრისტეს ერთიანი ეკლესის შვილები (წევრები) - ჩვენ უნდა ქვე-ლემოქმედებდეთ ქრისტეს სახელით.

კითხვა: საიდან გამომდინარეობს ქრისტეანისათვის ამგვარი მოვალეობა?

პასუხი: ეს მოვალეობა გამომდინარეობს უფლის მოძლერებიდან. უფალი იესუ ქრისტე ამბობდა, რომ ის მისუმშ თავის სიცოცხლეს იმისათვის, რათა მიწაზე აღაშენოს მხსნელი ეკლესია (მათე 16, 18). ჩვენთვის ქრისტეანებისათვის აუცილებელია ყოველთვის ვიყოთ ამ ეკლესი-აში, როგორც „ცხოვართა ეზოში“ (იოანე 10,9,16). ამ ეზოს გარეთ სულიერი მგლები - ერეტიკოსები და ცოდვილები იპარავენ (იტაცებენ) ქრისტეანებს და ტყუილისა და საც-თურის ბადეში წარწყმედენ. იგივე კეშმარიტება გამომდინარეობს პეტრე მოციქულის შედარებიდან, რომელიც ქრისტეანის ხსნას ნოეს წარლვისაგან გადარჩენას ადარებს. როგორც ნოე გადარჩა ოჯახთან ერთად წარლვაში დანთქმასა და სიკვდილს, მხოლოდ იმიტომ, რომ კიდობანში შევიდა, სწორედ ასე, ცოდვილი სამყაროსაგან ქრისტეანის ხსნა, მხოლოდ ქრისტეს სხეულთან ანუ ეკლესისათან კავშირითა და ერთობითაა შესაძლებელი (1 პეტრე 3,20; ეფეს. 1,22-23). ამიტომ ყველა მორწმუნის სათნოებათა საფუძველი უნდა იყოს ერთიანობა და თანამოაზრეობა ქრისტეს კეშმარიტ ეკლესიასთან.

თავი შესახე

1. ქრისტეს ეკლესიის შემადგენლობის შესახებ

კითხვა: რას წარმოადგენს ქრისტეს ეკლესია?

პასუხი: ქრისტეს ეკლესია არის მართლმორწმუნე ქრისტეანების საკრებულო (საზოგადოება, კრებული) (1 კორ. 11,18). (შეკრება). ეს საკრებულო ურყევად (უცვალებლად) შეიცავს ყველა სახარებისეულ მცნებას. მას მართავს მაცხოვარი დადგენილი (ხელდასხმული) ეპისკოპოსებით, პრესვიტერებით და ღიაკონებით და იურიტევა განსაკუთრებული მადლიანი მოქმედებებით - საეკლესიო საიდუმლოებებით (მათე 18. საქმე 2,46-47 და სხვა).

კითხვა: იწოდება თუ არა ეკლესიად ყოველნაირი ქრისტეანული საკრებულო ან საზოგადოება?

პასუხი: არა. ეს წმიდა სახელი მიეყნება მხოლოდ ისეთ ქრისტეანულ საზოგადოებას, რომელიც დაუმახინებლად შეიცავს მართლმადიდებელ სარწმუნოებას საეკლესიო საიდუმლოებებთან ერთად და რომელსაც ჰყავს მართლად (სწორი წესით) დადგინებული (ხელდასხმული) ეპისკოპოსები, პრესვიტერები და ღიაკონები (ტიმ. 3,1-9; საქმე 20,17 და სხვა).

კითხვა: რომელ ეპისკოპოსება და პრესვიტერებს უნდა ვუწოდოთ მოციქულთა მართალი, კეშარიტი შემკვიდრები?

პასუხი: მათ, რომლებიც აღიარებენ მართლმადიდებელ სარწმუნოებას და სამღვდელო თანამდებობებზე მათი ხელდასხმა საწყისს (დასაბამს) იღებს მოციქულთაგან.

კითხვა: თვალსაჩინოებისათვის რას შეიძლება შევადაროთ ეპისკოპოსთა წარმომავლობა?

პასუხი: ის შეიძლება შევადაროთ ქრისტეს გენეალოგიას. როგორც მახარებლები მაცხოვარს მიიჩნევენ იუდას ტომიდან, აღმიდან წარმომავალს ხორციელად, ასევე ჩვენც, ჩვენი ეპისკოპოსების წარმომავლობა მოციქულთაგან უნდა დავიწყოთ.

კითხვა: შეიძლება თუ არა, რომ მოციქულთა გენეალოგიის საწყისი მოციქულებამდე ავიყვანოთ?

პასუხი: უსათურო საჭიროა. გადმოცემა მოციქულთა მემკვიდრეებზე შემონახულია საეკლესიო ისტორიაში, ხოლო ეს ისტორია, როგორც კეშმარიტი ადამიანური მოწმობა (1 იოანე 5,9), უნდა ვირწმუნოთ. ქრისტეს ეკლესია არის ყოველგვარი კეშმარიტების სამედო მცველი.

კითხვა: სხვაგვარად რას ვუწოდებთ ეკლესიის ეპისკოპოსებს და პრესვიტერებს?

პასუხი: სულიერ მწყემსებს, მამებს, მოძღვრებს (დამრიცებლებს) და მასწავლებლებს.

კითხვა: რის საფუძველზე შივაკუთვნებთ მათ ამ სახელწოდებებს?

პასუხი: ღმრთის სიტყვის საფუძველზე. სახარებაში მაცხოვარი იწოდება როგორც მწყემსი და მასწავლებელი ჩვენი (იოანე 10, 11; მათე 23,28). მაგრამ მან ეკლესიაში მორწმუნეთა მმართველად თვით დააყენა მწყემსი, მამები და მოძღვრები - (დამრიცებლები). ასე ამოწმებენ მოციქულები: „... ხუცესთა მათ თქვენ შორის ვლოცავ, ვითარება თანა ხუცესი...“ - ამბობს მოციქული პეტრე (1 პეტრ 5,1); „რამეთუ ბევრ მზარდულ გესხნენ ქრისტეს მიერ, არამედ არა მრავალ მამა“ - იგულისხმება სულიერი - გვასწავლის მოციქული პავლე (1 კორ.

4,15). სხვა ადგილას იგივე მოციქული წერს: „მოსისენენით წინამძღვარნი იგი თქუენნი...“ (ებრ. 13,7; ეფეს. 4,11). წმ. ეკლესია ამის საფუძველზე თავის ეპისკოპოსებს და პრესვიტერებს სამართლიანად უწოდებს მამებს, მწყემსებსა და მასწავლებელ-დამრიგებლებს.

კითხვა: ჩვეულებრივად, რას უწოდებენ ჩვენთან შართლმადიდებელ პრესვიტერს?

პასუხი: მართლმადიდებელი ქრისტეანები მას მღვდელს უწოდებენ.

კითხვა: შეიძლება თუ არა ქრისტეან მწყემსებს მივაკუთვნოთ ეს სახელი?

პასუხი: შეიძლება. მოციქულ პავლეს მოწმობით ქრისტეს „წარუვალად აქეს მღვდელობა“ (ებრ. 7,24). ეს „მღვდელობა“ მოციქულმა პავლემ გადასცა ტიმოთეს (1 ტიმ. 4,14), როგორც „წარუვალი“ – მარადიულის დღემდე ცოცხლობს ქრისტეს ეკლესიაში.

კითხვა: რას გვასწავლის ღმერთის სიტყვა იმის შესახებ, თუ როგორ მოვეპყრათ ეკლესის მწყემსებს?

პასუხი: მოციქული პავლე გვასწავლის „უმეტესად შეპრაცხენით იგინი სიყუარულით უფროს საქმისათვე მათისა“ (1 თესალ. 5,13). ხოლო მატერიალურ გასაჭირები ყოველნაირად კმავყოთ ისინი.

კითხვა: რას ეფუძნება ამგვარი წესი?

პასუხი: ის „დამტკიცებულია მოციქულთა მცნებებში. მოციქული პავლე წერს: „რომელი კეთილად პსლოლიან ხუცესი ირის ნაწილის პატივისა ლირს-იყუნედ“ (1 ტიმ. 5,17). იგივე მოციქული ამტკიცებს, რომ თვით უფალმა „ბრძანა, რომელი იგი სახარებასა მიუთხოვდენ სახარებისაგან ცხოვრებად“ (1 კორ. 9,15). და კიდევ: ხოლო ეზიარებოდნენ უმეტარი იგი სიტყუასა მასწავლელისასა ყოველსა შინა კეთილსა (გალატ. 6,6). ამიტომ მართლმადიდებელი მწყემსები დამსახურებულად სარგებლობდნენ მორწმუნე „მდაბიორათა“ შესაწირავიდან.

კითხვა: თუ შეიძლება, რომ ეკლესის „წინამძღვარად“ (1 თესალ. 5,12) ჩავთვალოთ ისეთი ადამიანები, რომლებიც გამოიჩინევიან რა კეთილი (სათნო) ცხოვრებით, თვით იკუთვნებენ (ისაკუთრებენ) მწყემსების სახელს (პატივს)?

პასუხი: არ შეიძლება. ასეთი ადამიანები, მიუხედავად ყველა მათი ლირსებისა, არ შეიძლება იყვნენ ეკლესის მწყემსნი. ისინი ემსგავსებიან კორე, დათან და აბირონ თვითმარქებიებს ღმრთის კაცებში. ამიტომ, როგორც ეს თვითმარქები შთანთქა მიწამ უკანონობის გამო (რიცხ.თავი 16), ასევე, ახალი აღთქმისეულ მათ წამბაძველებს სახარება მპარავებსა და სულიერ ავაზაკებს უწოდებს (იოანე 10,1).

2. ეკლესის ერთობის, სიწმიდისა და უცოდელობის შესახებ

კითხვა: რა თვისებებს ფლობს უფლის მიერ მორწმუნეთა ხსნისათვის დაარსებული ეკლესია?

პასუხი: მართლმადიდებელი სარწმუნოების სიმბოლოს მეცხრე მუხლში ეკლესიას ვუწოდებთ: ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო.

კითხვა: რას აღნიშნავს ეს სახელწოდებები?

პასუხი: ქრისტეს ეკლესია ერთია. რამდენმა ქრისტეანულმა საზოგადოებმაც არ უნდა შეითვისოს ეს სახელი - ღმრთის კეშმარიტი ეკლესია ერთია მიწაზე, რადგანაც ქრისტეს ეკლესია არის მისი სხეული (ეფეს. 1,23), ხოლო ქრისტეს ერთი სხეული აქვს.

კითხვა: რის საფუძველზეა ლაპარაკი მრავალი ეკლესის შესახებ მოციქულთა ცპისტოლეგბში (გალატ. 1, 2)?

პასუხი: მსოფლიო ეკლესია, როგორც უფლის სხეული, ერთია, მაგრამ ცოცხალ სხეულში მრავალი ასოა (ნაწილია) (1 კორ. 12,12), ამიტომ მსოფლიოში არის მრავალი საზოგადოება აღმსარებელი ერთი წმიდა სარწმუნოებისა. ეს საზოგადოებანი, როგორც ცოცხალი ასოები ერთი ეკლესისა, საღმრთო წერილში აგრეთვე ეკლესიებად იწოდება.

კითხვა: არ შეუძლიათ, თავისი სარწმუნოებრივი მოძღვრებით განსხვავებულ ქრისტეანულ საზოგადოებებს, მაგალითად, პაშკოვურს, შტუნდისტურს და მალაკინურს, იწოდებოდნენ ეკლესიად?

პასუხი: არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ. ეს იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ ქრისტეს მრავალი სხვადასხვაგვარი სხეული აქვს. მოციქულები კი გვასწავლიან ქრისტეს ერთი სხეულის შესახებ (1 კორ. 12,13).

კითხვა: რა აზრით იწოდება წმიდად ქრისტეს ეკლესია?

პასუხი: იმ აზრით, რომ ის განუწყვეტლივ იკურთხევა (განიწმიდება) ღმრთის მადლით. როგორც წერილ არს „...განწმედილი იგი ერთისაგან არიან...“ (ებრ. 2,11).

კითხვა: ხომ არ შეგვანიშნებს ეკლესის წოდება - წმიდა, მასში შემავალი ადამიანების უცოდველობაზე?

პასუხი: არც ერთ შემთხვევაში. მოციქული იოანე წერს: „უკეთუ ვპსთქუად, ვითარმედ ცოდუა არა გუაქუს, თავთა თქითა ვაცთუნებთ, და კეშმარიტება არა არს ჩუენ თანა“ (1 იოანე 1,8). იაკობ მოციქული ამოწმებს: „არამეთუ ფრიად ვპსთებით ყოველნივე“ (იაკ. 3,2).

კითხვა: ხაიდან ჩანს, რომ საზოგადოება, რომელიც ცოდვილი ადამიანებისაგან შედგება, საღმრთო წერილში იწოდება ეკლესიად?

- **პასუხი:** განსაკუთრებულად ნათლად (ქხადად) ეს ჩანს იოანე ღმრთისმეტყველის გამოცხადებიდან. იქ ლაპარაკია ეფესოს (2,1), პერღამის (2,12), სარდიის (3,1), ფილადელფიის (3,7) ეკლესიებზე და ყველა ამ ეკლესიებში მითითებულია ცოდვებზე (გამოცხ. 2,4,5; 3,2 და სხვა).

კითხვა: თუ განცალკევებულად თითოეული ქრისტეანი სუსტია და ცოდვისაკენ მიღრეკილი, შეიძლება კი გვწამდეს მთელი ქრისტეს ეკლესის უცომებულობა?

პასუხი: რწმენა მსოფლიო ეკლესიის უცომებულობისა აუცილებელია. ამას მოითხოვს ჩვენგან უფალი. სახარებაში ის ამბობს: „... აღვაშენო ეკლესია ჩემი და ბჟენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდნენ მას“ (მათე 16,18).

კითხვა: რას ნიშნავს ეს სიტყვები?

პასუხი: უფალი პირდება თავის ეკლესიას მარადიულ დაუძლევლობას მტრებისაგან. უფლის აღთქმის მიხედვით, თვით სატანურ ძალებსაც კი არ შეუძლიათ ეკლესიაზე გამარჯვება. ისინი ვერ

გაიტყუებენ ეკლესიას სიკვდილისა და სიცრუის გზაზე. მითუმეტეს ვერ სძლევენ ეკლესიას მდევნელები, ერეტიკოსები და ცოდვილები.

კითხვა: კიდევ რა განამტკიცებს აზრს ასეთ რწმენაში ეკლესის შესახებ?

პასუხი: მოციქულ პავლეს სიტყვები. მოციქული წერს ტიმოთეს: „ეკლესია ღმრთისა ცხოველისა, სუსტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა“ (1 ტიმ. 3,15). მოციქულის სიტყვებიდან გამომდინარეობს, რომ ყველაზე მარალიული ჭეშმარიტება ეყრდნობა ეკლესიას, როგორც სვეტი. და ამიტომ უეჭველია, რომ ქრისტეს ეკლესია უცოდმელია. მისი ნებისა და მოძღვრების წინაშე ყველა მორწმუნე მოწიწებით უნდა იხრიდეს ქედს.

კითხვა: როგორ შეიძლება დავრწმუნდეთ გამოცდილებით ქრისტეს კათოლიკე ეკლესიის მარალიულ უცოდმელობაში?

პასუხი: ამგვარ აზრს განვიმტკიცებს მართლმადიდებელი სარწმუნოების სიმბოლოს განხილვა. ეს სიმბოლო არის მაგალითი, სახე სარწმუნოებისა ყველა დროის ქრისტეანებისთვის, რადგან იგი შეიცავს, როგორც უკვე ვნახეთ, წმიდა სახარებისეულ ჭეშმარიტებას. ამგვარად, მართლმადიდებელი ეკლესია უცოდმელ სარწმუნოებაში იქნება უკუნისამდე.

კითხვა: რა აზრით იწოდება ეკლესია კათოლიკედ და სამოციქულოდ?

პასუხი: იმ აზრით, რომ ეკლესია შეიცავს ყველა დროის, განუსაზღვრელად ადგილისა და ერისა, ყველან მყოფ ჭეშმარიტ მორწმუნებებს. დაფუძნებულია მოციქულთა შრომითა და ღვაწლით და ხელმძღვანელობს სამოციქულო გარდმოცემით.

8. ეკლესიის მიერ ცოდვილთა განსჯის შესახებ

კითხვა: როგორი უფლებები გადასცა უფალმა თავის ეკლესიას მიწაზე?

პასუხი: დიადი და მხსნელი უფლებები. კერძოდ, ცოდვილთა განსჯის უფლება.

კითხვა: საღმრთო წერილში სად არის ლაპარაკი ეკლესიის ამ უფლებაზე?

პასუხი: მათეს სახარებაში ვკითხულობთ: „... ხოლო უკეთუ კრებულისაცა არა ისმინოს, იყან იგი შენდა, ვითარცა მეზუერე და წარმართი“ (მათე 18,17).

კითხვა: ვის ეკუთვნის ეკლესიაში განსჯის უფლება?

პასუხი: ეს ეკუთვნის მარტოოდენ ეკლესიის მწყემსთ. ეს ჩანს უფლის სიტყვებიდან, რომელიც მოციქულებისადმია მიმართული: „უკეთუ ვიეთნიმე მიეტევნეთ ცოდუანი, მიეტევნენ მათ; და უკეთუ ვიეთნიმე შეიპყრენეთ შეპყრობილ-იყუნენ“ (იოანე 20,23). მხედველობაში აქვს რა ეს, მოციქული პავლე ტიმოთეს მიმართ ეპისტოლეში შეაჩვენებს მენოს და ალექსანდროს, ღვთისგმობის გამო (1 ტიმ. 1,20).

კითხვა: რა მოვალეობები ეკისრებათ მორწმუნებს ძმათა განსჯის დროს?

პასუხი: მორწმუნებმა მცოდველი ძმები უნდა ამხილონ და შეაგონონ (ეფეს. 5,11; 1 კორ. 14,24). მათი მოუნანიებლობის შემთხვევაში, დაემოწმონ მათს წინააღმდეგ ეკლესიის მოძღვრის

ჭინაშვ (მათე 18,17). ხოლო თვითონ არვინ განსაჭონ (მათე 7,1) და ყველას მიუტევონ მათი შეცოდებანი (ლუკა 6,37; ეფეს. 4,32).

კითხვა: ცოდვილთა განსჯის როგორი წესია მითითებული სახარებაში?

პასუხი: სახარება მოგვიწოდებს, მცოდველი ძმები პირველად ვამხილოთ, როდესაც მარტო არიან, თუ ასეთი მხილებით ვერ მივაღწევთ წარმატებას, დავანამუსოთ ისინი მოწმეებთან ერთად და თუ არც ამ შემთხვევაში მოინანიებენ, მოვახსენოთ ეკლესიას მათ შესახებ. ვინც არ მოუსმენს ეკლესიას, ის გაირიცხება მორწმუნეთა საზოგადოებიდან და ქრისტეანებისათვის იქნება, როგორც წარმართი და მეზუერე (მათე 18,15-17; 1 ტიმ. 1,20; 1 კორ. 5,1-5).

კითხვა: როგორ უნდა მოვცყრათ ეკლესიდან განკვეთილ ქრისტეანებს?

პასუხი: მოვალე ვართ განკვეთილები მხედველობაში გვყავდეს (2 თესალ. 3,14); და ვცდილობდეთ ლოცვებით მათ სინანულში მოყვანას (მათე 5,44) ეკლესის მოძღვარნი კი განკვეთილ ქრისტეანებს არ უშვებენ წმ. საიდუმლოებებზე.

კითხვა: აღესრულება თუ არა თანამედროვე მართლმადიდებელ ეკლესიაში მცოდველთა განსჯა? (განსჯა ცოდვილთა?)

პასუხი: აღესრულება. მართლმადიდებელი მოძღვრები განკვეთენ ცოდვილებს. მეტად დამნაშავეებს, მათ შორის, არ უშვებენ წმ. ზიარებაზე, ხოლო ერეტიკოს ცრუ მოძღვრებს საერთოდ გარიცხავნ ეკლესის შემადგენლობიდან. ასეთი მკაცრი განსჯა ერეტიკოსებისა, ყოველწლიურად წარმოებს ჩვენთან მართლმადიდებლობის კვირიაკეში. ხანდახან ხდება ცალკე, ყოველგვარ დროს, როგორც მოხდა მწერალ გრაფ ტოლსტოის შემთხვევაში.

კითხვა: ხდებოდა თუ არა მოციქულთ დროს უსახელო განსჯა ცოდვილებისა, როგორც ეს ჩვენთან მართლმადიდებლობის კვირიაკე?

პასუხი. ხდებოდა. ეს ჩანს პავლე მოციქულის სიტვებიდან: „უკეთუ ვინმე (ე.ი. ყოველგვარი აღამიანი) გახარებდეს თქუენ მისა გარეშე, რომელი იგი მიიღეთ შეჩვენებულ იყავნ“ (გალატ. 1,9).

4. ეკლესიის უფლების შესახებ, შემოილოს ახალი საღმრთოსმსახურო წესები მორწმუნეთა დახარიგებლად

კითხვა: აქვს თუ არა ეკლესიას უფლება შემოილოს ახალი წესები მორწმუნეთა სარგებლობისათვის?

პასუხი: უეპეველად აქვს.

კითხვა: საიდან გამომდინარეობს ეს?

პასუხი: უპირველეს ყოვლისა თვით ეკლესიის ცნებიდან, როგორც ქრისტეს ცოცხალი სხეულისა. (ეფეს. 1,23). ცოცხალი სხეული ან თანახარებს, ან თანაივნება მისი ასოების მდგომარეობის მიხედვით და ქვეყნიური ეკლესია, როდესაც ხეტავს, თუ როგორ განიცილნ მისი შეილები ნათესავის სიკვდილს, ამშვიდებს მათ ნაღვლიანი ღმრთისმსახურებით; ნათელ, სააღდგომო დღეებში - ეკლესია ახარებს მორწმუნებს ახალი საგალობლებით. შემდეგ, ეკლესიის უფ-


ლება შემოილოს ახალი საღმრთისმსახურო წესები, გამომდინარეობს სამოციქულო ეკლესიის მაგალითიდან. სამოციქულო კრებაზე დააფინეს, რომ არ წინადაცვითონ წარმართთაგან მოქცეული ქრისტეანები. ეს დადგენილება ქრისტეანებისათვის იყო სიახლე (საქმე 15). მოციქული პავლე უანდერძებს ქრისტეანებს: „ასწავებდით და ჰმოძლურიდით თავთა თქუენთა ფსალმუნითა და გალობითა და შესხმითა სულიერითა“ (კოლ. 3,16), ხოლო თვით ეკლესიის საგალობლები მან არ აღწერა. ამით მოციქულმა ნათლად აჩვენა, რომ ქრისტეანებს შეუძლიათ შემოიტანონ ახალი საღმრთისმსახურო საგალობლები მორწმუნეთა სარგებლობისათვის. ბოლოს, ახალი განვებით ქალწულთა შესახებ (1 კორ. 7,25), მოციქული გვასწავლის, რომ ქრისტეს ეკლესიის მოძღვართ, სული წმიდით განბრძნობილთ (საქმე 20,28), აქვთ უფლება დაამყარონ ეკლესიაში ახალი საღმრთისმსახურო წესები და ჩვეულებანი მორწმუნეთა სულიერი სარგებლობისათვის.

კითხვა: რომელი კანონებით ხელმძღვანელობდეს ქრისტეს ეკლესია, ყოველი ახალი წესის შემოტანისას?

პასუხი: ამ კანონზე მიუთითებს მოციქული: ეკლესიაში „ყოველივე შეწიერად და წესიერად იქმნებოდინ“ (1 კორ. 14,40), ყოველივე უნდა „აღაშენებდეს“ მორწმუნეს (1 კორ. 10,23).

კითხვა: განსაკუთრებით რა აიძულებს ეკლესიას შემოილოს გამოსაყენებლად სახარებისეულთან შედარებით ახალი წეს-ჩვეულებანი?

პასუხი: ის რომ სახარებაში ან საერთოდ არ არის აღნიშნული, ან ძალიან მოკლედაა მოხსენიებული ქრისტეანული ცხოვრების სხვადასხვა მხარეები (იოანე 20, 30). მაგალითად, სახარებიდან არ არის ცნობილი, როგორ აღსრულდეს მორწმუნეზე ნათლობა, ჯერისწერა და სხვა საიდუმლოებანი.



კურთხეულ არს ქრისტე ღმერთი ჩუენი, რომელმან მყოფნი ბნელისანი ნათლად აღმოიყვანნა და მოგუცა ჩუენ საჭურველად ჯუარი ცხოველი. მოვედით ერნო, თაყვანის-ვსცეთ პატიოსანსა ჯუარსა.

ექვთიმე კოჭლამაზაშვილი

„ვგალობდით ეს მაცნეერებით“¹

(წერილი პირველი)

დავით წინასწარმეტყველის სიტყვით - „ნეტარ არს ერი იგი, რომელმან იცის გალობა უფლისა“ (ფს. 88,16). წმიდა მამათა განმარტებით აქ გალობა ფართო მნიშვნელობითაც შეიძლება გავიგოთ (საზოგადოდ, ღმრთისმასხურების აზრით) და ვიწრო მნიშვნელობითაც, ე.ი. საკუთრივ საღმრთო გალობის გაეჩინო.

„ნეტარ არს ერი იგი, რომელმან იცის გალობა უნი, უფალო; ნათლითა პირისა შენისათა ვიდოდიან“. აქ „პირი“ მამისა - არის ძე ღმრთისა, იესუ ქრისტე (შდრ.ფს.4,7: „გამოჩნდა ჩუენ ზედა ნათელი პირისა შენისა, უფალო“), ნათელი ძისა კი - მისი მცნებები, ქრისტიანული სჯული („სანთელ არს ფერწეთა ჩემთა შეული შენი და ნათელ - ალაგთა ჩემთა“, - ფს.118,105). ამრიგად, დავით მეფე გვასწავლის, რომ ვანც იცის უფლის გალობა, იგი ღმრთის „პირის ნათლით“ ივლის, ე.ი. ქრისტეს მცნებებს აღასრულებს და მის სჯულს დაიცავს (Толковая псалтирь Евфимия Зигабена, Монреаль, 1986, 703).

გალობის ცოდნა ტექსტისა და კილოს ზეპირი ცოდნით როდი შემოიფარგლება. მგალობელს უნდა ესმოდეს საგალობლის საღმრთისმეტყველო აზრი, მასში წარმოდგენილი სიმბოლური სახეები, საღმრთო წერილის ამა თუ იმ ადგილის მინიშნება... მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს „მეცნიერებითი“ გალობა (ფს.46,8: „უგალობდით მას მეცნიერებით“).

როდესაც გალობა „არა-მეცნიერებითია“, ე.ი. საგალობლის ტექსტი არ გვესმის, ჩვენი გონიერი საგალობელში გამოთქმული საღმრთისმეტყველო აზრებისაგან მოწყვეტილი დარჩება, ხოლო ასეთი გალობა ვერ იქნება ღმრთივ-სათნო; ამიტომაც საღმრთისმეტყველო განათლების გარკვეული ღონე აუცილებელი თითოეული მგალობლისათვის (იხ. „ჯვარი ვაზისა“, 1990, 2, გვ.7-8).

შემთხვევითი როდია, ცოდნის შეძენა ნათლის მიღებასთან (განათლებასთან) რომ არის დაკავშირებული, ნათლის მიღება კი - სულიწმიდის მაღლის მიღებასთან (ნათლისღების სახით). „აღიერებით სულითა“ (ეფეს. 5,18), - გვმოძღვრის ნეტარი პავლე, და იქვე გვასწავლის: „ეტყოდით თვეთა თვესთა ფსალმუნითა და გალობითა და შესხმითა სულიერითა, უგალობდით და აქებდით გულითა თქუენითა ღმერთსა“ (ეფეს. 5,19). „სულიერი შესხმა და გალობა“ ღმრთის საღიღებელიც არის და მგალობელთა განმშეღელიც; საღმრთო ღიდებისმეტყველება აფაქიზებს სულს, უღვივებს

1 რედაქციის მიაჩინია, რომ წერილში მოყვანილი კონიე ქტურის საეკლესიო პრაქტიკაში დანერგვა შესაძლებელია მხოლოდ უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით.

სიწმიდისაკენ ლტოლვას. სწორედ ამიტომ უნდა „ ვ ე ტ ყ ო დ ე თ თ ა ვ თ ა თ კ ს თ ა გ ა ლ ი ნ ბ ი თ ა დ ა შ ე ს მ ი თ ა ს უ ლ ი ე რ ი თ ა “. სალმრთისმსახურო წიგნ თა კრიტიკულად დადგენილი ტექსტების უქონლობის გამო ხშირად ჩვენი გალობა არაზუსტია, ხშირად საგალობლის ტექსტი იმდენადა დამახინჯებული, რომ გუგებარია და ზოგჯერ მკრეხელურიც კი გამოდის. ამიტომ, ვიდრე საგალობლის შინაარსს სრულად ჩატვირთეთ და „უეტყოდეთ თავთა თვესთა ფსალმუნითა და შესხმითა სულიერითა“, ჯერ საგალობლის ტექსტი უნდა დავაზუსტოთ და შევაჭეროთ იგი ძველ ხელნაწერებთან და ბერძნულ დედანთან. ამ საქმეს კი საბოლოოდ სალმრთისმსახურო წიგნთა კრიტიკული გამოცემის საჭიროებასთან მიყყავართ.

სალმრთისმსახურო წიგნთა შესწორებისათვის ზრუნვა გასული საუკუნის მიწურულში დაიწყო. განსწავლულ სასულიერო პირთა ინიციატივით შეიქმნა ბიბლიისა. და სალმრთისმსახურო წიგნების შემასწორებელი კომისია, რომ ლის მიზანი იყო ძველი ქართული ხელნაწერებისა და ბერძნული ორიგინალის გათვალისწინებით გაესწორებინა „უამთა სვლისა და რედაქტორ-გადამწერთა უმეტების შედეგად დამახინჯებული ხსენებული ლიტერატურა, რათა ქართულ მღვდელმსახურებას ამრიგად გაესწორებინა თვალი ლიტერატურის თანამედროვე მიღწევებისათვის“ (ნ.პაპუაშვილი, კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე, საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1982 წლისათვის, გვ.149). კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ არქიმანდრიტი პიროსი ოქროპირიძე, მღვდელი კალისტრატე ცინცაძე, დეკანზი კორნელი კეკელიძე, იუსტინე აბულაძე და სხვ. კომისია აქტიურ მოღვაწეობას შეუდგა (1908 წელს დეკ.კ.კეკელიძისა და მღ.კ.ცინცაძის რედაქტორობით გამოქვეყნდა „სამღლელთმთავრო კონდაკი“, 1915 წელს დაიბეჭდა „კურთხევანი“, თუმცა მისი გავრცელება ვერ მოხერხდა და მთელი ტირაჟი განადგურდა; ჩასწორდა სამღლელო კონდაკი და ა.შ.), მაგრამ მაშინდელი საზოგადოების ერთი ნაწილი მტრულად შეხვდა მის მუშაობას. რასაკვირველია, მათი პოზიცია სრულ გაუგებრობასა და ლიტერატურის მწერლობის უცოდინრობაზე იყო დაფუძნებული, და საკადრისი პასუხიც მიიღეს (იბ.ნ.პაპუაშვილი, დასახ.წერილი, გვ.149-150), მაგრამ კომისიამ მანც ვერ მიიყვანა დაწყებული საქმე ბოლომდე. ამის ძირითადი მიზეზი იყო ჯერ რევოლუცია, შემდეგ კი საბჭოების მიერ ეკლესიის უკიდურესი შევიწროება.

დღეისათვის, ეკლესიის აღმრბინების უამს, ხელახლა დგება საკითხი სალმრთისმსახურო წიგნთა შესწორებისა და გამოცემისა. ეს დიდი და შრომატევადი საქმეა. მის ბოლომდე მიყვანას შეიძლება ათეული წლები დასჭირდეს. ამიტომ პირველ რიგში უნდა დაზუსტდეს ყველაზე გავრცელებული ლოცვები და საგალობლები, თანდათანობით კი ყოველი ლიტერატური და პიმოგრაფიული კრებულიც, რადგან ღმრთისმსახურება გამართული და დაზუსტებული ლოცვისა და გალობის გარეშე წარმოუდგენერილია.

ამჯერად გვსურს შემოგთავაზოთ რამდენიმე საგალობლის ტექსტი, რომელიც დამახინჯებით სრულდება იმის გამო, რომ შემსრულებლები ეყარებინ არა ლიტერატურულ წყაროებს, არამედ ზეპირ გადმოცემას. ეს საგალობლები ჩატვირთილი იყო ძირითადად ფოლკლორული მოსაზრებით და კილოსთან ერთად სიტყვებიც ისეა გადმოცემული, როგორც ამას ხალხური მგალობლები წარმოთქვა-ამდნენ.

ტექსტის დასაზუსტებლად პირველ რიგში უნდა მოხდეს მათი იღენტიფიკაცია, ე.ი. მოძებნა სათანადო ლიტერატურულ კრებულში, შემდეგ კი -ვარიანტების შედარება და არქეტიპის აღდგენა.

1. იოვანე ოქროპირის წირვის II აღსავლის „აწლა“-ზე გალობენ: „მხოლოდ შობილი ძე და სიტყვა ღმრთისა (var. ღუთისა) უკვდავი არსება; თავს იდვა ჩვენისა ცხოვრებისათვის, და (var.-)

ხორცი შეისხა (var. ხორცინი შეისხნა) სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, უქცეველად (var. უქცევლად) განკაცნა და ჯვარს ეცვა ჩვენთვის (var.-) ქრისტე ღმერთი, სიკვდილითა სიკვდილი დასთრგუნა, და ერთი წმიდისა სამებისა, - თანა-დიდებულ არს მამისა და ყოვლად წმიდისა სულისა, გვაცხოვნენ ჩვენ“ (ქართული საეკლესიო საგალობლები წმ. იოანე ოქროპირის წირვისა, ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ხმა-შეწყობილი, ზაქ. ფ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი ს მიერ, 1909, გვ.3-5. ასეთივე ტექსტი გვაქვს სადილის უამნში (იხ. სასწავლო უამნი სოფლის დასაწყისს სასწავლებელთათვის, ქუთაისი, 1893, გვ.132; უამნის 1899 წლის გამოცემაში უმთავრესი ვარიანტული სხვაობაა „გვაცხოვნენ“, ნაცვლად „გვაცხოვნენ“-სი).

როგორც ვხედავთ, ტექსტის შუა ნაწილი თხრობითი ხასიათისაა (“... თავს იღვა ჩვენისა ცხოვრებისათვის და ხორცინი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, უქცეველად განკაცნა და ჯვარს ეცვა ჩვენთვის ქრისტე ღმერთი, სიკვდილითა სიკვდილი დასთრგუნა, და ერთი წმიდისა სამებისა, თანა-დიდებულ არს მამისა და ყოვლად წმიდისა სულისა...”), დასაწყისი - „მხოლოდშობილი ძის“ დასახელებას წარმოადგენს („მხოლოდშობილი ძე და სიტყვა ღმრთისა, უკვდავი არსება“...), დაბოლოება კი - თხოვნას („გვაცხოვნენ ჩვენ“), რითაც ისინი ტექსტის შუა ნაწილისაგან სრულიად მოწყვეტილი არიან. ეს შეუსაბამობა თავის ღროზე შეუნიშნავს კათალიკოს-პატრიარქს კალისტრატე ცინცაძეს და სიონის მგალობელთათვის შესწორებული ტექსტი გადაუცია (ამ ტექსტის მიხედვით სრულდება გალობა სიონის საპატრიარქო ტაძარში დღემდე): „მხოლოდშობილი ძეო და ღმრთისა სიტყვაო, უკვდაო არსებავ, რომელმან ჩვენისა ცხოვრებისათვის ხორცინი შეისხნენ სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, უქცეველად განკაცნენ და ჯვარს-ეცვ ჩვენთვის (ძველი ორთოგრაფიით: ქუარს-ეცუ ჩუენთვს), ქრისტე, ღმერთი ჩვენო, და სიკვდილითა სიკვდილი დასთრგუნენ, ერთო წმიდისა სამებისაო, მამისა და ყოვლადწმიდისა სულისა თანა ღიღებულო, გვაცხოვნენ ჩვენ“.

რედაქტირებულ ტექსტში ყველაფერი ნათლად გამოჩნდა. საგალობლის პირველი ნაწილი მიმართვა ყოფილა (ქრისტე მოხსენებულია „მხოლოდშობილ ძედ“, „სიტყვად ღმრთისა“, წმიდა სამების ერთ-ერთ პიპოსტრასად და ა.შ.), მეორე ნაწილი კი - თხოვნა („გვაცხოვნენ ჩვენ“), რაც სავსებით ლოგიკურია. სამწუხაროდ, კალისტრატე ცინცაძის მიერ რედაქტირებული ტექსტი ფართოდ ვერ გავრცელდა და უმეტესწილად „უამნიდან“ ამოღებულ ტექსტს ვისმენთ ეკლესიებში. სასურველია ამ შემთხვევაში ყველამ სიონის გუნდს მიბაძოს.

იმისათვის, რათა აშეარად გამოჩნდეს შესწორებული ტექსტის უპირატესობა, შედარებისათვის მოვიყვანთ ბერძნულ და სლავულ ტექსტებს:

ὅ μονογενῆς Ιεόδις καὶ Λόγος τοῦ Θεοῦ,
ἀριάνατος ὑπάρχων,
καὶ καταδεξάμενος διὰ τὴν ἡμετέραν σωτηρίαν,
σαρκωθῆναι ἐκ τῆς ἀγίας Θεοτόκου
καὶ ἀετσαρθένου Μαρίας,
ἀτρέπτως ἐνανθρωπήσας,

σταυρωθείς τε Χριστὲ ὁ Θεός,
θανάτῳ δάνατον πατήσας,
εἶς ὁν τῆς ἀγίας Τριάδος,
συνδοξαζόμενος τῷ Πατρί,
καὶ τῷ ἀγίῳ Πνεύματι, σῶσον ἡμᾶς.

Единородный Сыне и Слове Божий, Бессмертен сый, изволивый спасения нашего ради воплотитися от святыя богородицы и Приснодевы Марии, непреложно вочеловечивыйся, распныи же Христе Боже, смертью смерть поправый, Един сый Святыя Тройцы, Спрославляемый Отцу и Святому Духу, спаси нас.

2. „ცხრა ნეტარების“ გალობისას ბოლო მუხლის წინ („გიხაროდენ და მხიარულ იყვენით“...) გალობები: „უფალო, შეგვიწყალენ“ (ზ.ფალიაშვილის კრებული, გვ.8).

არსებობს მოსაზრება, რომ რაკი მღდელი შესვლის ლოცვას საიდუმლოდ ამბობს, ამ ლოცვის წინ სათქმელი „უფლისა მიმართ ვილოცოთ“ და „უფალო, შეგვიწყალენ“ ასევე საიდუმლოდ უნდა ითქვას, ხოლო მგალობელი გალობდნენ მხოლოდ „მომიწისენესა“ და მის დასდებლებსო (ასეთი აზრისა, მაგალითად, მამა ზურაბ ანთაძე, შიო-მღვიმის მონასტრის წინამძღვანი, მამა იოვანე და სხვ.). „მომიწისენეთა“ და მთავრებისას, ჩვეულებრივ, ამბობენ „დიდება“-სა და „აწდა“-ს სათანადო მუხლებით (საუფლო დღესასწაულებზე „მომიწისენეს“ ენაცვლება საგანგებო მუხლებით შედგენილი მესამე ანტიკონი); ამრიგად, „უფალო შეგვიწყალენ“-ის ადგილი აღარ ჩჩება. ვფიქრობთ, ასეთი გადაწყვეტა სწორი უნდა იყოს, თუმცა ამას რამდენადმე ეწინააღმდეგება იოვანე ოქროპირის უამისწირვის ერთი ძველი ნუსხის მონაცემები (XII ს-ის სინური ხელნაწერი sin.89; გამოცემულია ა ნ დ რ ე უ ა კ თ ბ ი ს მიერ: Une version géorgienne inédite de la liturgie de saint Jean Chrysostome, Le museon, LXXVII, 1964, 65-119). გასში ვკითხულობთ:

„და ალილონ „მომიწისენე“ და თქუნენ ზედა-დასდებელი და დიაკონმან ალილოს სახარებად და საცეცხური, მღდელი უკანა შეუდგეს და მოვიდენ სამეუფოთა ბჭეთა.

დ ი ა კ თ ნ მ ა ნ: უფლისა მიმართ ვილოცოთ.

ე რ მ ა ნ : კვრიელებსონ.

დ ი ა კ თ ნ მ ა ნ: „დიდებასა“ ზედა მიუპყრას მღდელსა საკმეველი, მღდელმან ჯუარი დასწეროს, დიაკონმან დაასხას და მღდელმან ესე ლოცვად შესლვისად წართქუას“...

როგორც ვხედავთ, „უფალო შეგვიწყალენს“-ს („კვრიელებსონ“) ერი წარმოთქვამს, და არა საიდუმლოდ მღლოცველი მღდელი თუ დიაკონი. გაურკვეველი მხოლოდ ისაა, თუ რომელ მუხლში უნდა მოხდეს მისი ჩართვა (გარეგნულად ისე ჩანს, თითქოს ყოველივე ეს „დიდების“ მუხლამდე უნდა მოხდეს). ამ წინააღმდეგობას ერთგვარად ხსნის თანამედროვე კონდაკი:

„ხოლო რაეამს მიიწივნენ „დიდებასა“ ზედა (იგულისხმება „მომიწისენისა“ და მისი დასდებლების ბოლოს სათქმელი „დიდების“ მუხლი-ე.კ.), მღდელი და დიაკონი დადგებიან წინაშე წმიდისა ტრაპეზისა, და ჰყოფენ თაყვანის-ცემასა გვგზის, და ესრუთ მიიღებს მღდელი წმიდასა სახარებასა, მისცემს დიაკონსა და წარმოვლენ მარჯვენით კერძო უკანით ტრაპეზისა, და ესრუთ

გამოვლენ ჩრდილოეთით კერძო, წინა უძლოდეს მათ ლამპარნი, ჰყოფენ მცირესა გამოსლვასა, და ჩვეულებისაებრ დასდგებიან ადგილსა თვისა, მოიდრეკენ ორნივე თავსა და დიაკონი იტყვის: „უფა-ლისა მიმართ ვილოცოთ“ (კონდაკი, 1899, 126).

ამრიგად, აქ გამოსვლა მხოლოდ „დიდების“ მუხლზე იწყება და, ბუნებრივია, „დიდებისა“ და „აწდას“ მუხლების შემდეგაა ნაგულისმეევი „უფლისა მიმართ ვილოცოთ“.

ამგვარ გადაწყვეტასაც დიდი ნაკლი აქვს: საიდუმლო ლოცვა (კონდაკი, გვ. 126-127), წმიდა შესავლის კურთხევა და სახარების შემთხვევა ხანგრძლივ პაუზას წარმოშობს. ამრიგად, უფრო გამართლებული უნდა იყოს „მომიქსენეთა“ და მის დასდებელთა შეუფეხებელი გალობა („დიდებისა“ და „აწდას“ მუხლების ჩათვლით), „უფალო, შეგვაწყალენ“-ის გარეშე.

3. ჭრის ამაღლების დღესასწაულზე „წმიდაო ღმერთოს“ წილ გალობენ: „რაოდენთა ჭრისტეს მიერ ნათელ-გვილებიეს, და ჭრისტე შეგვმოსიეს, ალილუა“ (ზ.ფალიაშვილის კრებ., გვ.14). ეს სიტყვები აღებულია პავლე მოციქულის ეპისტოლედან: „რაოდენთა ჭრისტეს მიმართ ნათელ-ილეთ, ჭრისტე შეიმოსეთ“ (გალ.3,27). უფრო ადრინდელი რედაქციით: „რაოდენთა ნათელ-ვილეთ ჭრისტეს მიმართ, ჭრისტე შევიმოსეთ“ (პავლენი, გამოსაცემად მოამზადეს ქეთევან ძოწენიძემ და კორნელი დანელიამ, 1974, 233).

რომელი რედაქციაც არ უნდა ავილოთ, აზრი ნათელია: ვინც ჭრისტეს მიმართ ნათელ-ილო, იგი ჭრისტე-შემოსილია, ე.ი. ჭრისტიანული სული აქვს მიღებულიო. რაც შეეხება ამ მუხლში „და“-ს ჩამატებას („... და ჭრისტე შეგვმოსიეს“), იგი ძალიან აბუნდოვნებს წინადადებას; იმდენად, რომ დასრულებულ აზრს არც გამოხატავს. ამიტომ გალობის დროს ეს „და“ კავშირი უსათუოდ უნდა ამოვილოთ.

4. „მრწამსის“ გალობის დროს წარმოვთქვამო: „... და ერთი უფალი იესო ჭრისტე“...

„იესო“ - ესაა მაცხოვრის სახელის გვიანდელი ფორმა. ეს სახელი ქართულში თავდაპირველად „იესუ“-ს ფორმით შემოვიდა:

„... და უწოდა სახელი მისი იესუ“ (მათე 1,25).

„იესუ“ ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელია. არც ერო ბრუნვაში არ იცვლებოდა მისი ფუძე: „ჰკითხა მას იესუ“ (მარკ.5,9).

„ამისთვის ჰსდევნიდეს ჰურიანი იგი იესუს“ (იოვანე 5,16).

„ესმა ჰეროდეს ჰამბავი იესუსი“ (მათე 14,1).

„შემიწყალენ ჩუენ, იესუ, ძეო დავითისო“ (მათე 20,30).

„იესუ“ - ასეთი ფორმით მოიხსენებოდა უფლის სახელი არა მარტო საღმრთო წერილის ხველ თარგმანებში, არამედ სასულიერო მწერლობის სხვა ქმნილებებშიც. მაგალითების დასახელება უსასრულოდ შეიძლება.

მოგვიანებით, ძირითადად XVIII-XIX საუკუნიდან, „იესუ“-ს ნაცვლად დამკვიდრდა მისი ხალხური ფორმა - „იესო“. ვფიქრობთ, ეს იმის შედეგი იყო, რომ ამ დროიდან საზოგადოების დიდი ნაწილი სასულიერო მწიგნობრობას ჩამოსცილდა და უფლის სახელი მარტო წირვა-ლოცვა-აზელა ესმოდა. თანდათან ეს ხალხური ფორმა მწიგნობრულად იქცა და დღეისათვის თითქმის ყველგან, სადაც „იესუ“ უნდა ყოფილიყო, იწერება და წარმოითქმის „იესო“. ამ სახეცვლილებას შესაძლოა „უ“-ს დაწერილობის გრაფიკულმა თავისებურებამაც შეუწყო ხელი. როგორც ცნობილია.

ასომთავრული და ნუსხური დამწერლობა „უ“-ს წარმოგვიდგენს როგორც ღიფთონგს: ოკ (შესაძლოა ბერძნული ტუ-ის ანალოგით). ამ ღიფთონგის მეორე წევრის დაკარგვით გვრჩება მარტო „ო“ (იესოვაჲსო). ასეთ მოვლენას ადგილი ჰქონდა მრავალ შემთხვევაში. მაგალითად, სიტყვა „უფალი“ ქარაგმით ზოგჯერ იწერებოდა ასე: „ო რ ი“. აქ პირველი ასო (ო) გაგებული იყო, როგორც ოკ ღიფთონგის პირველი შემადგენელი, და არა როგორც „ო“ ასოთი გამოხატული ბგერა.

ერთი ენიდან მეორეზე სახელის გადატანისას ღიდი ყურადღება ექცევა არა მარტო გამოთქმათა მაქსიმალურ იდენტურობას, არამედ ენის ფონემატურ თავისებურებებს, ლიტერატურულ ტრადიციებს და სხვ. ამდენად, გარკვეული თვალსაზრისით „იესუს“-ს ფორმას უკვე მოპოვებული აქვს არსებობის უფლება, მაგრამ ვფიქრობთ, რომ უპირატესობა „იესუს“ ფორმას უნდა მიეცეს. ჯ ე რ ე რ თ ი, იგი უფრო ახლოა ბერძნულ ქრისტიანობისათვის (რუსული „Иисус“ და სომხური „Քիսուს“ მიღებულია ბერძნული ე-ს გვიანდელი გამოთქმის გათვალისწინებით. ლათინურ და თანამედროვე ევროპულ ენებზე კი გვაქვს: Jesus, Iesus. აქ ბერძნულ ე-ს შეესაბამება ე. ქართული ფორმაც არქაულ წაკითხვას უჭერს მხარს. ეს, შესაძლოა, უძველეს ებრაულ-ქრისტიანული ტრადიციის კვალი იყოს. როგორც ვარაუდობენ, მცხეთელ ებრაელთა შორის პირველ საუკუნეშივე უნდა ჩამოყალიბებულიყო ქრისტიანული თემი), მ ე ო რ ე, —ლიტერატურული ტრადიცია უფრო ძველი და ხანგრძლივი აქვს. მ ე ს ა მ ე ც— თანამედროვე ღმრთისმეტყველთა შორის შეიმჩნევა ტენდენცია ამ სწორი ფორმის აღდგენისა.

5. ბერძნული ე-ს საკუთარი სახელების ქართულ ენაზე გაღმოლებისას, ჩვეულებრივ, არქაული წაკითხვით გადმოდის: იესუს (და არა „იისუს“), გაბრიელ (და არა „გავრიილ“), მიქაელ (და არა „მიხაილ“), ესაია (და არა „ისაია“) და ა.შ. იგივე ითქმის ებრაულიდან ბერძნულის საშუალებით შემოსულ „ამენ“-სა და „ალელუქა“-ზე. როგორც ცნობილია, ბიზანტიურ პერიოდში ბერძნული ე-ს წარმოთქმამ ტრანსფორმაცია განიცადა და „ი“-ს დაუახლოვდა (იხ.ნ.მახარაძე, ბიზანტიური ბერძნულის წარმოთქმის საკითხები, თბ., 1978წ.). ასე მივიღეთ „ამენ“-ის ნაცვლად „ამინ“; „ალელუია“-ს ნაცვლად „ალილუია“, მაგრამ ქართულმა ლიტერატურულმა ტრადიციამ გვიანობამდე შემოინახა სწორი გამოთქმები, დაახლ. XVIII ს-დან კი საბოლოოდ დამკვიდრდა „ამინ“ და „ალილუია“. ამ მოვლენას აღმართ ხელი შეუწყო რუსული სასულიერო მწერლობის გავლენამაც (ან, სხვანაირად, კულტურულ-ეკლესიურმა ექსანსიამ).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სავიროა აღდგეს ამ სიტყვების ძველებური დაწერილობა. ჯ ე რ ე რ თ ი, „ალელუია“ და „ამენ“ უფრო ახლოა სათანადო ებრაულ სიტყვებთან, ვიდრე მათი ახალგერძნული შესატყვისები (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ყოველივე არქაულის ფანატიკურად დამკველ „სტარობრიადცებსაც“ კი გვიანდელი გამოთქმა აქვთ დაკანონებული. ეს აისწენდა იმით, რომ სლავურად საღმრთო წერილი გაცილებით გვიან ითარგმნა, და მასში აისახა ე-ს წარმოთქმის თანადროული ფორმა), მ ე ო რ ე ც, „ალელუიას“ და „ამენს“ მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურული ტრადიცია აქვს (ძველ ქართულ მწერლობაში ასეულობით შეგვაძლია დავასახელოთ თხზულებები, სადაც ეს ფორმები დასტურდება). მ ე ს ა მ ე ც, „ალელუია“ და „ამენ“ ფორმები დღესაც ცოცხალია საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. მაგალითად, სვანეთში „ამინ“-ს არავინ იტყვის. დალოცვის ბოლოს ამბობენ: „ამენ“. გურიაში გალობენ: „გვაცხოვნენ ჩვენ ძეო ღვთისაო... მგალობელი შენი, ალელუია“ (იხ. ქართული გალობა, იმერიულ-გურიული კილო, ჩაწერილი და ნოტებზე გადაღებული კახი როსე გბაშვილის მიერ, თბ., 1968, გვ.17).

და ბოლოს, შეიძლება დავსვათ კითხვა: ხომ არ ჩაგვეთვლება „ამნისა“ და „ალელუფას“ აღდგენა კათოლიკური ეკროპის მიბაძვად (ეკროპულ ენებში, როგორც ცნობილია, სწორედ ასე გამოითქმის ეს სიტყვები)? ამის პასუხად შეგვიძლია მივუგოთ, რომ კათოლიკიზმი, როგორც აღმსარებლობა, ჯერ ჩამოყალიბებული არ იყო, როცა ქართულად „ამნი“ და „ალელუფა“ იგალობებოდა, და ეს ტრადიცია დღემდე არაა შეწყვეტილი. ამრიგად, ჩვენ მხოლოდ სწორი წაკითხვის ტრადიციის აღდგენა გვსურს.

6. მღდელმსახურის დალოცვაზე, – „მშეგიდობა ყოველთა“, მგალობელნი მიუგებენ: „და სულისაცა შენისა თანა“. ბერძნულში გვაქვს: Καὶ μετα τοῦ Πνεύματός σοι, სლავურში – ი აухови твоему. ამ შემთხვევაში რას და ი „და“ კავშირს კი არ გამოხატავენ, არამედ ასრულებენ იმავე ფუნქციას, რასაც ქართული – ც(ა) ნაწილაკი („სულისა-ცა“). ამიტომ ქართულად „და“-ს ჩამატება უადგილოა. ძველ ქართულ ხელნაწერებში ეს ფრაზა სხვადასხვანირადა წარმოდგენილი, მაგრამ ჭარბობს ისეთი ფორმები, სადაც „და“ გამოტოვებულია (იხ. XII ს.ხელნაწერი Sin.89, 7 გ etc. შდრ.ა. უაკობის მიერ გამოცემული „იოვანე თქროპირის წირვის“ ქართული ტექსტი, უკრ. Le museón, N.77, 1964, PP . 94, 104, 113; K. ქეკელიძე, Древнегрузинский Архиератикон, Тифлис, 1912, 81).

ამრიგად, სასურველი იქნება დადგინდეს სწორი ფორმა: „სულისაცა შენისა თანა“.

„და“-ს უადგილო ჩამატება გვხვდება მწუხრის ერთ საგალობელშიც, რომელსაც ვიწყებთ ასე: „და ლირს მყუენ ჩუენ“... (შდრ. უმნი, 1899, 150). ეს საგალობელიც „და“-ს გარეშე უნდა იწყებოდეს: „ლირს-მყუენ ჩუენ“...

7. „ლირს არსი“ ყველასათვის ცნობილი საგალობელია (ზ.ფალიაშვილის კრებ., გვ.36-38), მაგრამ რატომლაც ყურადღების გარეშე დარჩა ის ფაქტი, რომ იგი ბერძნული საგალობლის თავისუფალ თარგმანს წარმოადგენს და დედნის ზოგიერთი ნიუანსი მასში დაკარგულია. მხედველობაში გვაქვს საგალობლის პირველი ნაწილი: „ლირს არს კეშმარიტად, რამთა გადიდებდეთ შენ, ღმრთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ ყოვლად უბიწოდ და დედად ღმრთისა ჩუენისა“.

ბერძნულად გვაქვს:

Αξιόν ἔστιν, ὡς ἀληθῶς, μακαρίζειν σε τὴν Θεοτόκον, τὴν ἀειμακάριστον καὶ μητέρα τοῦ θεοῦ ἡμῶν.

საგალობლის ქართული ვერსიის დასაწყისი ჩვენ ასე გვესმის: „კეშმარიტად (ნამდვილად) ლირსეული საქმეა, რათა გადიდებდეთ შენ, ღმრთისმშობელო“...

გაგრძელება კი რამდენადმე ბუნდოვანია: „რომელი მარადის სანატრელ იქმენ ყოვლად უბიწოდ და დედად ღმრთისა ჩუენისა“. თუ ღმრთისმშობელს ვნატრით, როგორც „ყოვლად უბიწოს“ და „დედას ღმრთისა ჩუენისას“, მაშინ უნდა გვეთქვა: „რომელი მარადის სანატრელ იქმენ, ვითარცა ყოვლად უბიწოდ, და დედა ღმრთისა ჩუენისად“. ხოლო თუ ცალ-ცალკე გვინდოდა აღგვენიშნა ღმრთისმშობლის სანატრელობა, უბიწოება და ღმრთის დედობის პატივი, ალბათ ასე აჭობებდა: „რომელი იქმენ მარადის სანატრელ, ყოვლად უბიწო და დედა ღმრთისა ჩუენისად“. არსებული ქართული ვერსია კი არც პირველ, არც მეორე თვალსაზრისს უჭერს მხარს თავისი ბუნდოვნიბის

გამო. გარდა ამისა, ქართულ საგალობელში „კეშმარიტად“ ითქმის იმის შესახებ, რომ ღირსეული საქმეა ღმრთისმშობლის დიდებისმეტყველება, ჩვენი აზრით კი, რამდენადმე სხვა აზრია ჩაქსოვილი ბერძნულ ტექსტში: „ღირს არს, რადთა კეშმარიტად გაღიღებდეთ შენ, ღმრთისმშობელო, (ვითარცა) მარადის სანატრელსა, ყოვლად უბიწოსა და დედასა ღმრთისა ჩუენისასა“. ე.ი. „კეშმარიტად“ ამ შემთხვევაში მიუთითებს აზრი იმას, რომ ნამდვილად ღირსეული საქმეა ღმრთისმშობლის დიდებისმეტყველება, არამედ ღმრთისმშობლის ჭ ე შ ბ ა რ ი ტ (სწორი, მართალ) დიდებისმეტყველებას; ამრიგად, საგალობლის აზრი ასეთი გამოდის: ღირსეული საქმეა ის, რომ კეშმარიტად (სწორად, სიმართლით) ვაღიღებდით ღმრთისმშობელს...“

საგალობლის ასეთი გაგება რომ სწორია, ადასტურებს მომდევნო ფრაზა: „(ვითარცა) მარადის სანატრელსა, ყოვლად უბიწოსა და დედასა ღმრთისა ჩუენისასა“. მაშასადამე, ღმრთისმშობლის კეშმარიტი (სწორი, მართალი) დიდება გულისხმობს მის აღიარებას „მარადის სანატრელად“, „ყოვლად უბიწოდ“, „ღმრთის დედად“.

საგალობლის მეორე ნახევარში გრძელდება ღმრთისმშობლის ეპითეტების ჩამოთვლა და ამით ხაზი ესმება ისევ იმას, თუ როგორია ღმრთისმშობლის კეშმარიტი (მართალი) დიდებისმეტყველება: „უპატიონენესა ქერაბინთასა, და აღმატებით უზესთაესსა სერაბინთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყვისა ღმრთისასა, მხოლოსა ღმრთისმშობელსა გალობით გაღიღებთ“.

„მხოლოსა ღმრთისმშობელსა“ ბერძნულში ასე: τὴν σύνταξιν θεοτόκον (ღმრთისმშობლად მყოფს); ბოლო სიტყვა კი (ἐπειδή λέγεται η μητέρα του θεού) ითარგმნება ასე: „გაღიღებთ“ (და არა „ვაღიღებდეთ“). „ვაღიღებდეთ“ შესაძლებელია მომდინარეობდეს ბერძნულიდანაც: μεγαλησύνημεν, თუკი თავდაპირელად ასე იყო ტექსტში. როგორც ვიცით, შემაერთებელი ხმოვნის ო-ს ნაცვლად 0-ის ჩასმით ზმნის კავშირებითი კილოს ფორმა თხრობითით იცვლება.

ამრიგად, „ღირს არს“-ის ტექსტი, ჩვენი აზრით, საჭიროებს შემდეგნაირ დაზუსტებას: „ღირს არს, რადთა კეშმარიტად გაღიღებდეთ შენ, ღმრთისმშობელო, (ვითარცა) მარადის სანატრელსა, ყოვლად უბიწოსა და დედასა ღმრთისა ჩუენისასა. უპატიონენესა ქერაბინთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაბინთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყვა ღმრთისასა, რომელი ღმრთისმშობელ ხარ, გალობით გაღიღებთ“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ უმარცვლო „უ“ (ისეთ სიტყვებში, როგორიცაა: „ჩუენი“, „სიყუარული“, „გულარძნილი“, „ტყუე“ და სხვ.) გალობისას ითქმის, როგორც „ვ“; დ-ს კალკე მარცვალი არ გააჩნია, ხოლო „ვ“ მარცვლიანია და გამოითქმის, როგორც „ვი“.

8. „კურთხეულ არს“ შეტანილია კ ა ხ ი რ ი ს ე ბ ა შ ვ ი ლ ი ს კრებულში (ქართული გალობა, 1968, გვ.3-4); არც ამ საგალობელს, არც სხვა დანარჩენს აღნიშნულ კრებულში არ ახლავს ლიტურგიკული მითითება, რაც მის გამოყენებას ზღუდავს. ამიტომ ქვემოთ ტექსტების შესწორებასთან ერთად მივუთითებთ. მათ ადგილს ღმრთისმსახურებაში.

„კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, გვიკურთხეთ ჩვენ (სახელითა უფლისათა, ღმერთი უფალი და გამოგვიჩნდა ჩვენ“.

ესაა ბზობის ლიტურგიზე „შესლვად“ სათქმელი ფსალმუნი (ფს.117, 26-27), რომელიც სხვადასხვა ვარიანტით გვხვდება:

„კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისამთა; გუაკურთხენინ ჩუენ სახლმან უფლისამთან, ღმერთი უფალი და გამოგვჩნდა ჩუენ“ (ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, გამოსცა მზექალა შანიძემ, 1960, 327; „ა“ რედაქცია).

„... გაკურთხენინ თქუენ სახლმან... (var. სახელმან) უფლისამთა“ (იქვე, „ბ“ რედ.).

„გაკურთხენით თქუენ სახლით უფლისამთა... (იქვე, „გ“ რედ.).

„... გაკურთხენით თქუენ სახელითა უფლისამთა... (მცხეთური ხელნაწერი 1983,251).“

„... იკურთხენით თქუენ სახელითა უფლისამთა“ (საღმრთო სამოციქულო, თბ.,1899,380).

ბერძნულში გვაქვი „სახლი“ და არა „სახელი“: **εὐλογήκαμεν ὑμᾶς ἔξ οὖκοις κυρίου** (ჩვენ გაკურთხევთ თქუენ უფლის სახლიდან; Wir segnen Euch, die ihr vom Hause des Herrn seid). ასევეა, როგორც ჩანს, ებრაულშიც (იხ.ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, 1989, 551).

გურულ საგალობელში დადასტურებული „გვიურთხეთ ჩვენ“ (უფრო ზუსტად: „გვი-კურ-თხე-უ-ემ-ეთ“) არ მოხვევა არც ერთ ზემოაღნიშნულ ვარიანტს. ვფიქრობთ, იგი უნდა შევცალოთ მასთან ყველაზე ახლო მდგომი ვარიანტით:

„იკურთხენით თქუენ სახლითა უფლისამთა.“

9. „მოვედით და ვსვათ“ (იმავე კრებულში, გვ.10), არის აღდგომის ცისკრის III გალობის ძლიისპირი. ტექსტში შესასწორებელია „ნაშოვანქმნილი“ (უნდა იყოს: „ნიშოვანქმნილი“. იხ.მცირე ზატიკი, თფილისი.1882,27).

10. კრისებაშვილის კრებულის 13-ე გვერდზე წერია მირქმის მე-9 გალობის ჩასართავი: „ღმრთისმშობელონ ქალწულო, სასოებაო ქრისტიანეთაო“... (შდრ.საღლესასწაულო, 1865,848), მომდევნო გვერდებზე კი (14-15) - ამავე გალობის ძლიისპირი: „წერილთა მიერ სჯულისათა“ (არასწორად წერია: „წერილითა“). ამ ძლიისპირის შესახებ იხ.ჩვენი წერილი „მირქმის საგალობლის ერთი სახის გაგებისათვის“ („ჯვარი ვაზისა“ №2, 1990წ.).

11. იმავე კრებულის მე-15-17 გვერდებზე არის მწუხრის საგალობელი „აშ განუტევე“, რომელიც სკიმეონ ღმრთისმიმრქმელის სიტყვებს გადმოგცემს (ლუკა, 2,29-32). საგალობელთა კრებლში ეს სიტყვები დამახინჯებულია და იგი უსათუოდ სახარების მიხედვით უნდა გასწორდეს.

12. წმიდა ბარბარეს ტროპარშიც (გვ.20) აამდენიმე სიტყვა დამახინჯებულია. უნდა იყოს ასე: „ბარბარეს წმიდასა პატივს-ვცემდეთ, რამეთუ მტერისა საფრწენი შემუსრნა, და ვითარცა სირი, განერა მახისაგან, შეწევნითა და საჭურველითა პატიოსნისა ჭუარისათა“ (შდრ.ჟამნი, 1899, 299-300).

13. „შენ გიგალობთ“ (გვ.24-26) ევქარისტიის საგალობელია. ბოლო ფრაზა დამახინჯებულია: „... და გევედრებით, ჩვენთა ჩვენო“. უნდა იყოს: „... და გევედრებით, შენ, ღმერთი ჩუენო“ (კონდაკი, 1899, 165).

14. „შენდამი იხარებს“ (გვ.31-34) იგალობება ბასილი დიდის წირვაზე (კონდაკი, 1899, 243). საგალობელში რამდენიმე სიტყვა შეცდომით წერია: „მიმაღლებული“ (უნდა იყოს: „მიმაღლებულო“), „პეი“ (უნდა იყოს: „პყო“) და სხვ. (შდრ.კონდაკის ტექსტის).

დასასრულ, გვინდა შევეხოთ ქართული სამუსიკო ფოლკლორის ორ მშვენებას, რომელთაგან პირველი „წმიდა დედოფლის საგალობლის“ სახელითაა ცნობილი, მეორე კი იწყება სიტყვებით: „უამთა და წელთა“

„წ მ ი დ ა დ ე დ თ ფ ლ ი ს ს ა გ ა ლ თ ბ ე ლ ი“, როგორც ვარაუდობენ, თამარ მეფისადმია მიძღვნილი: „გიხაროდენ შენ, წმიდაო დედოფალო, დედათა დიდებაო, ქალწულთა თვალო, რამეთუ მეტყველებად ვერ შემძლებელ ვართ ლირსად ქებასა შენისასა; ამისთვის სარწმუნოებით გადიდებთ შენ, საქართველოს დედოფალო“.

თამარ მეფის „წმიდა დედოფალო“, თუნდაც „დედათა დიდებად“ მოხსენება გასაკვირი არაა; არც პიმნოგრაფის თავმდაბლობაა გასაკვირი, როდესაც ამბობს: „მეტყველებად ვერ შემძლებელ ვართ ლირსად ქებასა შენისასა“-ო, მაგრამ ის კი გაუგებარია, რატომაა იგი „ქალწულთა თვალი“, თამარ მეფე ქალწულად ხომ არ აღსრულებულა.

ამ ეპვმა გვაიძულა მოგვეძებნა აღნიშნული საგალობლის არქეტიპი ჩვენს ლიტურგიკულ-პიმნოგრაფიულ კრებულებში. აღმოჩნდა, რომ იგი ყოფილა სულთმოფერობის „ლირსარსის“ გაგიერი, ანუ IX გალობის ძლისპირი (იხ.ტრიოდიონი ზატიკი, 1850,342). ამრიგად, გაირკვა, რომ „წმიდა დედოფლის საგალობელი“ ღმრთისმშობლისადმი მიძღვნილი ყოფილა (როგორც ვიცით, „ლირს არსიც“ და მისი ყოველი მაგიერიც ღმრთისმშობელს ეძღვნება); „ქალწულთა თვალიც“ მხოლოდ ყოვლადწმიდა ქალწული ღმრთისმშობელი შეიძლება იყოს. მგალობლებს რატომდაც ბოლოში დაუმატებიათ სიტყვები: „საქართველოს დედოფალო“, რაც სრულიად არ შეესაბამება ძლისპირის დანარჩენ ტექსტს, და რამაც წარმოშვა მცდარი ვარაუდი, თითქოს იგი თამარისადმია მიძღვნილი.

„ჟ ა მ თ ა დ ა წ ე ლ თ ა“ შესასრულებლად საკმაოდ ძნელია. ამიტომ იგი მხოლოდ აკადემიური ანსამბლების არქერტუარში შედის („რუსთავი“, თბილისის სიონის ვაჟთა გუნდი და სხვა; ჩაწერილია ფირფიტებზეც. იხ. გაზ. „მადლი“, 1990წ. 6). რაც შეეხება სიტყვებს, მეტად და-მახინჯებულია. როგორც ჩანს, ამგვარად ახსოვდათ იგი ძველ მგალობლებს:

„უამთა და წელთა ხელმწიფებითა ერთმთავრობისა შემოქმედო უფალო, საქმე მოვნელო(!) დიდებულო, ქებულო, ერთა სათაყვა(ია)ნისცემულო, აცხოვნე ქმნილნი შენნი, არცა მოწევნილი დასაბამსა მოსულისა უამისა მოქცევისასა“ (დ. დონაძე, ო. ჩხიავაძე, გ. ჩხიუკაძე, ქართული მუსიკის ისტორია, წიგნი 1, 1990, 31).

ამის მსგავსი ტექსტი არ შეგვხვედრია არც ერთ ნაბეჭდ კრებულში. იგი შემთხვევით ვნახეთ A85 ეტრატის ხელნაწერში (იხ.ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის კოლექციისა, ტ.II , ელ.მეტრეველის რედაქციით, 1973,282). მასში 51r-დან 52v-მდე წერია „გალობანი სახელსა ზედა ყოველთა წმიდათასა, რომელთა წსენებასა აღვასრულებთ წელიწადსა შინა“. პირველი გალობის ძლისპირი ასეთია:

„უამთა და წელთა წელმწიფებითა ლმერთმთავრობითთა მოქმედო უფალო, სამგუამოვნებით დიდებულო, ხოლო ერთ-არსად თაყუანისცემულო, გუაცხოვნენ ქმნილნი შენნი, აწცა მოწევნულნი დასაბამსა მოსრულისა უამის მოქცევისასა.“

აშენარაა, სწორედ ეს ძლისპირი მოლწეულა ჩვენამდე ხალხური გალობით, თუმცა ზოგიერთი სიტყვა ძლიერ დამახინჯებულია („სამგვამოვნების“ ნაცვლად - „საქმე მოვნელო“, „ერთ-არსად თაყუანისცემულის“ ნაცვლად - „ერთა სათაყანისცემულო“ და ა.შ.).

„ჟ ა მ თ ა დ ა წ ე ლ თ ა“ —წმ. საძების სადიდებელი ძლისპირია. ღმერთი სამგვამოვნებითთა დიდებული (ვამბობთ: „დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა“), ხოლო ერთ-არსად თაყუანისცემული (როგორც ერთი ღმერთი).

წმ. სამების „ღმერთმთავრობა“ სხვაგანაც გვხვდება: „სამება ვარ, სრული, განუყოფელი, განყოფილი პირებითა და ერთობა ვარ მე ბუნებით შეყოფილი, — ჭმობს მამა და ძე და სული ღ მ ე რ თ მ თ ა ვ ა რ ი“ (ანდრეა კრეტელის „დიდი კანონის“ შე-6 გალობის „დიდების“ მუხლი. იხ. ტრიოდიონი, რომელ არს სამ-საგალობელი, ტფ., 1901, 104).

ღმერთი რომ „უმთა და წელთა მოქმედია“ თავისი „წელმწიფებით“, ნათქვამია ინდიქტიონის (1 სექტემბრის) ტრიოდის ტრიოდის: „ყოვლისა დაბადებულისა შემოქმედო, ჟ ა მ თ ა დ ა წ ე ლ თ ა თ კ ს ი თ ა წ ე ლ მ წ ი ფ ე ბ ი თ ა დ ა მ ს ს ხ მ ე ლ ო, აკურთხე გვრგვნი ამის წელიწლისა სიტყბოებითა შენითა, უფალო, და დაიცვენ მეცე და სამწყსო შენი, რომელნი გეველრებიან ღმრთისმშობელისა მიერ დიდისაებრ წყალობისა შენისა“ (სადღესასწაულო, 1865, 5). ჩვენთვის საინტერესო გამოთქმა ნასესხებია, როგორც ჩანს, უფლის სიტყვიდან: „ხოლო მან პრქუა მათ: არა თქუენი არს ცნობა ჟ ა მ თ ა დ ა წ ე ლ თ ა, რომელნი იგი მამამან დ ა ს ხ - ნ ა თ კ ს ი თ ა წ ე ლ მ წ ი ფ ე ბ ი თ ა“ (საქმე მოციქულთა 1, 7).

სასურველია, ძლისპირის („უმთა და წელთა“-ს) ხელახლი შესრულებისას მგალობლებმა ისარგებლონ დაზუსტებული ტექსტით. იგივე ითქმის სხვა ზემოთ მოყვანილ საგალობლებზეც. ყოველი საგალობლის ტექსტის დაზუსტება აუცილებელია, რათა ღმერთს „ვუგალობდეთ მეცნიერებით“, ამენ.



რჩეული ბიბლიური ოქმულებების, წმიდა მამათა მოწმობების, მოკლე საექლესიო-ისტორიული და წმიდანთა ცხოვრების ამსახველი მოთხრობების, „ვრცელი ქრისტიანული კატეხიზმოს“ I ნაწილში მოთავსებული სხვადასხვა სასულიერო შინაარსის სტატიების

სისტემატური პრეპარატი¹

და ვინც იწამებს და ნათელს იღებს, ცხონდეს,
ვინც არა და განიკითხება
(მარკ. XVI, 16).

ნუ შეძრწუნდება თქვენი გული;
გწამდეთ ლმერთი და მიწამეთ მე
(იოანე XIV.1).

ფინასითჲვაობა²

წინამდებარე წიგნის - „ქრისტიანული სარწმუნოების, სასოებისა და სიყვარულის გაკვე-
თილები და ნიმუშები“ - მიზანია, დაეხმაროს:

- 1 ს.-პეტერბურგი, 1900წ. შეადგინა მოსკოვის ტრიფონის ეკლესიის მსახურმა გრიგოლ
დიახენკომ.
- 2 წმ. მამათა ქმნილებებს მორწმუნე მკითხველისათვის დიდი სარგებლობა მოაქვს. მაგრამ
ისინი იმდენად მრავალზოცხოვნი და ნაირგვარია, რომ სარწმუნოების კეშმარიტების
შესწავლა მათ მიხედვით შეუძლია ლვთისმეტყველების მეცნიერებათა შესწავლაზე
თავგადადებულ მკითხველს. საერთოდ, უფრო მოხერხებულია, სარწმუნოების
შესწავლისათვის არის მამათა ქმნილებებიდან ამონაშერის გაცნობა; იხ. წიგნი „Изложение
христ. учения православных католических церкви“. С.-Петербургъ, 1869 г. стр. 4-5.

ქრისტიანული სარწმუნოების გაკვეთილები და ნიშნები

1. საღმრთო სჯულის მასწავლებლებს, მართლმადიდებლური კატეხიზმოს სწავლებაში;
2. ღვთისმეტყველების მქადაგებელთ, როგორც კატეხიზიტური მოძღვრებისა და მრევლთან ქრისტიანულ სარწმუნოებასა და ზნეობაზე სასაუბროდ. ასევე, ყველა სახის საეკლესიო ქადაგების, მოძღვრების, საუბრის „მომზადებაში“;
- 3.მშობლებს და მასწავლებლებს მოზარდთა რელიგიურად და ზნეობრივად გაწვრთნაში; რამდენიმე სიტყვა ჩვენი სახელმძღვანელოს ზემოთ ჩამოთვლილ დანიშნულებებზე:
1. მართლმადიდებლურ კატეხიზმოს, რომელიც ისწავლება დაწყებით და საშუალო სასწავლებლებში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მართლმადიდებელი ყმაწვილების აღსაზრდელად. ამ საგნის უკეთ შესწავლისათვის საჭიროა უფრო სრულყოფილი სახელმძღვანელოს შედგენა.
- ლიტერატურაში, ისტორიაში, გეოგრაფიასა და ბუნებისმეტყველებაში, ასევე, სხვა საგნ-ებში დიდი ხანია აქვთ შესანიშნავი სახელმძღვანელოები, სხვადასხვა ქრესტომათიები. ნუთუ ქრისტიანული სარწმუნოებისა და ზნეობის სწავლებას უფრო ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე „გარეშე მეცნიერებებს“, რომელიც მხოლოდ დროებით ცხოვრებაზე მოგვითხრობენ?
- დაბეჭითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რელიგიურ მოძღვრებათა შესასწავლად აუცილებელია კატეხიზტური ქრესტომათია, რომელშიც შევიდოდა:

 - ა) ღვთისმეტყველების ყველა უმთავრესი და უცხადესი გამონათქვამი, რწმენისა და ზნეობის უფრო ორმად, მრავალმხრივად დასაბუთებული კეშმარიტება.
 - ბ) ამონაშერები მართლმადიდებელი ეკლესიის სიმბოლური წიგნებიდან, რომელებიც უფრო თანამიმდევრულად და ცხადად გადმოსცემენ მოძღვრებას, მოკლე აღვილი რომ ეთმობა სასწავლო კატეხიზისში.
 - გ) წმიდა მამათა მოწმობები, რომელებიც ყოველთვის დასაბუთებულად, დამრიგებლურად, ავტორიტეტულად და შეუცდომლად არკვევენ სარწმუნოების ამა თუ იმ დოგმატს ან ქრისტიანული ცხოვრებისა და შემძებელების ამა თუ იმ წესს.
 - დ) მცირე საეკლესიო-ისტორიული მოთხოვები წმიდა მოწამეებზე, ქრისტიან მოღვაწეებზე, წმიდა მამებზე და ეკლესიის მოძღვრებზე, რომლებმაც თავიანთი ცხოვრებით და-ამტკიცეს ქრისტიანობისადმი თავდადება და დაგვიტოვეს ორმად დამრიგებლური და ქრისტიანული სარწმუნოებისა და ღვთისმოსაობის მისაბაძი და თვალსაჩინო მაგალითები.
 - ე) სტატიები, სადაც ახსნილია კატეხიზისში მოყვანილი შედარებით რთული ტექსტები, იმისდა მიხედვით, თუ როგორ აქვთ გაგებული ისინი წმ. მამებსა და ეკლესიის მოძღვრებს.
 - ვ) სტატიები, რომლებშიც, რამდენადაც შესაძლებელია, ნათლად და მკაფიოდ არის გან-მარტინიული ის ღოგმატური და ზნეობის შემსწავლელი კეშმარიტება, რომელიც რამდენიმე სიტყვით გადმოიცემა კატიხიზისში.
 - ზ) და ბოლოს, სტატიები, რომლებშიც მოკლედ, დასაბუთებულად, ზომიერად (ისე, რომ ჩავეშვათ რელიგიის არასწორი სწავლებისა და მავნე ზნეობრივი შეცდომების კრიტიკის მორევში) უარყოფილია ურწმუნოთა თავდასხმები დოგმატურ და ზნეობის ამხსნელ კეშმარიტებაზე.

ზეციურობისადმი სიძულევილით - დანაშაულისა და ამქვეყნიური ამაოების მიმართ, მიბაძვა იმ ქრისტიანი წმიდანებისადმი, რომლებმაც თავიანთი ცხოვრებითა და შემოქმედებით დაგვიტოვეს ქრისტიანული ზნეობისა და სათნოების თვალსაჩინო მაგალითები. მათ დაიცვეს რელიგია ცრურწმენის, ერეტიკოსთა, ცრუმოძღვართა, „რასკოლნიკების“, სექტანტების, რაციონალისტთა და ურწმუნოთა შეცდომებისაგან.

კატეხიზისი, ანუ სალგოთო სჯულის ფილოსოფიური კურსი, რომელიც ხელს უწყობს რწმენის ჩანერგვას ადამიანში, აბათილებს ურწმუნოთა ეჭვებს. მას მოაქვს უდიდესი სიკეთე მკითხველთა-თვის, რათა ღრმად ჩაწვენენ რელიგიისა და ზნეობის არსა.

ლვთის სჯულის ზოგიერთი მასწავლებელი უარყოფს კატეხიზმოს სწავლებას. ისინი სახელმძღვანელოს სიტყვებით მოკლე განმარტებებს იძლევიან. სწავლების ცუდი მეთოდი, კატეხიზის უცოდინარობა, რომელიც გამოწვეულია მისი ღრმა შინაარსის უსუსური ახსნით, ჰბადებს მოწყენილობას და გულგრილობას ამ მეტად მნიშვნელოვანი საგნის სწავლებისას. ავრეთვე, გულგრილობა რწმენის საკითხებისადმი, შემაშფოთებელი სულიერი მდგომარეობა, რომელიც ხშირად ურწმუნოებაზე უარესია - ნაყოფია კატეხიზისის ამდაგვარი სწავლებისა.

აქ არ შეგვიძლია არ ვახსენოთ ჩვენი მხურვანი იერარქის, ხარკოვის არქიეპისკოპოსის ამბროსის სიტყვები, წარმოთქმული 1881 წლის 5 ოებერვალს ს.-პეტერბურგში, „ღვთისშობლის წმიდა ქმობის“ შეკრებაზე: „ჩვენ ვერ დავიჩივლებთ, რომ სკოლებში ქრისტიანულ სწავლებას, ანუ ლვთის სჯულს, ნაკლები უურადლება ექცევა. ჩვენ ამ საგნის ვრცელი პროგრამები გვაქვს შედგენილი. გამოცემულია სხვადასხვა სახელმძღვანელოები, დაწესებულია მკაცრი გამოცდები, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ ჩანს რწმენის ჯეროვანი გავლენა განათლებაზე, იმატა ურწმუნოებამ. რამ გამოიწვია ეს? ჯერ ერთი, იმან, რომ ჩვენ ზედმეტად მოვნიდომეთ, ჩაგვემწყვდია ქრისტეს მოძღვრება სასკოლო ფორმულებში და გადაგვევტია იგი ზეპირობის საგნად. მეორე, იმან, რომ რეპეტიციებისა (რომელსაც თან სდევს დაბალი ნიშნებით მუქარა) და გამოცდების მიზეზით დრო აღარ რჩება გააზრებული წაკითხვისა, აგრეთვე, იმანაც, რომ ჩვენ ვერ ვამჩნევთ მწყურვალთ (ესაია V,1) და არ ვავსებთ მათ ქრისტეს სულითა და ძალით; მადლიანი შეგონებებით, წმიდა მამათა და მოძღვართა რჩევა-დარიგებებით. იმან, რომ არ ვაზიარებთ მათ ქრისტიანობისადმი თავდადებულთა ნათელ სამყაროს, უგულვებელვყოფა ქრისტიანი ბავშვების რწმენითა და ლვთისმოსავი სულით აღზრდისათვის აუცილებელ პირობებს.

ზემოთ თქმულს დავუმატებთ შემდეგს: დაკვირვება და პედაგოგიური გამოცდილება გვიჩვენებს, რომ, რაც უფრო თვალსაჩინო და ცოტხალია კატეხიზისის სწავლება. რაც უფრო მეტად მოქმედებს იგი სულიერ მდგომარეობაზე, მით უკეთესია საქმისათვის. ლმერთი ჩვენი პირველი, ქრისტე, თავისი მოძღვრების თვალსაჩინოებისათვის ხშირად იყენებს მაგალითებს, მსგავსებებს, იგავებსა და შედარებებს. ყველა კეშმარიტი სულის მწყებისი უნდა მიჰყევს თავისი უპირველესი მწყებისი მაგალითს. ასე რომ, ქრისტიანული სარწმუნოების ამა თუ იმ დოგმის, ლვთისმოსაობის ამა თუ იმ წესის გადმოცემისას მან უნდა მოიყვანოს სულიერი ძალითა და ცხოვრებით აღსაცე, მსმენელზე შეუდარებელი გავლენის მქონე ადგილები ლვთისმეტყველების საგანძურიდან, რომლებიც ბევრად სჯობს გრძელი და მაღალფარდოვანი სიტყვებით შემკულ სტიქიური ხასიათის ყბელობას. ამას უნდა მოჰყვეს მაგალითები წმიდანთა ცხოვრებიდან. მაგალითები, რომლებიც თავისი სიწრფეელით მისაწვდომი იქნება ყველაზე მოუმზადებელი მსმენელისათვის, შეიგრძნობს მისი გული და დაუტოვებს

წარუშლელ კვალს. და ბოლოს, თუკი მოძღვარს ჩერება დრო და შესაძლებლობა, გააცნოს მსმენელს იმ სტატიის შინაარსი, რომელიც უფრო ღრმად და მრავალმხრივად ხსნის კატეხიზისის სწავლებას.

უცემელია, რომ ბოლოსდაბოლოს შეგვექნება ნათელი, თვალსაჩინო წარმოდგენა რელიგიისადმი, რომელიც შემდგომში განამტკიცებს რწმენის კეშმარიტებას.

ვფიქრობთ, უმჯობესია, სულიერი მარტივალი წელი, მაგრამ ნაყოფიერად ვთესოთ, ვიდრე ჩქარა და ზედაპირულად, შედეგის მიუღწევლად.

საკამათო არაა, რომ ქრისტიანული რწმენისა და ზნეობის კეშმარიტების საფუძვლიან სწავლებას სჭირდება ჯეროვანი დამხმარე წიგნი. მაგალითად, სოფლის მასწავლებელს, რომც ჰქონდეს ცველა აუცილებელი სახელმძღვანელო, საკამარისი არ იქნება. მისთვის საჭიროა დრო დოგმატური ან ზნეობრივი კეშმარიტების გამოსაკვლევად, მან უნდა იპოვოს, შეარჩიოს და დაალაგოს აუცილებელი მასალა გარკვეული წესის მიხედვით, შემდეგ ასწავლოს სკოლაში, ანდა გამოიყენოს ქადაგებისას.

ჩვენი მიზანია, ყოველმხრივ სრულყოფილი გავხადოთ კატეხიზისის შემსწავლელი სახელმძღვანელო. ამ მეტად პასუხსაგები მოვალეობის შესასრულებლად ესაჩვებოლობით 1990 წელს უწმინდესი სინოდის მიერ შედგენილი კატეხიზისისტული ქადაგების განსაზღვრებით. ვცდილობდით, უდიდესი სიზუსტით და პასუხისმგებლობით შეგვედგინა სახელმძღვანელო.

ეკლესიის მოძღვარმა ღვთისმეტყველების ქადაგების დროს თავისი შეგონებები და საუბრები უნდა დაადასტუროს წმ. წერილიდან და წმიდა მამათა მოწმობებიდან მოყვანილი ეპიზოდებით და ღვთისმოსაობის ნიმუშებით. ამასთან ერთად, მოკლედ უნდა მოიხსენიოს ცრუ მოძღვრებები და თვითნება მასწავლებლებიც. მრევლთან საუბარი, განმტკიცებული ღვთისმეტყველების კეშმარიტებით, წმ. მამათა ქადაგებითა და ღვთისმოსაობის ნიმუშებით, ყველა მორწმუნისათვის დამაჯერებელი, აუცილებელი და მისაწვდომია, ვიდრე ზოგადი, მშრალი, განყენებული მსჯელობა.

სოფლის მოძღვართათვის სასურველი და აუცილებელია ბიბლიოთეკა, რომელშიც მოიპოვება წმ. მამათა ცხოვრების ამსახველი საეკლესიო-საისტორიუმი წიგნები, „რასკოლნიკების“ წინააღმდეგ მიმართული თხზულებები და სხვა შესაბამისი სახელმძღვანელოები. ვფიქრობთ, რომ ეკლესიის მოძღვართათვის ჩვენს მიერ შეთავაზებული სახელმძღვანელო: „ქრისტიანული სარწმუნოების გაკვეთილები და ნიმუშები“ (ავრეთვე, „ქრისტიანული სასოების გაკვეთილები და ნიმუშები“) მნიშვნელოვნად გაადვილებს მათ შრომატევად მოღვაწეობას ურწმუნოებასთან, რასკოლნიკებასა და სექტანტობასთან სამრაოველად.

მშობლებისა და ომზრდელებისათვის ჩვენი წიგნის მნიშვნელობაზე მოგახსენებთ შემდეგი: ვფიქრობთ, მათ გაუადვილდებათ მოზარდის რელიგიურ-ზნეობრივი განსწავლა, თუ საჭიროებისამებრ მიმართავენ სულიერი აღზრდის იმ საშუალებებს, რომლებსაც იყენებდნენ ძველი ქრისტიანები: ე.ო. ღვთისმეტყველებას, წმიდანთა ცხოვრებას, წმ. მამათა მოწმობებსა და საეკლესიო მოძღვრებებს. იმ მიზეზით, რომ ეს წიგნები ჩვენს საზოგადოებაში ნაკლებად მოიპოვება, ძნელია, მოძებნო საჭირო ადგილები ჩამოთვლილი წყაროებიდან, ამიტომ ბევრი უარყოფს ამ წიგნებს. ვფიქრობთ, რომ ჩვენი „ქრისტიანული სარწმუნოების სასოებისა და სიყვარულის გაკვეთილები და ნიმუშები“ მოზარდოთა გასაწაფავად სასაჩვენებლო იქნება. ყველა სტატია, მცირე გამონაკლისის გარდა, გამოიჩინება სისაღავით: აღვილად აღსაქმელი და საინტერესოა, აღვივებს რელიგიის სიყვარულს, ავითარებს გემოვნებას. არადა, სულში ღრმად ჩაბეჭდილი ქრისტიანული სათნაების ნიმუში, ღვ-

თისნიერი მამების სიყვარულით განზავებული სულიერი მოძღვრება, როგორ არ დააყენებს მოზარდს სათნოების გზაზე, იმ დროს, როცა ცხოვრების მშფოთვარე ზღვაში ცდუნების წინაშე აღმოჩნდება? ბოლოს დაბოლოს, აღზრდის გამოცდილება უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სასიკეთო გავლენა შესაძლებელია.

სტატიის წაკითხვა სათაურით - „რწმენისა და ზნეობრიობის ამა თუ იმ კეშმარიტების ამსახველი მაგალითები“ - თვით ყველაზე მოუმზადებელი მკითხველისთვისაც კი უეჭველად საინტერესო იქნება.

ჩვენი წვლილი გამოცემულ შრომაში ასეთია:

ა) ვრცელი სასულიერო ლიტერატურიდან ამოვრიბეთ ისეთი სტატიები, რომელთაც გააჩნიათ მეცნიერული ლირებულება, ლირსებები. ამავე დროს, დაწერილია მკაფიოდ, ნათლად, ცოცხლად და სარწმუნოდ.

ბ) მოვიტანეთ ვრცელი სტატიებიდან ნაწყვეტები. ამასთან, მიზნად დავისახეთ მათი ლოგიკურად გამოთლიანება, დავურთეთ აუცილებელი შესავალი და განმარტება.

გ) წმ. მამათა ქმნილებებიდან და სიმბიოლური წიგნებიდან ზუსტად ამოვწერეთ დოგმატური და ზნეობრივი კეშმარიტების დამადასტურებელი ნაწყვეტები.

დ) შევამოკლეთ ვრცელი სტატიები, ამოვრიბეთ მთავარი და ძირითადი მსჯელობანი. ერთი სიტყვით, ლოგიკურად შევამტკრეთ სათქმელი.

ე) საჭიროებისამებრ შევასწორეთ ბევრი სტატიის თხრობის სტილი, გეგმა.

ვ) ზოგიერთი სტატიის აღწერითი ფორმა შევცვალეთ თხრობითი ფორმით (მოთხრობა, როგორც ცნობილია, უფრო გასაგები და საინტერესოა მკითხველისათვის, ვიდრე აღწერა).

ზ) რამდენიმე სტატია გავაერთიანეთ ამა თუ იმ აზრის ასახსნელად და დასამტკიცებლად.

თ) შევკრიბეთ წმ. მამათა და ეკლესიის მოძღვართა მსგავსი გამონათქვამები მოცემულ საგანზე.

ი) მოვიპოვეთ, შევარჩიეთ, თანამიმდევრულად განვალაგეთ ბიბლიური ტექსტები.

კ) სტატიები შევადგინეთ ვრცელი კატეხიზისის გეგმით, ბევრი მათგანი განვმარტეთ და დავასაბუთეთ. ზოგიერთ მათგანს არა აქვს უშუალო დამოკიდებულება კატეხიზისთან, მაგრამ ისნი ცნობის წადილს უღვივებენ ისეთ მკითხველებს, რომელთაც სურვილი აქვთ გაიღრმავონ შემცნება.

ლ) სტატიები განვალაგეთ ლოგიკური თანამიმდევრობით, რათა ადვილად ასათვისებელი და ხელმისაწვდომი გამხდარიყო.

მ) დავურთეთ სიტყვასიტყვით შენიშვნები, რომელთა გარეშე წარმოუდგენელი იყო მათი მეცნიერულად დასაბუთება.

ნ) კრიტიკულად შევამწმეთ თავმოყრილი მასალა, მეცნიერული სახელმძღვანელოების მეშვეობით.

ო) დავწერეთ აზალი სტატიებიც.

ორიოდე სიტყვით იმის შესახებ, თუ რით განსხვავდება ზემოაღნიშნული წიგნი მართლ-მადიდებლური დოგმატური და ზნეობრივი ღვთისმეტყველების სისტემისა და სხვა ამდაგვარი წიგნებისაგან:

ა) ჩვენ მოგითხოვთ რწმენის საგნება და ზნეობაზე, ვაყალიბებთ მათ არა განყენებული სისტემით, თუნდაც ზედმიშვენით მეცნიერულად, არამედ სარწმუნოების სიმბოლოს წესით, სახარების ცხრა ნეტარებით, საუფლო ლოცვის შვილი ვეღრებით, ათი მცნებით, იმ გეგმით, რომლითაც უძველეს დროში ხდებოდა ღოგმატურად და ზნეობრივად განსწავლა ეკლესიაში. ეს წესი მოხერხებული, უბრალო და გამართლებულია.

ბ) სარწმუნოებისა და ზნეობის ჰეშმარიტებისათვის დავიმოწმეთ ბიბლიური და სიმბოლური წიგნების ორიგინალური ან ბრძენ მამათა და ეკლესიის მოძღვართა სიტყვები. ეს გარემოება უდავოდ მნიშვნელოვანია ეკლესიის მსახურთა ქრისტიანული ჰეშმარიტებისა და ზნეობრივად განსწავლის საქმეში, რომელიც ეკლესიის მოძღვრის სიტყვებს ანიჭებს ავტორიტეტს და დამრიგებლობას.

გ) იქ, სადაც შესაძლებელი იყო, ჩვენ ყოველთვის ვსარგებლობდით ლვთისმოსაობის მა-გალითებით, რომლებიც დამაჯერებელს ხდის ქრისტიანული რწმენისა და ზნეობის სწავლების ყველაზე განყენებულ ჰეშმარიტებასაც კი, რასაც ვერ ამოიკითხავთ სპეციალურ სამეცნიერო წიგნებში.

დ) რადგანაც ეკლესიის მოძღვართა მიერ გადმოცემული ქრისტიანული რწმენისა და ზნეობის ამა თუ იმ საგნის ჰეშმარიტება, ძალა და სიდიადე იჩრდილება ურწმუნოთა ცდომილი აზრებით, ამიტომ აუცილებელია, კეთილგონივრული სიფრთხილით უარყო ის, რაც ვნებს ქრისტიანული სარწმუნოების საფუძვლიან შესწავლას. აქედან გამომდინარე, ჩვენს წიგნებში შევეცადეთ გაღმოგვეცა ქრისტიანული რწმენისა და ზნეობის სწავლების არა მხოლოდ დადებითი მხარე, არამედ გვესაუბრა ნაკლებც, რაც იშვიათად გვხვდება ღოგმატური და ზნეობრივი ლვთისმეტყველების სისტემაში.

ე) რადგან მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის ღოგმატური სწავლება მჭიდრო კავშირშია ზნეობრივ სწავლებასთან, აძლევს რა შინაარსს, ხასიათსა და მიმართულებას, ეკლესიის მოძღვრის მთელი შემოქმედება მიმართული უნდა იყოს იქით, რომ აზიაროს აღსაზრდელი რწმენის ჰეშმარიტებას, ჩაუნერგოს ლვთისმოშობა. აქედან გამომდინარე, აუცილებლად მივიჩნიეთ, ჩვენს წიგნებში შევვეტანა ზნეობრივი დანართი, რომელიც გამიზნულია რწმენის ამა თუ იმ ღოგმისა და ნაკლის აღმოსაფხვრელად.

ზემოთ თქმულისათვის საქმარისია, დავინახოთ განსხვავება ჩვენს შრომასა და ამ ტიპის წიგნებს შორის, რომლებსაც აქვთ მხოლოდ მეცნიერული და არა საეკლესიო-პრაქტიკული, ზნეობრივ-აღმზრდელობითი მიზანი, რომლებიც ყოველთვის მხედველობაში გვქონდა ზემოხსენებული წიგნის - „ქრისტიანული რწმენის, სასოებისა და სიყვარულის გაკვეთილები და ნიმუშები“, დამუშავებისას.



ბიბლია და ქართული კულტურა

ქეთევან გაფარიძე

კაცებლის სიმბოლიკის გააზრებისათვის

კანკელი, ისევე ოოგორც ყოველი ფორმა ქრისტიანული ხელოვნებისა (ტაძარი, ხატი, სამღვდელოების სამოსი, ფერთა სიმბოლიკა...). სალვოსის მსახურო ურთულესი სახის სიმბოლიზმის შემადგენელი ნაწილია. ღვთისმსახურება კი ქრისტიანობაში წარმოგვიდგება ოოგორც სარწმუნოების ცოცხალი და ცხოველმყოფელი ფილოსოფია, სადაც მიმდინარეობს ღრმა განცდა და პრაქტიკული ხორციელება დოგმატიკური ღვთისმეტყველებისა.

ქრისტიანულ ტაძარში კანკელის საკრალურ მნიშვნელობას აპირობებს მისი ადგილმდებარეობა და ფუნქცია, რომელთა სიმბოლური შემეცნება ემყარება ღრმა რელიგიურ და კოსმოგონიურ არქეტიპებს. ტაძრის სიმბოლურ სისტემაში იგი ერთიმეტორისაგან გამოყოფს და ამავე დროს აკავშირებს საკურთხეველს ე.წ. „ცასა“ და „ქუეყანას“ - ნაოსს, „ზესთასოფელსა“ და „სოფელს“, რაც ბევრად განსაზღვრავს მისი მხატვრული გადაწყვეტის ხასიათსაც.

სალმრთო წერილის დასაწყისში, შესაქმის წიგნში, რომელიც წმ. იოანე ოქროპირის სიტყვებით რომ ვთქვათ, არის წყარო და საფუძველი იმ ყოველივესი, რასაც მოიცავს რჯულისა და წინასწარმეტყველთა წიგნები¹, პირველ მუხლში იკითხება „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცა და ქუეყანა“ (შესაქმე 1.1). დავით წინასწარმეტყველის მიხედვით აქ იგულისხმება „ცანი ცათანი“, რომელიც უფლისანი არიან, ხოლო „ქუეყანა“ არის ის, რომელიც შემოქმედმა ღმერთმა მისცა „ძეთა კაცთასა“ (ფსალმ. 113, 23-24). ორიგენი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ბიბლია „სამყაროსაც“ „ცას“ უწოდებს, აქედან გამომდინარე, შესაქმის შესახებ პირველ ჰომილიაში ორიგენე შემდეგ ეგზეგზას გვაწვდის: დასაბამად ქმნილი ცა მისთვის აღნიშნავს სპირიტუალურ არსებათა ერთიანობას, მაშინ როცა „სამყარო“ წარმოადგენს მატერიალურ ცას. ამგვარია მასზე ფილონის; ევსევის, ავგუსტინეს, გრიგოლ ნოსელის კომენტარიც². ორიგენესათვის ცისა და სამყაროს დუალიზმი არის სიმბოლო იმ ანტითეზასი, რომელიც ჩვენს არსებაში გარეგანი კაცისა და შინაგანი კაცის სახით ვლინდება.

1 Творения св. отца нашего Иоанна Златоуста: т. VI. кн. П.С.Петербург. 1900. стр. 733.

2 წმ. გრიგოლ ნოსელი. „პასუხი ექუსთა მას დღეთათვეს“ კომენტარები: ედ. ჭელიძე, საექლესიო კალენდარი. 1989. გვ. 281.

რადგან ბიბლია „სამყაროსაც“ „ცას“ უწოდებს, ეს ვარემოება ორიენტის აზრით იმის მაუწყებელია. რომ სპირიტუალურ კაცსა და გარეგან კაცს ერთიმეორისაგან უფსკრული არ ჰყოფს და მას აქვს უნარი, თუკი ზეცას მიუბრუნდება, „ციური კაცი“ ვახდეს. წმ. ოთანე ოქროპირი „ცანიცათანის“ ანალოგიურად და გამოვლენად ადამიანის მიკროკსმოსში გონებას განიხილავთ: სხვაგვარი ცა, იგივე „ქვეყანა“ მისი მსჯელობით არის ენა. როგორი უხილავიც არის კაცთათვის გონება, ასევე უჩინოა ზესთასოფელი და როგორც იხილვება ადამიანის თვალით ენა, განმტხადებელი გონებისა, ასევე საჩინოა მისთვის სოფელი³. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სოფელსა და ზესთასოფელს შორის შეხება, მიუხედავად მათი ღიღი სხვაობისა, შესაძლებელია. როგორც პავლე ფლორენსკი აღნიშნავს, ადამიანის მიერ ამ ორი სამყაროს შეხება ჩვეულებისამებრ აღიქმება სიზმრის მდგომარეობაში, მისტიკური გზით და მხატვრული შემოქმედებისა და ნაწილობრივ მის შედეგთან კომუნიკის მეშვეობით⁴. წმ. ღიონისე არეოპაგეტი განსცვრეტს რა ღვთაებრივის, ზეციურის სრულ ზიარების ზეაღმავალ გზას, ეკლესისა და სამღვდელოებას მიიჩნევს ამ ქვეყნად წმ. იერარქის საფუძვლად: „საიდუმლოთ დასაბამმა რჭულებაშ ციურ იერარქიათა ზეკოსმიური მსგავსების ღირსად გამოაჩინა ჩვენი წმიდათა-წმიდა მღვდელმთავრობა“.

სამყაროს დუღლიზმი და მისი შეერთების იდეა ხდება საფუძველი ღვთაებისაგან ხელდასხმული ქრისტიანული ეკლესიის სახისა.

ძველ აღთქმაში ისააკის ანდერძის აღსასრულებლად წასულ იაკობს, როდესაც მზის ჩასვლისას აირჩებს აღგილს და ჩაეძინება, ეცხადება უფალი. როგორც ითანე ოქროპირი აღნიშნავს⁵, ეს შეიძლება ჩაითვალოს ღვთის დიდ კაცთმოყვარეობად, რადგან იგი ხედავს, რომ იაკობი ღიღის მორჩილებით შეუდგება ამ რთულ მოგზაურობას ღვთის შემწეობის რწმენის ანაბარა. იგი ისურვებს მოგზაურობის დასაწყისშივე რწმენით გააძლიეროს იგი და ეცხადება. უფალი ამშვიდებს იაკობს, პირდება, რომ მის შთამომავლობას დაუთვლელს გახდის და არ მოსწყვეტს თავის ქვეყანას, რომ მისი მეგზური, მფარველი და შემწე იქნება ყოველთვის. უფლის სიტყვების რწმენა და მორჩილება მისდამი აძლებინებს იაკობს მთელი თორმეტი წლის მანძილზე ყოველგვარ გასაჭირს; ამჯერად კი იგი ამბობს, რომ ამ წმინდა აღგილს, რომელზეც იხილა უფალი, ყოვლისშემძლე ღმერთი მკვიდრობს და ზეციური ბჭეა დამკვიდრებული. ანდრეა კრიტელის მიერ ჩამოთვლილ ღვთისშობლის სიმბოლისტურ პარალელებს შორის არის წმ. მარიამის ეპითეტი „სახლი ღმრთისად“. თეოდორე აღმარებელი ამასთან დაკავშირებით წერს: „რამეთუ გამოჩნდა საყოფელი ღმრთისა იაკობისი. წამეთუ განიჩინა აღგილი წმიდა ყოვლად წმიდისა სიტყუისა“, „ვითარ საშინელ არს აღგილი ესჭრ მობდი

3 Творения св. отца нашего Иоанна Златоуста т. VI. кн. П.С.Петербург. 1900. стр. 740.

4 Флоренский Павел священник. „Иконостас“ Богословские труды. М. 1972. сб. 9. стр. 83.

5 წმ. ღიონისე არეოპაგეტი, ზეციური იერარქია, საღვთისმეტყველო კრებული. საქ. საპატრიარქო. 1987. გვ. 207.

6 Творения св. отца нашего Иоанна Златоуста. т. I. С.Петербург. 1900. стр. 624.

იაკობ სახელოვანი მამამთავრობით „არა არს ესე სხუა გარნა სახლი ღმრთისაჲ და ესე არს ბჟე ზეცისაჲ“ (დაბ. 28. 17)⁷.

როგორც ზემოაღნიშნული ტექსტები ცხადყოფს, ღვთისმშობელი არის ის, ვისშიც უნდა დავანებულიყო მაცხოვარი, რომელსაც „დაუტევნელი“ უნდა დაეტია. იგია ის „სახლი“, რომელშიც უნდა დამკვიდრებულიყო უფალი („სახლი ღმრთისა მარიამი“). იაკობი გადაწყვეტის კიდევ, რომ აქ, ამ წმიდა ადგილას, დაღოს ქვა, რომელიც მისთვის ღვთის სახლად იქნება მიჩნეული.

ბიბლიური წინასწარმეტყველებიდან გამომდინარე, ღვთისმშობელი მსახურებს ცასა და ქვეყანას შორის დამაკავშირებლად, იგია ცველაზე დიდი მეოხი ადამიანისა ღვთის წინაშე. წმ. ღვთისმსახურებაში ამ მისიას ეკლესია ანხორციელებს, რომლის დედაც არის ღვთისმშობელი და რომელსაც წინასწარმეტყველებს თავად ქრისტე. მათეს სახარებაში ვკითხულობთ: „ამას კლდესა ზედა (კლდე - პეტრე) აღვაშენო ეკლესია ჩემი და ბჟენი ჭოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას. და მოგცნე შენ კლიტენი სასუფევლისანი ცათადანი“ (მათე 16. 18-19). ეკლესია ღვთის სახეა, იგია სახლი ღვთისა და უფალში გაერთიანებულ მორჩმუნეთა თავშესაფარი. როგორც ღმერთმა ქრისტეში გაართიანა წარსული და მომავალი, ისე ქრისტემ ეკლესის შეუნარჩუნა ყოფილი და ყოფადი⁸. ეკლესია, ამასთან ერთად, სამყაროს სახელაც წარმოადგენს, რომელიც თანადროულად უხილავ და ხილულ ასებათ მოიცავს. ის არის კოსმოსის სახეც. ანთროპოლოგიური თვალსაზრისით საკურთხეველი წარმოადგენს სულს, სამსხვერპლო გონს, თავად ტაძარის სხეულს. ღვთისმეტყველური თვალთახედვით საკურთხეველში დანახულ უნდა იქნეს სამების უხილავი საიდუმლოება, ხოლო ტაძარში - მისი ხილული, განცხადებული არის. კოსმოგონიურად საკურთხეველი მიიჩნევა ზესთასოფლის სიმბოლოდ, ხოლო ტაძარი მიწის სახედ.

თუკი ცასა და ქვეყანას შორის ეკლესია მსახურებს როგორც შემაურთებელი, ტაძრის სიმბოლურ სისტემაში, როგორც აღვნიშნეთ, ამ ფუნქციას ასრულებს კანკელი, ზღურგბლი აბსიდის ე.წ. „ცასა“ და ნაოსის „ქვეყანას“, „ზესთასოფელსა“ და „სოფელს“ შორის. კანკელი, ისევე როგორც ეკლესის ფასადი „ღვთის სახლის“ ის ნაწილია, რომელსაც საერთო სივრცესთან უშუალო შეხება აქვა. როგორც ჩანს, ეს მომენტი განსაზღვრავს კანკელის გაფორმების სპეციფიკას - რელიეფებით შემკობას, რომელიც გამოძახილია ტაძრების საფასადო დეკორის. „თუ ინტერიერში კედლის სიბრტყის მთლიანობა არ შეიძლებოდა ყოფილიყო დარღვეული, აქ (ფასადზე, კანკელზე) პირიქით, შიგნით დაგროვილი ძლიერი სულიერი მუხტი გარეთ „მოხხოთქავს“, რელიეფური სამკაულის სახით“. ქრისტიანული ეკლესიის ინტერიერში, საღაც კედელი „წმ. სახლი“ „წმ. სხეული“ თავისთავად საკრალური და ხელშეუხებელია, საღაც აკრძალულია მასზე ყოველგვარი სახის შეხება (ვგულისხმობთ ჭრას, კვეთას და არა მოხატვას), კანკელი ერთადერთია, რომელიც იმპოზანტურია სწორედ ქვის დახვეწილი კვეთით, ჩუქურთმით.

7 თეოდორე აღმსარებელი, შობისათვის ღვთისმშობლისა, ძველი მეტაფრაზული კრებულები, თბ. 1986. გვ. 216.

8 Иренеос лиоский. Книга против ересов. кн. III. Антология. Мужи Апостольские и апологеты.

9 П.Флоренский. „Иконостас“. Богословские труды. 1972. стр. 97.

ჩვენთვის საინტერესოა აგრეთვე ძველ აღთქმაში მოცემული იაკობის სხვა ხილვაც. კერძოდ, დაბადების წიგნში ვკითხულობთ: „და ჩუენებასა იხილვიდა“ და აპა ესერა კაბენი აღმართებული ქუეყანით, რომლისა თავი მიწოდომილ იყო ცამდე და ანგელოზი ღმრთისანი ალვილიდებული და გარდამოვილოდეს. ხოლო უფალი ღამეკილრებულ იყო მას ზედა“ (დაბ. 28, 12). ამასთან დაკავშირებით ანდრეა კრიტელი წერს: „ამისთვის ქუეყანასა ზედა დაემყრა საცნაური იგი კიჩე ქალწული, რამეთუ ქუეყანით მიუღიერ შობად, ხოლო თავი თუმი მისწუთების ცად, რამეთუ თავი ყოვლისა დედაკაცისა ქმარი მისი არს. გარნა ამან ვინადთვან შამაკაცი არა უწყის, ამისათვის მისსა არს ღმერთი მამა, რომელმან სულითა წმიდითა ყო დაგვება და ვითარცა საღმრთო თესლი სულიერი ძე და სიტყუა მისი ყოვლისავე შემძლებელი ძალი გამოავლინა“¹⁰.

ამგვარად, მიწასა და ცას შორის, სოფელსა და ზესთასოფელს შორის აღმართული კაბე, რომლითაც აღადგინა უფალმა კაცშირი, შეართნა „ცანი და ქუეყანა“, არის ღვთისმშობელი, კაცოა-ვან ნაშობი, თეოთონაც აღამიანი, მაგრამ უხრიწელი, ყოვლად უბიშო და წმიდა, ღეღა-ღეთისა და ზეციურ სამყაროზე დაქორწინებული - „სძალი“. ანდრეა კრიტელთან ვკითხულიბთ, რომ „იგავით უწოდეს მას ბჭე“ „რაუამს წინასწარმეტყველსა ეტყოდა უფალი, ვითარმებელ ბჭე იგე ეგას დავშულ და არ განელოს და არცა ვინ გავიდეს მიერ, რამეთუ უფალი ღმერთი ისრაელისა შევიტეს და განვიდეს მიერ და ბჭე იგი დავშულ“ (ეზეკ. 44, 4). თეოდორე აღმსარებელი შემდეგნაირ ჯანმარტებას იძლევა: „გიხაროლენ ბჭეო აღმხედველო აღმოსავლით და კარით შემოსავალო ნათლისაო, ვინა-იგი აღმობრწყინდა და აღმოსავლით ცხოვრებისა დამპდელ იქმნა კაცთა ზედა მოფენილისა მის მოკუდავებისა არმურისა, რომლისა მიერ მქმნენ შენ საგალი ღმრთებისა, დაქრძალული კლიტითა მიერ ქალწულებისათა“¹¹.

ბჭე, „რომელშიც უნდა შევიდეს და განვიდეს“ უფალი, თავისთავად გულისხმობს იმ კედელს, რომელიც საფელსა და ზესთასოფელს შორისაა აღმართული და რომელიც მხსნელის მობრძანებამდე დახშული იყო და მის შემდგომაც დახშული დარჩა. ეს უკანასკნელი უკავშირდება ღვთისმშობლის ქალწულობასაც, რადგან მაცხვარი იშვა ქალწულის მიერ და ქალწულობა არ დაურღვევია მის შობას. ბჭე, რომელიც გამოპყოფს სოფელსა და ზესთასოფელს ურთიერთისაგან, ტაძარში არის კანკელი.

როგორც გამოირკვა, ტაძარში კანკელის სიმბოლიკა უკავშირდება ქალწულ მარიამის მიერ ქრისტეს უბიშოდ შუცლადლებასა და მის სასწაულებრივ შობას. ამას ადასტურებს ქრისტიანულ ეკლესიაში „ხარების“ კომიოზიციის აღგილმდებრებობაც. პაკროვსკი აღნიშნავს, რომ უმეტესწილად თემა გამოისახებოდა საკურთხევლის ნაოსისგან გამომყოფი სვეტების დასავლეთის წახნაგებზე¹²,

10 ანდრეა კრიტელი, შობისათვის ღვთისმშობლისა, ძველი მეტაფრასული კრებულები, თბ., 1986. ვვ. 138.

11 თეოდორე აღმსარებელი, შობისათვის ღვთისმშობლისა, ძვ. მეტაფრასული კრებულები, გვ. 235.

12 Н. Покровский. Евангелие в памятниках иконографии преимущественно Византийских и Русских, ТАС. М. 1890, С.Петербург. 1892. т. I.

ზოლო მას შემდეგ-, რაც აღმოსავლურ ქრისტიანულ ტაძრებში გაჩნდა კანკელუბი (პაյროვაკი გულისხმობდა მაღალ იკონისტასებს), „ხარებამ“ გადაინაცვლა აღსავლის კარზე¹³.

კანკელის სიმბოლოს გააზრებისას, საინტერესოდ მიგვაჩნია იქსოს ჭვარზე აღსრულების ჟამს იერუსალიმის ტაძრის კრეტიაბმელის ორად გაყოფა, რაც ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში გააზრებულია როგორც ზეციური სასუფევლის გახსნა მორწმუნეთათვის. იერუსალიმის ტაძარი, აგებული ძეველი აღთქმის კანონებით, რომელიც თვითონ ღმერთმა უკარნახა მოსეს, გარდაისახა ახალი ქრისტიანული ეკლესის სახედ, სამ ნაწილიანი ძველი აღთქმის ტაძრის მსგავსად (წმიდათა წმიდა, წმიდა, ეზო). ქრისტიანულ ტაძარშიც სამი ნაწილი გამოიყოფა (საკურთხეველი, ნაოსი, ნართექსი). წმიდათა-წმიდა, ისევე როგორც საკურთხეველი, აღნიშნავს ზეციურ სასუფევლს. ძველ აღთქმაში წმიდათა-წმიდაში ვერავინ შედიოდა - ზეციური სასუფეველი ხომ ცოდვადაცემის შემდგომ დაბშული იყო აღმიანისათვის: მხოლოდ მღვდელმთავარს შეეძლო შესვლა და ისიც წელიწადში ერთხელ განმწმნდელი შეწირული შსხვერტლის სისხლით. „მღვდელმთავარი იყო ქრისტეს წინასახე და მისი ამდაგვარი მოქმედება მიუთითებდა ხალხს, რომ დადგებოდა დრო, როდესაც იყო თავისი უბიშო სისხლის დაღრით, ჭვარზე აღსრულებით, გაუღებდა ზეციურ საუფლოს ცველას. აი, ამიტომ, იყსოს ჭვარზე სიკვდილის ჟამს, კრეტიაბმელი, რომელიც ფარავდა ტაძარში წმიდათა-წმიდას, გაიყო როად. ძველი აღთქმის ტაძრის წმიდას შეესაბამება ქრისტიანულ ეკლესიაში ნაოსი: წმიდაშიც, სამღვდელოების გარდა, არავის აჩ ქონდა შესვლის უფლება, ნაოსი კი განკუთვნილია ქრისტიანებისათვის. ძველი აღთქმის ეზოს, სადაც იმყოფებოდა ხალხი, ცვლის ქრისტიანული ეკლესის ნართექსი. (იგია სამყოფელი კათაქმეველთა). ამრიგად, კანკელი შესაძლებელია სიმბოლურად აღნიშნავდეს იერუსალიმის ტაძარს, ჭვარცმის ძალისხმევით გაღებულს მორწმუნეთათვის. ამაზე მიუთითებს აგრეთვე ქრისტიანული ტრადიცია კანკელისა „აღსავლის კართან“ საკურთხევლისწინა ჭვრების დამაგრებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, კანკელზე ჭვრის დადგმა.

ქრისტიანულ ტაძარში კანკელის საკარალური მნიშვნელობის შესამეცნებლად ინფორმაციას შეიცავს მისი სახელიც. საკურთხევლისწინა ზღუდე კანკელის დღევანდელი ეპითეტი - სიმბოლოს მხოლოდ ფუნქციონალურ მხარეს ასახავს, მაშინ, როდესაც ძველი ბერძნული წარმოშობის სიტყვა-„კანკელის“ გააზრება ღრმა არქეტიპულ და ისტორიულ საფუძვლებს ეყრდნობა და უფრო შესაძლებელს ხდის მასში დაუწებული აზრის სილრმეში წვდომას. აღსანიშნავია, რომ ეს სახელი საკურთხევლისწინა ზღუდის მნიშვნელობით მხოლოდ საქართველოში იხმარება. საკურთხევლისწინა ზღუდის გამოსახატავად ბიზანტიულებს გააჩნდათ მრავალი ტერმინი¹⁴, რომელთა შორის დამკვიდრდა ე.წ. ტემპოტონი (ბერძ.). როგორც ვ.ნ. ლაზარევი ვარაუდობს, ამ სიტყვებში თავდაპირელად იგულისხმებოდა ზღუდის არქიტრაგზე დამყარებული ხატები, ხოლო შემდგომ იგი ეწოდა მთლიანად საკურთხევლისწინა ზღუდეს¹⁵. ბიზანტიულებისაგან ტერმინი შეესაბამისი მნიშვნელობით გაღმოიღეს სერბებმა (tempo), ბულგარელებმა (tempio), რუმინელებმა (tempio), და რუსებმა (τριβλο).

13 იქვე.

14 Е.Е. Голубинский. История русской церкви. т. I и II. стр. 196, 200. изд. П. М. 1904.

15 В.Н. Лазарев. Византийская живопись. изд. „Наука“. М. 1971.

„კანკელი“ ძველი ქართულის განმარტებით ლექსიკონებში ახსნილია როგორც ფარდის, ბადის, „ცხაურის“ აღმნიშვნელი ტერმინი. ამგვარი მნიშვნელობებით იხმარება იგი ძველი აღთქმის ძველ ქართულ რელაქციებში, რაც ჩვენთვის განსაკთრებით საინტერესოა იერუსალიმის ტაძრის აღწერილობისას (იერემია 52, 22-23), კანკელს უწოდებენ საზღვარს, რომელიც წმიდათა-წმიდას გამოყოფს წმიდასაგან (ეზეკ. 41); ე.ი. იგი ახალ აღთქმაში კრეტსაბმელად წოდებული ქსოვილი, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, იქსოს ჭვარზე მოწამეობრივად აღსრულების მომენტში ორად გაიყო: ჩ. შმერლინგი მიუთითებს, რომ თავისი არსებობის აღრეულ ეტაპზე კანკელს ქრისტიანულ ტაძარში არ გააჩნდა ყრუ კედლის ხასიათი და რომ საკურთხევლის დასაფარავად მრევლისაგან, გამოიყენებოდა ფარდები, რომლებიც ღვთისმსახურების ზოგიერთ მომენტში იხურებოდა¹⁶. ლაზარევი მიუთითებს ბიზანტიაში კანკელის ინტერკოლუმნიებში ფარდებს. სომხეთში საკურთხევლის დასაფარავად დღემდე იხმარება ფარდა. რუსულ ეკლესიაში იკონოსტასის აღსავლის კართან (საკურთხევლის მხრიდან) იყიდება ქსოვილი, რომელიც ღვთისმსახურების მიმდინარეობასთან ერთად იხსნება, ან იხურება.

როგორც ჩანს, ამგვარი ტრადიცია ისტორიულად მომდინარეობს ძველი აღთქმის ტაძრის შიგნით ზეციურ „წმიდათა-წმიდასა“ და „წმიდას“ სიგრცეების ურთიერთობიმართების სიმბოლიკიდან, რომლის საფუძვლებიც ჭერ კიდევ მოსეს სკინიაში ისახება¹⁷. (აღსანიშნავია, რომ სკინიაშიც წმიდათა-წმიდა ფარდით იყო გამოყოფილი). ამასვე გამოხატავს ტერმინოლოგიურად საკურთხევლისწინა ზღუდის საქართველოში კანკელად სახელდება, რომლითაც დასტურდება, რომ იგი აღრეულ ხანგებში შესაბამისი მნიშვნელობით ფუნქციონირებდა (კანკელი იყო ფარდა) და მხოლოდ მოგვიანებით მიიღო საგსებით განსხვავებული საგნობრიობა.

დადასტურებულია, რომ ქრისტიანული პრაქტიკის აღრეულ ეტაპზე, საკურთხეველში მიმდინარე ზიარება ცველას თვალშინ ხდებოდა¹⁸.

იქსო ქრისტემ ხომ ჭვარზე აღსრულებით გამოისყიდა კაცობრიობის პირველადქმნილი ცოდვა და ზეციური საუფლო გაუხსნა ცველას. მხოლოდ მე-4 საუკუნიდან აღინიშნება მისი დაფარვის ცდა. სპეციალისტების აზრით, კანკელის პირველი მოხსენება მოცემულია ეპისკოპოს ევსევი კესარიელის სიტყვაში, რომელიც მან წარმოთქვა ქ. ტირში ბაზილიკის კურთხევისას (IV ს.). ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია წმ. ბასილი ღილის ცხოვრების ეპიზოდი (IV ს.)¹⁹. როგორც ცხოვრებაშია აღწერილი, უფალი ღმერთი ბასილი ღილის წმიდანობას ჭერ კიდევ მის სიცოცხლეში ემოწმა მრავალი სასწაულით. ერთხელ, როდესაც იგი ქალაქ სებასტიანში იყო ეპისკოპოსად და ღმერთს მსხვერპლს სწირავდა უსისხლოდ, საკურთხეველი განაბრწყინა ზეციურმა ნათელმა. იმ უამს ბასილმა

16 Рене Шмерлинг. Малые формы архитектуры. средн. Грузии.

17 В. Лазарев. Византийская живопись. изд. „Наука“. М. 1971.

18 Г.К. Вагнер. - Византийский храм как образ Мира. „Византийский временник“-47, „Наука“. 1986. стр. 169.

19 Р. Шмерлинг. „Малые формы архитектуры средн. Грузии“. изд. АН ГССР Тб.1962 г.

20 Ред. св. Ростовский. Жития святых - იანვრის საკითხავები.

თავისთან მოიხმო ოქროს ოსტატები და სუფთა ოქროსაგან მათ მტრედის გამოკვეთა დავვალა. ბასილმა ოქროს მტრედი საღმრთო საიდუმლოთა დასაცავად ტრაპეზთან მოათავსა. ამის შემდეგ, როდესაც იგი წირვის უამს წმიდა შესაწირავს განაღილებდა ხოლმე, ტრაპეზთან, ოქროს მტრედი უფლის ძალით, ღვთაებრივი შესაწირავებით აღიძერებოდა და სამგზის ირხეოდა. ერთხელ, საღმრთო მასტურებისას, წმ. სულის გარდამოსულის მაუწყებელმა ნიშნმა არ იმოწმა. წმ. ბასილი მეყსეულად ამის მიზეზის ძიებას შეუდგა. ამ ღროს დაინახა, რომ ერთ-ერთი დიაკვანთაგანი, რომელსაც ხელთ სამწერობელი ეპყრა, ტაძარში მყოფი ქალის ცეკვით იყო გართული. ბასილიმ დიაკვანს უბრძანა მოსცილებოდა წმ. სამსხვერპლოს და დამორჩილებოდა ეპიტემიას - შვიდი დღე მარხვაში, განუწყვეტელ ლოცვასა და მლეიდარებაში გაეტარებინა, ქონების ნაწილი გლახაკთა შორის დაერიგებინა. შემდგომ ამისა, წმ. ბასილის გადაწყვეტით, ტაძარში საკურთხევლის წინ დაიდგა ძეიდე (ტიხარი), რათა არც ერთ ქალს, რომელიც საღმრთო მსახურებას ესწრებოდა, არ შეძლებოდა საკურთხეველში ცეკვა წირვა-ლოცვის უამს.

მონათხრობიდან გამომდინარე, საკურთხევლის მრევლისაგან დაფარვის მოთხოვნა მომდინარეობს ზიარების საიდუმლოს ხელშეუხებელი სიწმიდის დასაცავად. ამ აქტით ეკლესიაში დადასტურდა საკურთხევლის საკრალურობა, ხაზი გაესვა მის იერარქიას, ზლუდის მხატვრულ გაფორმებას კი, რომელიც უდავოდ უნდა გამოხატავდეს მის, ფუნქციის მიზანშეწონილობას, გამშენდელი მისია დაეკისრა. ჩვენთვის საინტერესოა ისიც, რომ საკურთხევლის წინ ძეიდის აღმართვა დაუკავშირდა ტაძარში ქალის თანდასწრებას, რომელიც აზრობრივად მომდინარეობს ადამისა და ევას ცოდვათდაცემიდან.

როგორც ცნობილია, ძველ აღთქმაში პირველადქმნილი ცოდვა, სადაც ევას იმთავითვე დიდი როლი ენიჭება, იყო განმსაზღვრელი ზეციური სასუფევლისა და მიწის გაყოფისა, რომლის შემდეგაც დაიწყო რეკაპიტულაციის ხანგრძლვი ისტორია. როგორც ვხედავთ, წმ. ბასილი დიდის გადაწყვეტით ქრისტიანულ ტაძარში იესოს მსხვერპლის ძალისმევით შეერთებული მიწა და ცაკვლავ ურთიერთს ემიჯნება, რათა არ მოხდეს ხელახალი ცოდვათდაცემა.

ჩვენს მიერ განხილული იყო კანკელის სიმბოლოს მხოლოდ გარკვეული ასპექტები. კანკელი არის არა მხოლოდ ზიარების ლიტურგიასთან, არამედ მთლიანად ღვთისმსახურებასთან დაკავშირებული ძეგლი, რომელსაც აქვს განსაკუთრებულად სპეციფიური თვისება-ღვთისმსახურების მიმდინარეობასთან ერთად მისი სიმბოლო განიცდის გარდასახვას. ეკლესიის ინტერიერის ძალზედ ღრმა და მრავლისმომცველ სიმბოლოთა შორის იგი ყველაზე მეტად ტრანსფორმირებადია. ამდენად, მისი სიმბოლოს შემეტნება, რომელიც იქნება გასაღები მისი მხატვრული გაფორმების ხასიათის ამოსაცნობად, საჭიროებს ღვთისმსახურებასთან მიმართებაში ღრმა და საფუძვლიან კვლევას.



შარკოზ ტყემალაძე

თბილისის სიონის საკათედრო ტაძარი

1904 წელს, თბილისში, ექვთიმე ხელაძის ცნობილ სტამბაში ჩუსულ ენაზე დაიბეჭდა მარკოზ ტყემალაძის წიგნი „თბილისის სიონის საკათედრო ტაძარი“, რომელშიც მოთხოვილია ამ დიდებული ეკლესიის ისტორია და აღწერილია ის ფასდაუდებელი საგაძმური, რასაც თავის დროზე ფლობდა სიონის საკლესიო სალარი.

ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ამ წიგნის ქართული თარგმანის გაცნობა.

სიონის ტაძრის აღწერა

თბილისის სიონის საკათედრო ტაძარს საფუძველი ჩაუყარა ვახტანგ ვორგასალმა (446-499), სწორედ მან, ვინც თბილისი დაარსა და ქართველ მეფეთა რეზიდენცია მცხოვიდან აქ გადმოიტანა. ვახტანგმა ტაძარი მიუძღვნა ლვთისმშობლის მიძინებას და გადაწყვიტა აეგო ლვთისმშობლის, ცისა და მიწის დედოფლის საფლავზე, ზეთისხილის მთაზე, გეთსიმანის ბაღში აგებული ტაძრის მსგავსად. ტაძარი შენდებოდა ვახტანგის მემკედრის - დაჩის დროს (499-514), რომელმაც სამეფოს ახალი დედაქალაქი მაგარი კედლებით შემოზღუდა, შემდეგ - გუარამ კურაპალატის (გარდ. 599) დროს. მშენებლობა დაასრულა მეფე ადარნასემ (619-639), რომელსაც უხვი შემოწირულობებით გაუმართეს ხელი თბილისელმა მოქალაქეებმა და ერთმა ლვთისმოსავმა ქვრივმა, რომლის სახელი ისტორიამ არ შემოგვინახა, ის მხოლოდ ზეცამ უწყის. ძველთაგანვე ტაძარს სიონი¹ ეწოდებოდა, მსგავსად პალესტინის სიონისა, რომელიც ხშირად იხსენიება წინასწარმეტყველთა სულიერ სიტყვასა თუ ქრისტეს ეკლესიის ლიტანიობაზე. სიონი თბილისის მიტროპოლიტთა კათედრა იყო, ხოლო 1811 წლიდან, ქართული ეკლესიის ახალი იერარქიული დაყოფის შემდგომ, გადაიქცა საქართველოს ეგზარქოსთა კათედრად.

სიონი ძველი თბილის-ქალაქის ცენტრში მდებარეობს. არ ვიცით, ტაძრის ტერიტორია თავიდანვე ასეთი იყო, თუ ეს დაფერდებული მისასვლელი დროთა მანძილზე, თბილისის მრავალგზის

1 იხ. „ქალაქ თბილისის სიძველეთა აღწერა“, თხზულება იოსელიანისა, გვ. 91-105. სიონი ნიშნავს ციხე-სიმაგრეს, გორაქს, მცველია ადგილს.

აოხრების შედეგად გაჩნდა. ყოველ შემთხვევაში, როცა სიონის მიმდებარე ტერიტორიის შეპატრონები სახლის საძირკველს ჭრიან, პოულობენ ძველ ნაგებობათა კედლებს, რომლებიც ტაძრის მოედნის ზედაპირს უსწორდებიან. საუკუნეთა მანძილზე, ხშირ აოხრებათა შედეგად წარმოქმნილი ნანგრევები სიონის ქუჩაზე იქცა შემაღლებად და, ამგვარად, ქალაქის ძველ მოედანზე მეხუთე საუკუნეში აგებული ტაძარი აღმოჩნდა ნანგრევთა გროვებს შორის.

სიონის ტაძრის სიგელ-გურები ცხადყოფს, რომ იგი აგურით აშენდა, დღევანდელი ქვის პერანგის გარეშე, იმ სახით, როგორადაც დღეს გამოიყურება კახეთის ალავერდის ტაძარი. ტაძრის სიგრძე 38 არშინია, სიგანე - 29, სიმაღლე გუმბათის ჭრამდე 18 საუკნი. როგორც კავკასიის უველა ძველებური ტაძარი, სიონის ბიზანტიურ სტილზეა აგებული. შენობის შიდა სივრცე - გუმბათი და ქვის ოთხ მასიურ სვეტზე დაყრდნობილი კამარები, ჭრის ფორმას ქმნის. ნაგებობა შემოსეს ალგეთის ქვით, რომელიც მოიპოვება მდინარე ალგეთთან, თბილისიდან 35 ვერსის მანძილზე. ეს არის რკინაქვის სახეობა, საქმაოდ მტკიცე, მაგრამ არცთუ სამედო იმისათვის, რომ სახურავი დაიცვას წვიმისა და ნესტისაგან. ფანჯრების მეტისმეტი სივიწროვის გამო ტაძარში სიბნელე და ნესტი იყო, რის გამოც ძველი მხატვრობა სრულიად წაიშალა, ან კი რა ფერწერა გადაურჩებოდა მცვინვარე მტრების აურაცხელ შემოსევებს.

ყველაზე სასტიკი აოხრება სიონის ტაძარს 1228 წლიდან ახსოვს, როცა ხვარაზმელებმა, რუსულანის მეფობის დროს, თბილისი აიღეს (ისტორიკოს აბულთედის გადმოცემით, ეს იყო 1226 წელს).

ჭალალ-ედინი ტაძარში მანამდე მხეცობდა, ვიდრე მონლოლებისაგან არ იძლია. ამ საზარელ აოხრებას მემატიანე ასე აღწერს: „ხოლო მცველნი ქალაქისანი ალიჭურნეს და იქმნა ბრძოლა, და ბრწყინვალე ძლევა აჩუენს ქართველთა ... განახუნეს კარი საბარსთა ტოლელთა... ივლტოდეს მცველნი ქალაქისანი და შედგეს ისანთა“. მტერმა ითო ქალაქი და დაიწყო დამარცხებული მოსახლეობის დაჩხევა. მხეცურად ხოცავდნენ ქრისტიანებს; ყველა ქუჩა, ხევი თუ ორმო გვამებით აივსო. ბევრი მტკარში გადაყარეს. ამით არ დაკამაყოფილდნენ. სულთანმა ბრძანა, მიწასთან გაესწორებინათ ყველა ეკლესია. „იწყო რლუევად, ეკლესიათა, ვიდრე საფუძვლადმდე აღფხურა, რომლისათვის იკადრა და ხელ-ყო სიონისა გუმბათსა შემუსრვად და ზედა ბილწისა საჯდომისა მისისა აღშენებად, რომელი-იგი ხიდითა მაღლითა და გრძლითა განხიდა აღშენებად. და ესეცა შესძინა, რამეთუ ხატი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი და ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა, რომელი სიონს მკვიდრ იყო, ბრძანა მოყვანებად და ხიდისა შესავალსა დადებად პირალმართ, და ბრძანა ყოველთა მათ პყრობილთა ქრისტიანთა, მამათა და დედათა, იძულებით დათრგუნვა პატიოსანთა ხატთა და დატევება სჯულისა, უკეთუ არა ჰყონ, წარკუეთა თავთა. და ვითარ აღას-რულებდეს ბრძანებულებასა ამას, მოკყვანდეს მამაკაცნი დედათა თანა და აიძულებდეს ესრეთ ყოფად. მრავალთა უკეუ ბრწყინვალე ძლევა აჩუენს არა თავს-დებად შეურაცხებად წმიდათა ხატთა და დატევებად სჯულისა. ხოლო მრავალი სიმრავლე მამათა და დედათა იპოვა ახოვნად, რომელთა მიიღეს გვირგვინი წამებისა, რომლისა ალრიცხვა შეუძლებელ არს სიმრავლისათვის, რამეთუ ვგონებ, ვითარმედ ათ ბევრ ალიწია რიცხვი მოკლულთა“. ექვსი წელიწადი გრძელდებოდა სამეფოს უბე-დურება. ჭალალ-ედინმა ბრძანა შეეჩერებინათ ქრისტიანთა ამოწყვეტა და დაეწყოთ მათი წინა-დაცვეთა, აგრეთვე, წაეშალათ ქრისტიანობის ყოველგვარი კვალი, ეკლესიები თავლებად ექციათ. „უკეთუმცა არა უფალმან საბაოთ დამიტევნა ჩვენ თესლი, - წერენ მემატიანები, - ვითარება სოდომელნიცა შევექმენითცა და გომორელთა მივემსგავსენით“.

ჯალალ-ედინის შემდეგ, რომელიც ჩინგიზ ყაინს გაექცა, თბილისში მონღოლთა ურდოები შემოდიან და 1239 წელს საბოლოოდ ანალგურებენ ქალაქს. მხოლოდ 1243 წელს, როცა თბილისში ორი მეფე: დავით მეოთხე ნარინი და დავით მეხუთე დაჭდა, ქრისტიანებმა შვებით ამოისუნთქეს. ნიკოლოზ კათალიკოსი, რომელიც მონღოლებმა პატივით დააბრუნეს, თავს მოუყრის ქრისტეს გაბნეულ სამწყსოს და ალადგენს სიონის ტაძარს - მოწმეს საშინელებათა და ბურჯს ლვთისადმი შასობელთა. თემურ ლენგის შემოსვლაც (1384-1405) ლვთისაგან მოვლენილი სასჯელი იყო. მაშინ კათალიკოზი ელიოზი მთებში გაიხიზნა. ბაგრატ მეფე ჯალაბობით გამოსხეს ციხე-სიმაგრიდან. „სიონში დალუმდა გალობანიო“, - ამბობდნენ ბარბაროსები. „მაგრამ არა, - შენიშნავს იოსელიანი, - ერუსალიმის წმიდა მაღლობებზე ანთებულ შუქს ვერ ჩააქრობს ვერავითარი ზღვა უბელურებათა, ვერავითარი ქარიშხალი, ან მის თავზე განპიბილი, პირველი წარლვნის საშინელებით აღსავსე უფსკრული ცათა. გვამი კვდება, მაგრამ სული უკვდავია, მარადიულია“. ტაძარი განაახლეს, მაგრამ 1522 წელ შაპ-ისმაილმა, რომელმაც თბილისი დაიპყრო, სიონიდან გამოიტანა ლვთისმშობლის ძევლი ხატი და მტკვარში გადააგდო. კახეთის მეფემ ლეონ მეორემ ეს ხატი თბილისის სამხრეთით მეოთხე ვერსზე, ნავთლულში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე იპოვა, შეამკო და სიონის ტაძარში დააბრუნა.

სხვა ისტორიკოსი წერს: „შაპ-ისმაილმა თბილისი რომ აიღო, გამოიტანა ხატი, განძარცვა სამშვენისებისაგან - წაიღო ქართველ მეფეთა შეწირულობანი, ალმასები, მარგალიტები. ბრძანა, განძარცული ხატი მდინარის ნაპირზე, ნიდის ყურეში დაედგათ, მოეყვანათ ქალაქის ქრისტიანები და აეძულებინათ ხატის წაბილწვა. ბევრი არ დაემორჩილა ბრძანებას, სიწმიდის წაბილწვას სიკვდილი ამჯობინა. ჯალათებმა მათ თავები წარკვეთეს და მტკვარში გადაყარეს. შაპმა ხატიც გადააგდებინა. თბილის ქვემოთ, მტკვრის მარცხენა ნაპირზე კახელმა მწყებმა იპოვა ხატი და კახეთში წაასვენა. ლეონმა ბრძანა, ხატი მოეკაზმათ და კვლავ სიონში დაესუენებინათ ქრისტიანთა სალოცავად. ამავე დროს, ტაძარიც განაახლეს, მაგრამ 1556 წელს სპარსელმა შაპ-თამაზმა წაბილწა, 1616 წელს კი - შაპ-აბასმა, რომელმაც საქართველო დაიპყრო და მრავალი ხატი გაზიდა.²

- 2 1629 წელს კრასნოგორსკის ლვთისმშობლის მონასტერი იქცა ლვთისმშობლის სასწაულმოქმედი ქართული ხატის სავანედ. ქართულმა ხატმა სახელმწიფება მიიღო სწორედ იმ ქვეყნისაგან, სადაც ის ესვენა კრასნოგორსკის მონასტერში გადასუენებამდე. 1622 წელს საქართველო შაპ-აბასმა დაიპყრო; მონასტრები წაბილწვეს, გაძარცვეს, ზოგიერთი ძვირფას ნივთი, მათ შორის, ლვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი სპარსეთში წაიღეს გასაყიდათ. იმ დროს სპარსეთში მოგზაურობდნენ რუსი გაჭრები, რომლებიც სიამოვნებით ყიდულობდნენ საქართველოდან გაზიდულ წმიდა ნივთებს. იაროსლაველი ვაჭრის ეგორ ლიტკინის ნოქარს სტეპან ლაზარევს ერთმა სპარსელმა შესთავაზა ოქრო-ვერცხლით მოოკვილი ყოვლად წმიდა ლვთისმშობლის ქართული ხატი. ლვთისმოსავმა სტეპანმა სიხარულით შეიძინა ხატი. ამ დროს იაროსლაველში ვაჭარ ეგორ ლიტკინს ძილში გამოეცხადა: „შენმა ნოქარმა სტეპანმა სპარსეთში გაყიდა ფას-დაუდებელი მძივი. როგორც კი მოგიტანს, ის მძივი დვინის ლლეში, შავ მთაზე გაგზავნე“ ეგორ ლიტკინმა დიდი სხარულით მიიღო „ფასდაუდებელი მძივი“, როგორც ლვთისაგან ჰქონდა ნაბრძანები, გაემგზავრა ჩერნოგორსკის (ახლანდელი კრასნოგორსკის) მონასტერში და 1629 წლის 22 აგვისტოს თავისი ხელით დაასვენა ქართული ხატი. ეს დღე მონასტრის ცხოვრებაში უძვირფასეს დღესასწაულად იქცა. აი, როგორ აღწერს წმიდა ხატი თვით ლიტკინი: „დავასვენე ყოვლადწმიდა ოდიგიტრიის ხატი, რომელიც ზღვის იქიდან, სპარსეთის მიწიდან ჩამოიტანეს.

1710 წელს ვახტანგ მეფე-სჯულმდებელმა განაახლა სიონის ტაძარი. იგი შეეცადა, ნაგებობა გარედან ქვის ფილებით მოეპირკეთებინა. ჩრდილოეთი მხარეს, სამკუთხედის ლავგარდანის ქვეშ, ქვაზე ამოკვეთილია მხედრული წარწერა: „მაღიდებელი სამებისა დავითიანი ძმისწული სახელოვანისა მეფისა გიორგისა და ძე დიდად პატიოსნისა ლევანისა - განმგებელი ქართლისა ბატონიშვილი ვახტანგ, განმაახლებელი გუმბათით და ლიმბონის - ცურით მონასტრისა ამის სულისა მეფისა ბიძის და მამისა დედისათვის და სულთა ჩემისა მეულლისა, ძისა და ასულთა აღსაზრდელად. ქრისტეს აქეთ ჩრდილოეთი მხედრული წარწერა: „მაღიდებელი სამებისა დავითიანი ძმისწული სახელოვანი შემოიჭრა თბილისში, გადარცვა და სიონის ტაძარიდან ლევისმშობლის ხატი გაიტაცა. არავინ უწყის, რა ბედი ეწია ხატი: ერთნი ამბობდნენ, შემუსრესო, მეორენი კი - გადამალესო. 1724 წელს, მას შემდეგ, რაც ლევებმა მოაოხრეს სიონის ტაძარი, თურქებმა დაიპყრეს ქართლი და თბილისი, სადაც მმართველად დასვეს ისაუფაშა ახალციხელი. თურქეთის სულთანმა მას უბრძანა, სიონი მეჩეთად ექცია, თანაც ბრძანება შეესრულებინათ იმავე წელს, თომას შაბათს. საქართველოს ამ დუხვირ ყოფაში თბილისის მიტროპოლიტი იჯდა დომენტი - ორბელიანთა გვარიდან. ფრიად დამწუხრებული მიტროპოლიტი სიონის სასულიერო პირთა თანხლებით ეახლა თავად გიგი ამილახვარს, იმ დროისათვის მეტად გავლენიან პირს და ლეთის სახელით სთხოვა, არ დაეშვა უძველესი ქართული სალოცავის წაბილწვა. თავადი ამილახვარი, როგორც ლრმად რელიგიური ადამიანი და სახალხო მოღვაწე, წინ აღუდგა სულთანის გადაწყვეტილებას, გამოიყენა მთელი თავისი ძალაუფლება, ძალა, გავლენა და, ამგვარად, ისაუფაშა არ შეასრულა სულთანის განკარგულება და სახალხო სალოცავი შეგინებას გადარჩა. ამ მოვლენის აღსანიშნავად მიტროპოლიტმა შეადგინა აქტი, რომელიც ბრძანებს, სიონის კათედრალურ ტაძარში ჩატარდეს საზეიმო ლევისმსახურება გმირი გამათავი-სუფლებლის მოსახლენებლად, ხოლო თვითონ მას მიეკუთხოვ სიგელი, მიტროპოლიტისა და სხვათა ხელმოწერებით, რომლებშიც დაწვრილებათაა მოხსენიებული გივი ამილახვრის დამსახურებანი. ეს სიგელი 1727 წლის 8 აპრილსაა დაწერილი. აი ისიც. „სახელითა საზეირისა არსებისა დაუსაბამოსა მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა და შუამდგომლობითა ყოვლად უბიწოსა წმიდისა სიონთა მღვისმშობლისათა ესე უკუნისამდე უამთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი წიგნი და ნიშანი მოგართვით ჩვენ ორბელის შვილმან ტფილელ-ბოლნელ მიტროპოლიტმან დომენტიმ და ერთობით სიონთა ღვთის-მშობლის კრებულთ თქვენ ღვთის მოყვარესა და მართლ-მაღიდებელს ამილახორს ბატონს გივს მას უამს, ოდეს აღაოხრეს ლევთა ტფილის ქალაქს სიონთა ღვთის-მშობელი, შემდგომად მათსა დაიპყრეს ქალაქი და ქვეყანა ქართლისა ურუმთა; მაშინ პატრიონი ვეზირი ისეუ ფაშა ახალციხისა, ბრძანება და ფარმანი მოსლოდა ხონთქრისაგან სიონთა ღვთის მშობლის ტაძრის მეჩეთად შექმნა ინებეს, ჩვენცა წმიდა ღვთის-მშობელმნ თქვენი თავი გამოგვიჩინა წარწერა ბერძნული აქცე. ვერცხლითაა მოოჭვილი - გვირგვინი, შუაგული და არშუბი. მოოჭროვილია და გადაკრული აქცე აღისფერი ქამხა“.

ღვთისმშობლის ქართულმა ხატმა სხვადასხვა დროს მრავალი სათნოება და სასწაულებრივი კურნება აღასრულა. საღვთო ძალის ეს მაღლი დღესაც მოქმედდებს. ზეციური დედოფლის ძლევა-ამოსილი საფარველის ქვეშ კვლავ აღასრულდება კურნებანი, რასაც, სხვათა შორის, აღასტურებს მოვლენა, რომელიც ახლახანს მოხდა ამ ხატის მაღლით და, რომელიც აღწერილია ურჩალში „რუს-სკი პალომნიკ“ (იხ. 13, 1902 წ.).

იხ. „ისტორიული ცნობები კრასნოგორსკის ღვთისმშობლის ეკლესიის შეახებ“, რომელიც მოთავსებულია არხანგელსკის ეპარქიის უწყებანში, 1893-1901 წ.წ.

დამხსნელად და ნუგეშისმცემლად, მოვედით ჩვენის კრებულით და დიდის მწუხარებით თავი გაწყინეთ. თქვენც ვინც-ვინ ქართველი დარბაისელნი იყვნენ თან შემოიყარენით და ამის შეწევნასა დასდევით, თითქმის დატყვევება და ამოწყვეტა ირჩიეთ და ამ საყდრის დაუნებელობა. იმანაც ყური მიუვდო თქვენს მოხსენებასა, ხელი აიღეს, დიდად დაგვაძლენ და ფეხში შიც მრავალი გაიღვით და საყდარიც შესწირეთ. რადგან ამდენი სასუიდელი და ჭირნახული დასდევით ჩვენს მონასტერზე, ჩვენ სხვაფრივ ვერას გემისახურებით და ეს პირობა მოგვიხსენებია, რომ, რადგან ახალკვირის შაბათი იყო ჩვენი განსაცდელი და საყდრის გამორთმების ამბავი, ისევ ახალ კვირის წინა დღე შაბათი განვაწესეთ თქვენთვის მოსახსენებლად. ამ დღის იქით ყოვლის წლისათვის იმ შაბათს ჩვენ და ჩვენი კრებული ერთობილი ჟამს გიწირვედეთ თქვენ და თქვენთა შვილის შვილთა დაუვიწყებლად ჩვენსა ხარისხსა ამას მოვიხსენებდეთ. ჩვენ ეს პირობა მოგვიხსენებია და რომელიც შემდგომად ჩვენსა ხარისხსა ამას ზედა ტფილელობდეს მათთვისაც ასე ანდერძად დაგვიგდია და ნურც დააკლებენ და თუ ვინმე ეს ჩვენგან სამარტლად გამწერებული მოხსენება და ანდერძი დაივიწყოს და მოშალოს, აგიმუა მოიშ- ჩვენგან ტფილელობდეს კეთილისაგან და ჩვენთა ცოდვათა წილ იგიმუა განკითხვის დღესა სასჯელისასა, ლების ყოვლის კეთილისაგან და ჩვენთა ცოდვათა წილ იგიმუა განკითხვის დღესა სიონის დეკანოზის-შეილის ხოლო დამამტკიცებელი ამისანი ღმერბმა აკურთხეს. დაიწერა ხელითა სიონის დეკანოზის-შეილის ოსესითა: აპრილი, ჭირობონკონკონს შიშ.

ქ. რომელიცა კურთხეულს ღომენტის ტფილელს განუწესებია, მე ტფილელი ვამტკიცებ და აღვასრულებ და შემდგომად ჩემსა სხვანიცა ესრეთ ჰყოფდენ (ზეწელი ტფილელი მიტროპოლიტის ევთონი) ქ. ჩვენ ტფილელი მიტროპოლიტმან თუმანიშვილმან ქრისტეფორემ ეს სიგელი ღვთის

30. მას შემდეგ ამ მოვლენის აღსანშენავი ზეიმი სიონის ტაძარში ყოველწლიურად ტარდებოდა 1795 წლადე, ვიდრე საქართველოს თავს დაესხმოდნენ ალა-მაჰმად ხანი, მამარ-ხანი ავარელი; შფოთიანი პოლიტიკური ამბების გამო დავიწყებას მიეცა ეს ტრადიცია, თუმცა ზეიმის გაუქმების მთავარი მიზეზი სხვა იყო. ეს გახლდათ ოჩთაბრძოლა ქართლის მეფის ვახტანგ მეექვისისა და კახეთის მეფის ერეკლე მეორის დინასტიებს შორის. 1899 წელს ხსენებული გმირის ერთ-ერთმა შთამომავალმა, გენერალ-აღიუტანტმა, თავადმა ივანე გივის ძე ამილახვარმა მაღალუწმიდესობის ეგზარქოს ფლავიანეს წინაშე აღძრა შუამდგომლობა დავიწყებული საეკლესიო ზეიმის აღდგენის თაობაზე. წინადადებას მხარი დაუჭირა ეპისკოპოსმა კირიონება, რომელმაც ეგზარქოს გაუგზავნა შესაბამისი მოხსენებითი ბარათი ზეიმის აღდგენის მოთხოვნით. მაღალუწმიდესმა ფლავიანემ მოიწონა წინადადება და მას შემდეგ სიონის კათედრალურ ტაძარში თომას კვირას მუდამ იმართება საზემო და სალვო ლიტერგია და პანაშვილი განსვენებული გმირის, მართლმადიდებელი ეკლესიისა და სარწმუნოების დამცველის სულის მოსახსენებლად.

ნებით დავამტკიცეთ. ქრისტეფორე (ეს სიგელი მოთავსებულია პროფ. ხანანაშვილის „ვუკრებში“, იხ. გვ.5 და უორდანიასთანაც, იხ. გვ. 212 №54).

მალე, კერძოდ 1795 წელს, საქართველოს თავს დაესხნენ სპარსელები, რომლებმაც დანგრევა რომ ვერ მოასწრეს, დაწვეს სიონის ტაძრის ხის კანკელი, შებოლეს და გაჭვარტლეს ძველი ფრესკები. ტაძრის დიაკვენა ითანე ისეშვილმა სპარსელებისაგან გადაარჩინა ღვთისმშობლის ხატი. ხატი მხარზე შეიღვა, გაიტანა თბილისიდან, ურემშე დაასვენა და კაიშაურის მთებში გახიზნა. ათი დღის შემდეგ, გადამწვარი თბილისიდან სპარსელების წასკლისთანავე, ხატი დაუბრუნდა სიონის ტაძარს.

სიონის ტაძრის ძველი კანკელი დაბალი იყო, მსგავსად დღემდე შემორჩენილი ძველი ტაძრების კანკელებისა. თბილისის და მასთან ერთან სიონის არაერთგზის აოხრება, მოლოს კი შაპ-აბასის შემოსუვა გახდა მიზეზი, რომ, ბოლოს დაბოლოს, თბილისის გაისკოპოსებმა გადაწყვეტეს ტაძარში ხის კანკელი დაედგათ. შემდეგ ზოსიმებ, ათონის მთის მცირე, გარეჯის უდაბიოს მოლუაწემ კანკელი გაჯისაგან გააკეთა და ოქროთი მოჩუქურთნა. ამ კანკელს პეტონა ზუთი იარუსი და ფარავდა საკურთხევლის საუკეთესო ნაწილს.⁴


სიონის ტაძარს ორი ეკვდერი ჰქონით, ტაძარში, სადიაკვნო განყოფილებაში, მოციქულთა თავების პეტრება და პავლეს სახელობის, მეორე გარე, სამხრეთის მხარეს (არ ვიცით, ვისი სახელობის). ეს მტრებმა დაანგრიეს. თბილისის მიტროპოლიტმა ელისემ ნანგრევებშიც აცეკ კარიბჭე, რომელსაც სამხრეთის მხარეს წარწერა აქვს: „ნებითა ღვთისათა და შეწევნითა სიონთა ღვთის მშობლისათა, მე, თბილელმან ელისე საგინაშვილმან ალუაშვენ გუმბათი ესე სიონისა თრჯერ, სამხრები და კარის ბჭე, დავხატე და შევამკე ყოვლითა სამცაულითა, შენდობას იტყოდეთ ღვთის გულისათვის. ამინ. ქორონიკონ-ტმე“.

ამ კარიბჭეში 1795 წელს ცხოვრებდა ბერი ლავრენტი, წარმოშობით ბერძენი; რომელსაც დიდად აფასებდა მეფე გიორგი XIII. მან განდანა წმიდა ემბაზში უფლისწულები მიხეილი და ილია. სპარსელებმა მოკლეს თბილისის საბედისწერო აოხრების უამს. მკვლელები დიღმის მინდობრზე შამოეწინენ...

როცა რუსეთის მფლობელობამ გადმოლახა კავკასიის ქედი და ქართველმა ხალხმა ერთორწმუნეთა მფარველობაში სული მოითქვა, ძეველმა სალოცავებმა აღორძინება დაიწყეს. საქართველოში რუსეთის მმართველობის შემოსკლის დღიდან სიონის ტაძარი პირველად შეაკეთეს თავად ციციანოვის დროს. ციციანოვმა უმაღლეს ხელისუფლებას მისწერა პატავი 1802 წლის 16 ნოემბერს მომხდარი ხანძრის შესახებ და რემონტისათვის მოითხოვა 10.000 მანეთი. როცა ეს თანხა გამოუყვეს, თავადმა ბრძანა აღედგინათ ტაძრის ფერწერა, რომელიც 1795 წელს, სპარსელების შემოსკლის დროს ხანძრისაგან შეიმუსრა. ეს ბრძანება 1803 წელს შერულდა. 1804 წელს ციციანოვმა ითხოვა, სიონის ეკვდერი (პეტრე-პავლეს სახ.) ეკურთხათ ალექსანდრე ნეველის სახელზე, რომელიც

⁴ ასეთი კანკელები, პ.იოსელიანის შენიშვნით, აქვთ ათონის მთაზე. ზოსიმეს ხელით დამზადებული ასეთი კანკელები ჩანს დაეით-გარეჯის უდაბნოში. ამ ნიმუშით, სიძველის დაცვის მიზნით, წმიდა სინდის განკარგულებით, მცხეთის საკათედრო ტაძარში აშენდა ასეთი კანკელი. იხ. აგრეთვე პ.იოსელიანი, გვ. 105-112.

იყო ანგელოზი იმპერატორ ალექსანდრესი. 1818 წელს ლვოისმსახურება შეწყდა და ტაძარი გადაქციეს საეკლესიო ქონების სალაპონდ და საცავად. ამ მიზნით, ლია შესასვლელი თხელი კედლით გადაკეტეს და აიღეს ეკვდერის კანკელი. 1829 წელს აქ გაკეთდა საფარი, სადაც თაყვანისცემისათვის დაიდგა დიდებული გარდამოხსნა - ვარშაველი თავადის, გრაფ პასკევიჩის საჩუქარი. 1817 წელს, საქართველოს ეგზარქოსის, მიტროპოლიტ თეოფილაქტეს დროს მთავარი ტაძრის შიგნით გაუქმდებულ ეკვდერის ნაცვლად სამხრეთის მხარეს აკურთხეს სტოვა და დადგეს ძევლი ხატი, რომელიც მარტყოფის მონასტრის სამლოცველოდან წამოიღეს. 1827 წელს კი საქართველოს ეგზარქოსმა, მიტროპოლიტმა ონამ გადაკეთა კანკელი და ეს სტოვა კვლავ წმ. მთავარანგელოზის სახელზე აკურთხა. 1850 წელს, თავად მს. ვორონცოვის დასტურით, თავადმა გ.გ. გაგარინმა, რომელმაც შეისწავლა ბიზანტიური ფერწერა საქართველოში და კანკელის ფორმა იმ ძევლი ტაძრების მიხედვით, რომლებიც შემორჩა შუაგულ ტყეებსა და ხეობებში, აგრეთვე IX-X საუკუნის წიგნებით, კვლავ მოხატა საქართველოს სამეფოსა და მისი დედაქალაქის, ქართველი ხალხის ეს ძევლი სალოცავი. თავადი გაგარინი, პირველად ჩეგნში, სანთლის სალებავით ხატავდა. ეს წესი, რომლის სიკეთე ოცწლიანი გამოცდილებითა დადასტურებული, მიუნებებში, აგრეთვე - რუსეთში, ზოგიერთი მნიშვნელოვანი ლირსებით გამოიჩინება. ნახატი არ შავდება, არ სკედება, არ უფრიულდება, ინარჩუნებს სიმერქალისა და ბზინვარების ეფექტებს, არ ფუჭდება გარედან შემოსულ ჰაერზე, შეიძლება ყოველგვარი ელფერის გამოყენება და, ამასთანავე, ინარჩუნებს ზეთის სალებავის ყველა ლირსებასა და სიკეთეს. ახალი მიღწევის გამოყენებამ არაჩეულებრივი ბრწყინვალება და რელიეფურობა შემატა გაგარინის ნამუშევრის. მისი ფერწერის სინათლე და ძალა, ოქროს მორთულობით რომ ბრწყინვაეს, ყველას აოცებს. ვიწრო ფანჯრები გააფართოვეს და ტაძარში შემოიჭრა ნათელი, ოდნავ იღუმალი, როგორც ეკლესის შეპფერის, მაგრამ საქმარისი საიმისოდ, რომ დავინახოთ შენობის ყველა წვრილმანიც კი. ეკლესის შესასვლელს პირდაპირ, თაღზე, კანკელის ზემოთ, ოქროს ფონზე, რომელიც მოზაიქის მოგვაგონებს, სამ იარუსად არიან განლაგებული ღვთაებრივი სახეები. წინ ღვთისმშობელია, მას აქეთ-იქით უდგანან წინასწარმეტყველები, პირველი მოსკოვის მქადაგებლები. ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე გამოსახულია მაცხოვარი მოციქულთა შორის, ოდნავ დაბლა - ეკლესის მამები, რომლებმაც ქრისტეს ცხოვრება შეათვისეს ადამიანთა ცხოვრებას. გუმბათის სილრმეში, როგორც ყველა ძველ მართლმადიდებლურ ეკლესიაში, ოქროს ფონზე მოჩანს მაცხოვრის კოლოსალური სახე, რომელიც ძალასა და მაღლს აფრივებს. გუმბათის სფეროში, სამხრეთის ზეცასავით მკეთრი ცისფერი ფონი მოფენილია ოქროს ვარსკვლავებითა და ქერუბინთა თავებით. ქვემოთ, აღმოსავლეთის მხარეს, მტრედის სახით გამოსახულია სულიწმიდა, კუთხეში - ოთხი მახარებელი. მათ შორის მოციქულები - პეტრე და პავლე და ანგელოზები, რომლებიც ბუკის ცემით აუწყებენ ქვეყანას სახარების სიტყვის გავრცელებას; სვეტების კუთხეებში, თალთან - უსხეულო ანგელოზები სინათლის ფრთხების სახით. თვით სვეტებზე - ქართველთა წმიდანები: წმ. ნინო, წმ. აბო, წმ. ქეთევანი, წმ. ლუარსაბატი. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებზე ექვს-ექვსი დიდი სურათი საეკლესიო დღესასწაულს ასახავს. დასავლეთის კედლზე, შემოსასვლელთან დახატულია განკითხვის დღე. იქვე - ოთხი სურათი ქრისტეს ცხოვრებიდან: ბავშვების დალოცვა, წმ. მაგდალინა, მოვაჭრების გაძევება ტაძრიდან, „მიაგეთ კეისარს კეისარისა“. მათ შორის მოჩანან ანგელოზები. კიდევებში ყურადღებას იქცევს კოლოსალური ფიგურები წმ. დიდმოწამის ალექსანდრესი, წმ. გიორგი ძლევამოსილისა და წმ. დიდმოწამეთა - ბორისისა და გლებისა. წმიდა მოწამენი, როგორც ეკლესის ბურჯები, გამოსახული არიან ტაძრის სვეტებზე. და ბოლოს, გუმბათის თაღის ზემოთ გამოსახულია ათცამეტი სირიელი გამა, რომლებიც საქართველოში შემოვიდნენ VI საუკუნეში. ქრისტე ცისფერ



ფონზე მიმოფანტულია ოქროს ვარსკვლავები. ყოველივე ეს შეერთებულია ღიდებული არშიებით, რომლებიც, მართალია, მკვეთრი ფერებით, სიჭრელის ეფექტს ბადებენ, მაგრამ საერთო ტონალობას არ არღვევენ. ტაძრის ქვედა ნაწილს ამშვენებს მომწვანო პარალელოგრამები, რომლებიც მარმარილოს ფილებს მოგვაგონებენ. ყველა სურათს არაჩვეულებრივი ეფექტი აქვს. ფიგურები გამოიჩინა ლურჯ-მომწვანო ფონზე. ისინი ერთდებიან ოქროს არშიებით, რომელთა შტოსებრ ზედა ნახევარსფეროებს აგვირგვინებს ოქროს ჯვრები. ყოველივე ეს ერწყმის თაღის ცისფერ ფონზე გამოსახულ ოქროს ვარსკვლავებს. ერთ ადგილას თაღს შემორტყმული აქვს ლურჯი, ოქროს არშიებიანი სარტყელი, რაც მკვეთრად ანელებს მოიქროვილი ჭერის სიმკვეთრეს. გვერდითი კამარების ისრებზე, დასავლეთის შესავლელიდან მოჩანს სტავრის მსგავსი ყოლისფერი სურათი შავი ჯვრებით. საერთოდ, მშრალი აღწერით შეუძლებელია გადმოსცე ამ ბრწყინვალე, მრავალფეროვანი, არაჩვეულებრივი ორნამენტულის მთელი მშვენიერება. მასზე წმინდანები უფრო დახვეწილი, უფრო დიდებული წარმოგვიდგებიან... თვით გამოსახულებანი მოკლებული არიან პირობითობას; მათი ღიდებული სიმკაცრე გამოძახილია ჩვენი ეკლესიის საუკუნოებრივი გადმოცემებისა. მხატვარი ზოგჯერ მიმართავს ძველ ნაცნობობას იტალიურ ფერწერასთან. მაგალითად, ანგელოზები, რომლებიც სულიწმიდის შეიდ მაღლს გამოხატავენ, ერწყმიან მქრქალ ნახევარტონს, და ეს ხომ ფერწერული ვენეციის საუკეთესო ხანას მოგვაგონებს. მხატვრის სტატობა ყოველგვარ ქებას იმსახურებს. კაცობრივი შეფითი და სამხედრო მღელვარებანი წარჩდება, ადამიანები და მოვლენები სწრაფად იცვლებიან, მაგრამ ტაძარი ღვთისა შეურყეველი და მარადიულია. ბელნიერია ის, ვინც თავის მერე დატოვებს ხალხის მაღლიერი ხსოვნის კვალს, ვინც ნიკი, გულმოლგინება და ღრი მიუძღვნა ღვთის სახლის განშვენიერებას და ვისაც მოიგონებს შორეული შთამომავლობა. დიდი ნიჭიერებისა და დახვეწილი გემონების წყალობით მან შეძლო ახალი ბრწყინვალებით გაეცოცხლებინა ქრისტიანული სამყაროს პირველყოფილი საწყისები. ტაძრის კედლებისა და თაღების ბიზანტიური გემონებით მოხატვამ, ცხადია, მოითხოვა კანკელის გამორთვა ძველი აღმოსავლერი ეკლესიის ნორმებით. თაბაშირისაგან დამზადებული ყოფილი მრავალიარუსიანი კანკელი თაღის ხედს ფარავდა და ამიტომ იგი არ შეესაბამებოდა მთელი შენობის მხატვრულ სახეს. თავადმა გ-გაგარინმა უველა ტაძარი დაათვალიერა და შუამთის VIII საუკუნის ეკლესიაში მიაგნო გადარჩენილ ერთიარუსიან კანკელს. სიონის ტაძრის განმახალებელმა ამის მიხედვით შექმნა ახალი, ქვის კანკელის მოდელი. კანკელი დაიდგა ძველი სტილის გათვალისწინებით, რის გამოისობითაც მლოცველთათვის გამოთავისუფლდა საკურთხევლის ის ნაწილი, სადაც გამოსახულია ღვთისშობელი ყრმით. როგორც ზემოთ ითქვა, ეს ფრესკა გარშემოტყმულია ძველი სამყაროს წინასწარმეტყველთა თორმეტი მოციქულისა და ეკლესიის მამათა სახეებით. 1861 წლის 17 დეკემბერს საქართველოს ეგზარქოსმა ევსევიმ ქალაქის თავთა თანდასწრებით აკურთხა განახლებული ტაძარი და აღასრულა საღვთო ლიტურგია. ითქვა ისიც, რომ ტაძარი გადახურული იყო აღგეთის ქვით, რომელიც, მართალია, მტკიცეა, მაგრამ ნაგებობას მაინც ვერ იცავდა წვიმისა და ნესტისაგან. ამ ქვას სიძველის იერის შესანარჩუნებლად ახურავდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლო ორმოცი წლის მანძილზე სამჭერ მოუხდათ მისი გამოცვლა. ქვის საბურავი დღემდე რომ დაეტოვებინათ, გაგარინის ფერწერა სავსებით გავერანდდებოდა. ამიტომ ტაძრის სამედოდ დაცვისათვის აუცილებელი იყო ქვის შეცვლა რკინის ფურცლებით, რაც გაკეთდა კიდეც იმავე ევსევის დროს...

ქართული ეკლესიის ახლანდელი მწყემსმთავრის, ალექსის დროს შედგა მგალობელთა გუნდები, რომლებიც გალობრენ ტაძრის შესასვლელში, იმ ადგილას, სადაც მლოცველთა თაყვანისცემისათვის ასვენია ძვირფასი ხატები და წმიდანთა ნაწილები. სხვათა შორის, ეს ძვირფასი და წმიდანივთები ჩვენს დრომდე საეკლესიო სალაროში ინახებოდა, ქურდების შიშით გარეთ ვერ გამოკეონდათ. ამავე ღრის, არსებობს წინადადება, სიონის მოედნის გასაფართოვებლად, დაინგრეს ძველი შენობები, რომლებიც დასავლეთიდან, მთავარი ქუჩის მხრიდან კეტავენ ტაძრის ხედს.

შხატერული სიტყვა

შერი ბადრიაშვილი

დედაბრის ლოცვა

ო, თეთრი ფიფქი მოგონებას უჩუმრად ართავს
და თითო წლობით ბუხრის ყელით აცილებს ზამთარს
ეს წლებიც გატყდა და ამ სოფლის ამბობს სამღლოავს
რადგან კარს იქით ბედისწერას ხელავს გარდუვალს.
თვალწინ მდინარებს იმა დროთა ნაზი ვალობა
დიდმა განგებამ ასე უხვად რომ გვიწყალობა.
ალბათ თუ იგრძნო განშორება ამ საწუთროსთან
ჩამრმკვნარ ღაწვებს ორი ცრემლი რომ აუთროთოლდა.
ნეტავ რა უნდა მაცხოვრის წინ მუხლებმოდრეკილს
ზე აღუპყრია ორი ხელი - ხმელი ფოთლები.
“ო, გევედრები, ზეციერო, ამ ჩემს ნაშიერს
წყალობა უყავ, სულიერად ნუ მოაშიებ!
ვიცი, ცხოვრებას რომ ადგია მძიმე უღელი
მაინც გვიყვარს და მაინც კიდევ მასვე უუმღერით.
კაცი უღმერთოდ მარტო არის ქვეყნად სრულიად
იცი, უფალო, უეშმაკოდ დღეც არ უვლია.
შენ აარიდე ყველა ბოროტს, მძიმე იარებს
ასვი ყოველი სიკეთე და ჰყავ მგრძნობიარე.
ააგუგუნე დედო ზარი - ქვეყნის სამრეკლო,
რათა ქვეყანა ურწმუნობამ ველარ წალეკოს.
შენ იყავ მისი ფარი მტერთან უღვთო ჭიდილში,
მიეც სიმშვიდე მის სულს აშლილს, ჰყავი სიდინჯით.
აღზევებულა ძმათა შორის სისხლი მბორგავი,
საღვთო სიტყვაა - არიაღნეს ძაფის გორგალი,
და თუმცა სისხლიც, უმანკოთა სისხლიც დაღვრილი,
ისევ „გიყვარდეს მტერი შენი - მიეც აღვირად!“.

განვითარება ეკლესიისა

ეკლესია არს ტაძარი ღმრთისა, სახლი შესაკრებელი ერისა, გვამი ქრისტესი, და სძალი მისი წყლითა მით ნათლის ღებისათა განწმელილი, და პატიოსნითა სისხლითა მისითა პკურებული, ვითარცა სძალი აღბეჭდული და შემკული საცხებელითა მით სულისა წმიდისათა; ეკლესია არს ცა ქუეყანასა ზედა, რომელსა შინა დამკვიდრებულ არს ცათა შინა მყოფი ღმერთი. ცად ვიტყვი ვიდრე მე ზენა კერძოდ და ზეციერად სამსახურებელად საკურთხეველისა. ხოლო ქუეყანად ეკლესია, ვითარცა მუნ შემოკრებულნი; და ვითარცა ზენა ცით მოიღებენ წმიდათაგან წმიდა ქმნასა, მას შინა გამოისახვის ჯვარცმა, დაფლვა, და აღდომა ქრისტესი, რომელ ესე უზეშთაეს არს კარავსა მას საწამებელსა. რამეთუ ესე წმიდა ეკლესია მამათმთავართა წინათვე მოასწავეს, წინასწარმეტყველთა ქადაგეს, მოციქულთა დააფუძნეს, და მღვდელთ მოძღვართა დაამტკიცეს. ხოლო წმიდა ტრაპეზი პატიოსნისა საკურთხეველისა, უფლისა ჩუენისა საფლავისა სახე არს, რომელსა ზედა მდებარე არს ჰეშმარიტი იგი და ზეცისა პური ქრისტე, რომელი იგი უსისხლოდ დაიკლვის, ვითარცა კაცი, და ხორცია და სისხლსა თვისსა მისცემს მორწმუნეთა თვისთა ცხოვრებად საუკუნოდ.


ტრაპეზი არს საყდარი ღმრთისა, რომელსა ზედა განისვენებს ქერაბინთა ზედა მჯდომარე ქრისტე ღმერთი ჩვენი, ცხოვრებისათვის ჩუენისა განკაცებული, ვითარცა იგი ღიღებულსა მას საიდუმლოსა სერობასა, მჯდომარე იყო შორის მოწაფეთა თვისთა და მოციქულთა. მოიღო პური და ღვინო, წმიდაყო, და თქვა: მიიღეთ და სჭამეთ, და სუთ ამისგან, ესე არს ხორცი ჩემი და სისხლი ჩემი.

და კვალად ამისვე ტრაპეზისა მოსწავება გამოსახა ღიღმან მოსე, ოდეს შემზადა ტაბლა იგი, რომელსა ზედა იყო მანანა, რამეთუ ჰეშმარიტად ქრისტე არს მანანა, რომელი გარდამოხდა ზეცით ცხოვრებისათვის ჩუენისა. სალხინებელი, რომელი ზედა აღს წმიდასა ტრაპეზისა, სახე არს თხემისა ადგილსა, სადა იგი ჯვარს ეცვა ქრისტე ხსნისათვის ჩუენისა, რამეთუ არს ადგილსა მას, სადა დაეფლა უფალი. ამას გამოსახვიდა კიდობანიცა იგი რჩულისა, რომელი იყო წმიდა წმიდათა, სადა იგი ბრძანა ღმერთმან ორთა-ქერაბინთა ქმნა ამიერ და იმიერ. საკურთხეველი კვალად სახე არს საფლავისა, სადა იგი ღაიკლა უფალი ჩუენი, მსგავსად კრავისა მის, რომელი ეგვიპტეს მოსეს მიერ ესწავა ისრაელთა, და სისხლითა მით კრავისათა პოვეს ლხინიბა მომსრველისა მისგან სენისა, და განთავისუფლდენ მონებისგან. შეიწირა მამისა კრავი ღმრთისა ჰეშმარიტი, მღდელთმოძღვარი იგი ღიღებისა, შობილი ღედაკაცისაგან, და აწცა იგივე არს უსისხლოდ ჰეშმირველი და შეწირული, რომლისა ზიარებითა ზიარ ვიქმნენით ცხოვრებასა საუკუნესა;

საკურთხეველი სახე არს ზეცისა მის უხილავისა საკურთხეველისა. რამეთუ მსგავსად მუნ მღვომარეთა მათ ძალასა, მდგომარე არიან მღვდელი აქა წინაშე უფლისა, ამისთვისცა ჯერ-არს, რათა იყვნენ მსგავსად მათსა ცეცხლებრ შემწუელ ყოვლისავე ვნებისა, რამეთუ ზეცისა იგი მღვდელობანი და ქუეყანსა ყოვლივე განაწესა ძემან ღმერთისამან შემოქმედმან ყოველთამან. საკურთხეველისა იგი საჭლომი, ადგილი არს საყდარი, სადა იგი უფალი ჩუენი მჯდომარე არს მოციქულთა თანა, ვითარცა თქვა: დასხდეთ თქვენცა ათორმეტთა საყდართა ზედა. და სახე არს მეორედ მოსლვისა, ოდეს დაჭდეს უფალი საყდართა ღიღებისთა, განკითხებად სოფლისა, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველი: ვითარმედ მუნ დაიღვნენ საყდარნი სასჯელისანი.

კანკელი არს მაუწყებელი სალოცველისა ადგილისა, რომელ მოასწავებს გარეშე მისა დადგრობასა ერისასა, ხოლო შინაგან წმიდა წმიდათასა, შესლვა და მსახურება მღუდელთა მიერ. ნანდვილვე წმიდასაცა ქრისტეს საფლავსა კანკელი არს ჩვალისა, რათა არავინ ურიდად შევიდეს. კანკელისა ზედა იგი სამკაული, მოასწავებს სამკაულსა მას კარვისა საწამებელისასა, რომელსა ზედა არს სახე ჯვარისა, რომელ ბრწყინვიდეს ბეჭედი ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა, საფსალმუნე, მის ლოდისა სახე არს, რომელ გარდააგორევა ანგელოზმან, კარისაგან საფლავისა, და დაჯდა მას ზედა, და ახარა მენელსაცხებელეთა ოღვომა უფლისა, სიტყვისაებრ წინასწარმეტყველისა, რომელი იტყვის: აღილეთ სასწაული მთასა მას ზედა ველოვანსა, მახარებელი ეგე, აღიმალლე ხმა.

„დიდი კურთხევანიდან“



კურთხეულ ხარ შენ, უფალო, რომელი მოხუედ ჩეთანიად, აღადგინე ლაპარე ოთხისა დღისად მკუდრეთით. რომელთა იხილეს და რწმენა, ღაღადებდეს და იტყოდეს: რომელი მოხუედ და მოსლვად ხარ, იქსუ მაცხოვარო ჩუენო, დიდებად შენდა.

გვარ გვარაშვილი

ანდრია პირველწოდებულის და სვიმონ კანანელის სალეთო გზის შემდგომად არს გზა ნინოჭაი ანუ გზაჲ გზათად ყოველთა ქართველთა. „და გზამან ამან მოგვიტანა ნათელი ქრისტესი, - ბრძანებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უნიტიარესი და უნეტარესი ილია II, - კვლავაც აქედან უნდა დაიწყოს სრულიად საქართველოს სულიერი აღმრმანება და აყვავება.“

შმიდა ნინოს გზას ცელს მესამედ მოუყვებიან ფეხით ქართველი მორჩმუნენი და დედა ნინოს ჯერის მადლით განმტკიცებული მოილიან და მოილოცავენ აგრეთვე სამაჩაბლოს ტაძართ და ქართველთ, აქა მდგომარეთ შეავედრებენ უფალს.

ამჯერად კი გიამბობოთ გასული წლის მოგზაურობის შესახებ.

მოციქული პავლე ახასიათებს რა ადამიანის ბუნებას, თავის ეპისტოლეში ამბობს: ...„ხოლო ესე უწყოდე რამეთუ უკანასკნელთა დღეთა მოიწინ უამნი ბირჩოტნი და იყუნენ კაცნი თავისა მოყუარე, ვერცხლის-მოყუარე, ლალ, თავმოთნე, აბარტავან, მგმობარ, მამა-დედისა ურჩი, უმადლო, ულიტს-უყუარელ, უწირავ, მასმენელ, უთმინო და უმჭირველ, უზაკ, უმშვიდებელ, კეთილის-მოძულე, შინა-განმცემელ, წარმდებ, ალზუაებულ, გულისთქმის-მოყუარე უფროის ვიდრე ღუთის-მოყუარე, აქუნდეს ხატი ღუთისმახურების და ძალასა მისა უარყოფდენ“.

საწუხად ჩუენდა აქამომდისინ არაოდეს ყოფილა უამი ესე ალსრულებული სიტყვითა მოციქულისა პავლესითა, როგორც დღეს.

იქნებ, უამია ბოლო და მოწევნულია დრო ალსრულებისა? მაშ, რაჲ ქნას ურწმუნოებისა მორევში მყოფმა უმრავლესობამ ერისამან და საჭეთმცყრობელმან იგივ ერისა? რომელი მღვიძიარეა ნიადაგ დღისა და ნიადაგ ღამისა ერისა მისისათვის.

და, აპა, სხუათაგან საქმეთა კეთილთა, საქმედ კეთილი კიდევ ერთი - წარვლინება მოძლუართა ხუთთა და მრევლთა ასიოდ, შხარესა მესხეთ-ჯავახეთისასა, რომელ არს მხარე და აკუანი შემოსვლათად მცნებებისა ქრისტესისა და რომელ არს გზაჲ ნინოჭაი, რომელსა გზასაცა ზედა ვლენან მეორედ მოძლუარნი და მორწმუნენი ქართველთად, რომელთაცა, გზასა ამას მდებარე სოფელთა, გარე სოფელთა და ქალაქთა შიგან განვლეს უამნი თვედ და ნახევარი და განიწურთხეს იგივ მღუდელნი და იგივ რიცხვნი ასიოდ. და ამათ მავალთა ფეხით, აქუნდა სირთულენიცა დიდნი: უძილობისა, დალალულობისა ფეხითა მავლობისა გამო, სიმშილისა, გარნა ხანდისხან წყურვილიცა, ფერხთა დაწყლულებაცა, ფერხთ და ტანთ გაუხდელობაცა სიცივისა გამო, იგივ უძილობაც სიცივისაგანი და იგი შინაგანი ბრძოლაცა; ხილულთა და უხილავთაგან მოძალებაცა. ესე ყოველი იყო სიმძიმე ყოვლისაგანი, ხოლო იგი სიმძიმედ უფრორე იყო ტვირთული მოძლუართათვის ასკეც. რამეთუ მათი არს ჯვარიცა მძიმე მიზნისათვის გზისა ამისა - ერისა მიღრეკა უფლისადმი. საქმენი მათნი ჰგვანდა



საქმეველს, რომლითა იქმევების ანუ ესალბუნების წყლულთა ერისათა ანუ დაჭრილთა მალამოდ და მწყურვალთა წყურვიელად მიებოძების.

მიზეზმან, ყოველთა ზედა აღმატებულმან - გზამან ნინოჭამან კვლავ შეგვახსენა მიზეზი და მიზანი უპირველესი - უფლისადმი მიღრეკად ვეღრებად და ქედის-მოხრად ანუ სინანული ჩვენი ულმერობისა გამო და მოყვასისა ტკივილისა ტვირთვად . და ამას გზასა ზედა სვლასა, ახლდა საქმედ საეკლესიო-საქრისტიანოდ იმა რიცხვთა მიერი, რომელი მოდიოდა ქვეითად - ფეხით ტბა ფარავნიდან, რომელ არს მიჯნა და საზღვარი სომეხთა და ქართველთა და მუნიციპანცა არს შემოსელად ნინოჟსი და სადაცა წელია მეორე აღშენებულსა ტაძარსა ახალსა წმიდისა ნინოჭამად წოდებულსა ზეიმობს ერი ქართველთად , რომელიც აგებულ არს ლოცვითა-კურთხევითა და აზრითა უწმინდესისა და უნეტარესისა ილია II-სათა. უწმიდესისავე არს აზრიცა ფეხით მავლობისაჲ, რომლისა კურთხევითაცა წარიმართა ცხოვრებად ჩვენი.

ემსა ამასა და დროსა ამასა შიგან განაწესიცა ანუ ტიბიკონი იყო სრულად მონასტრულ თვისის დღითა და თვისის ღამითა რომელსაცა აქუნდა წესად: მორჩილებად მოძღვრისა, (ჩამეთუ წმიდა მამები სულისა ჩვენისა სიკეთისათვის გვირჩევენ „დაემორჩილენით წინამძღვართა თქუნთა და ერჩდით მათ, რამეთუ იგინი იღვიძებენ სულთა თქუნთათვის“, მღვმარებად, მწკრივად სვლაში, ლოცვად ფსკვნილთა, მარხვაში უფროს-უმცროსობისა შეგრძნებად, რიგითა და ჯერით ტრაპეზის მოწყობად, აღსარებად და ზიარებად შემხვედრ ტაძართაგან შინა წირვისამებრ, შვიდ გზის ლოცვად, დილის ლოცვად ანუ ლოცვად უამისა ცისკრისა 5-ისა ან 6-ისა და შემდგომ განლევა განსაზღვრულისა გზისა და ძილად მისვლა ხანსა თუ უამისა ლამისა 2-ისა საათსა.

გარნა ერისადმი დამოკიდებულებად, წმიდა წერილისამებრ „ხოლო კეთილსა საქმესა და ზიარებასა ნუ დაივიწყებთ, რამეთუ ესე - ვითარნი მსხურპლინი სათხო არიან ღუთისა (ებრ. დასაწყისი ტლე)“. ჭვართა და ხატთა გაცემად, პირჯვრის გამოსახვის სწავლება და განმარტება მისი, მომზადება ნათლობის მსურველთა რიცხვთა სოფლისათა ნათლისლებისათვის, აღსარებისათვის და ზიარებისათვის, მარხვის არსის განმარტებად - მარხვით ცხოვრებად, ჭვრისწერისად და მიცვალებულთათვის წესის აგების უყილებლობად, მშობელთა მიერ უასაკოთა და ყრმათა ლოცვით გაზრდად. რამეთუ ამას კეთილსა უქადა ერსა ქართველთასა თვით ნინოშება წმიდა.

გაუწყებთაცა, თვესა ერთსა და ნახევარსა, ჯავახეთისა და მესხეთისა გამოვლით ნათელი იღო ათასამდე ასაკოვანმა და უასაკომ: ორი კვირისა ყრმამან და უხუცესებმან 80-90 წლისამან, შესრულდა ჭვრისწერად და წესის აგება ცა იშვიათ რომელსაცა ვერა განვერიდებით, რამეთუ იგიცა წერილ არს კანონთა ეკლესიათა.

ყოველთაგან უმთავრესთა, გახდა უმთავრესი აღსარება და ზიარებად ათასობით მესხთა და ჯავხთა. ხოლო ყოველი ესე საქმე ალესრულნა ლვაწლითა მოძღვრებისათა: გზისა ამისა წინამძღრისა დავითისათა, თევდორესითა, გიორგისათა, ისესი და ირაკლისათა.

და აპა თუესა იღლისსა 13-სა შემოვიდა იგი მწკრივი ქალაქსა მცხეთას. დღესა ამას, თვით უწმიდესი და უნეტარესი იღლია II - კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველო სა, მრევლი თბილისისა, მცხეთისა და ყოვლისა მხარისა გამოქმართა შესახვედრელად ჩუენდა.

და მან პატრიარქმან სრულიად საქართველოსამან ყოველი ჩუენთაგანი მიირქუა მკერდსა თვისსა და ჯილდო იგი ფრიადი: „სიგელი საექლესიო “ და „სახარებად“ გვიბოძა და იყო ზეიმი აღმატებული ზეიმთაგან, რომელიცა უძლოდა წინ ნათლისლებასა ურიცხუთა ქართველთასა მცხეთას, მდინარესა მტკუარსა შიგან.

ჩემთვის, სრულიად ახალბედა მოძღვრისათვის, წმიდა ნინოს გზის გვლა იყო უდიდესი პრაქტიკა ისეთი გამოცდილი მოძღვრების გვერდით, როგორებიც არიან მამა დავითი, მამა თევდორე, მამა გიორგი და მამა ისე. კონტაქტი ხალხთან, ქადაგება, ნათლობები, წირვა-ზიარება გრძელდებოდა განუწყვეტლივ, თვენახევრის მანძილზე. ვმაღლობ უფალს იმ მოულოდნელი წყალობისათვის, რაც ჩემთვის იყო წმიდა ნინოს გზა.

ერთი რამ მინდა გულისტკივილით აღვნიშნო, უჭირს ერს, როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად. უჭირს მესხეთ-ჯავახეთს, უჭირს ქართლს, უჭირს კახეთს და დროა, სანამ ჭერ კიდევ დროა, გამოვფხაზლდეთ და გადავარჩინოთ ჩვენი სულები და ჩვენი შვილების მომავალი. გადავარჩინოთ საქართველო, მივუბრუნდეთ დედა-ეკლესიას და შევევედროთ დედა ღვთისმშობელს დედა საქართველოს გადარჩენა.

მაილა ნინოს სახელობის კილვა ერთი ტაპარი თბილისაზე

თბილისის მიძინებულ, მიჩურათებულ და მიყრუებულ ტაძართა უმეტეს რიცხვს ეკუთვნის. ქართველთა განმანათლებლის - წმიდა ნინოს სახელობის ერთნავიანი ბაზილიკა, რომლის შიდა სივრცეს; მესხურ-ქართლურ დარბაზულობას, დაკბილულ დედა-ბოძიან სიმაღლეს ქართულ ოჯაში შეყავნარ თითქოს. ასეთი ტიპის ტაძრები წმიდა ნინოს გზაზე ფარავნიდან მცხეთამდე ფეხით მომავალთ აქა-იქ შეგვევედრია, მაგრამ შუაგულ დედაქალაქში, ურწმუნოდ წარმართულ სიტუაციაში მისი გადარჩენა მართლა წყალობაა ღვთისა, რომელშიც ახლახან დანიშნულმა მღვდელმა მამა რევაზმა (ოთარაშვილმა) ბერი სამუშაო ჩატარა კეთილმოწყობის თვალსაზრისით.

წმიდა ნინოს მაღლი, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევა, შეეწია მოძღვარსაც და მომხმარე-კეთილისმენელთაც ამა კეთილ საქმეში. (მიემარა სრ. საქართველოს მ. კოსტავას სახელობის ქ. თბილისის საქალაქო საზოგადოება). და აი, კიდევ ერთი ტაძარი აკურთხა ქ. თბილისში (ჩხეიძის ქ. 32-ში) კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ.

ტაძრის გახსნას და კურთხევას ესწრებოდა საქართველოს უზენაესი საბჭოს შემაღენლობა ბ-ნი ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, თბილისის ინტელიგენცია და მრევლი.

უწმიდესმა და უნეტარესმა თავის ქადაგებაში ხაზი გაუსვა ქართველთა სულიერ აღმავლობას „რომ თუ ინგრევა ეკლესია-ტაძარი, ამით ინგრევა აღამიანის სულიერი სიძლიერეც აღდგება, შენდება ე.ი. შენდება და მთლიანდება, ძლიერდება სულიერი ტაძარი - ანუ აღამიანი... და ეს არის გზა, რომელსაც მიყავს ყოველი სულიერი კეშმარიტებისაკენ. ყველაფერი რაც გაკეთებულა ღვთის ჩრდინით, სულიერი ამაღლებისათვის ხდება...“

ყველაზე მძიმე წლები ქართველთა ცხოვრებაში მაინც ეს ბოლო პერიოდი, ეს ბოლო წლები იყო. მაგრამ ჩეენ მთლად არ დავკარგეთ ჩრდინა. დღეს, აქ თქვენ უმეტესობა ახალგაზრდები ხართ. სულ ცოტა ხნის წინათ, ეკლესიაში თითო-ოროლა აღამიანი თუ ესწრებოდა წირვას. დღეს კი ყველაფერი შეცვლილია. ეს არ არის არავის დამსახურება, არც პატრიარქისა და სასულიერო მხარისა, არც მთავრობისა. ეს არის ღვთის მაღლი ჩეენდამი. იგი თვითონ მოვიდა აღამიანებთან.

მაღლობა ღმერთს, რომ დღეს ბერი და ერი ერთად არის, ერთი საფიქრალი და საზრუნავი აქვა.

ეპისკოპოსის ანანია ჯავარიძის

„საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“

საქართველოში ბოლოს და ბოლოს დადგა დრო, როცა ქართულ ეკლესიას შედარებით თავისუფალი მოღვაწეობის საშუალება მიეცა. ამავე დროს, არნაულად გაიზარდა საზოგადოების ინტერესი ქართული ეკლესის წარსულისადმი. მაგრამ საზოგადოებრივ ცნობიერებაში ეკლესის სასაჩვენებლოდ მომხდარ ასეთ გარდატეხას ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია მაინცდამაინც მომზადებული ვერ შეხვდა, არა გვაქვს ქართული ეკლესის განმაზოგადებელი ისტორია. მრავალსაუკუნოვანი ქართული ეკლესის ისტორიით დაინტერესებული მკითხველი ახალ, თანამედროვე მეცნიერების დონეზე შესრულებულ გამოკვლევას ვერ წაიკითხავს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ასეთი ჩამორჩენილობის მიზეზი ძირითადად 1921 წლიდან საქართველოში შექმნილი ვითარებაა. გარდა იმისა, რომ 1921 წლის შემდეგ ქართული ეკლესის ისტორიის კვლევას საბჭოთა ხელისუფლების სათანადო პოლიტიკა მაინცდამაინც არ ახალისებდა (ასეთ პირობებშიც კი ი. ჭავახაშვილმა, კ. კეკელიძემ, ს. კაგაბაძემ, ბ. ლომინაძემ, ზ. ალექსიძემ და სხვებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული ეკლესის ისტორიის ცალკეული საკითხების კვლევის საქმეში), ამ მხრივ არც რევოლუციამდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში იყო კარგად საქმედა აი, რატომ:

ქართული ეკლესის ისტორიის შესახებ პირველი მონოგრაფია ცნობილმა ისტორიკომა პ. იოსელიანმა 1845 წელს გამოაქვეყნა, ხოლო 1877 წელს გამოცემულ გ. საბინინის გამოკვლევაში ქართული ეკლესის შესახებ თხრობა მხოლოდ VI ს-ის ბოლომდე მოყვანილი. 1886 წ. თბილისში გამოვიდა მოსე ჯანშვილის „საქართველოს საეკლესიო ისტორია“.

ქართული ეკლესის ისტორიის შესწავლა განსაკუთრებით აქტუალური გახდა რუსეთის 1904-1905 წლების რევოლუციის შემდეგ, როცა ქართველმა საზოგადოებამ რუსეთის სამშერატორო კარისა და წმინდა სინოდის წინაშე კატეგორიულად დასვა ქართული ეკლესის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი. ამ დროს რამდენიმე საგაზითო და საექუნალო წერილის (იმ მხირვ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ს. გორგაძის წერილები) გარდა შექმნა თ. უორდნიას, კ. ცინცაძის, ნ. ლურინვის, მ. კელენჯერიძის, ნ. მარის მონოგრაფიები, რომელმაც ძირითადად ქართული ეკლესის ავტოკეფალიის აღდგენის კანანონიერება იყო დასაბუთებული.

ქართველი ეკლესის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნა იმ ხანად მარცხით დამთავრდა. ისევ დაიწყო განმაზოგადებელი ნაშრომების შექმნა. XIX ს-ში ქართული ეკლესის საკითხები განიხილა თავის მონოგრაფიაში ეპისკოპოსმა (შემდგომში კათალიკოს - პატრიარქმა) კირიონმა. 1910 წელს რომში ფრანგულ ენაზე გამოიცა მ. თამარაშვილის განმაზოგადებელი მონოგრაფია, 1913 წელს ქუთაისში - ენიკოლაძის გამოკვლევა „საქართველოს ეკლესიის ისტორია“. ამის შემდეგ, ქართული

ეკლესიის ისტორიის კვლევა, ალბათ ახალ საფეხურზე ავიდოდა, მაგრამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და კვლავაც შეფერხდა.

ასე რომ, ქართული ეკლესიის ისტორიის შესახებ მხოლოდ რევოლუციამდე შექმნილი მონოგრაფიები გვაქვს, თანაც ისინი დღეისათვის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს, რის გამოც ქართული ეკლესიის ისტორიით დაინტერესებული ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი არაა. დასახელებული ნაშრომებიდან მხოლოდ პ. იოსელიანის, მ.ჯანაშვილის, მ.თა-მარაშვილისა და ევ. ნიკოლაძის მონოგრაფიებში არის ქართული ეკლესიის ისტორიის განმაზო-გადებელი თხრობა. აქ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ პ.იოსელიანის მონოგრაფია გარდა იმისა, რომ რუსულ ენაზე და ძალზე მოძველებულია, ხოლო მ.თამარაშვილისა - ფრანგულ ენაზე, გამ-ოდის, რომ საქართველოს ეკლესიის შესახებ ქართულად მხოლოდ ორი წიგნი გვაქვს. და ისინიც სიძველისა და სქემატურობის გამო სრულიად არ შეესაბამებიან მეცნიერების თანამედროვე დონის მოთხოვნებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან, ვფიქრობ, კარგად ჩანს, რაოდენ სავალალო მდგომარეობაშია დღეისათვის ქართული ეკლესიის ისტორიის შესწავლის საქმე. ამიტომ მისასალმებელია, რომ ამ დიდი თეთრი ლაქის შევსება, უკანასკნელ ხანებში საისტორიო წყაროებში ახლად გამოვლენილი მასალებისა და თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევების გათვალისწინებით, ისევ სა-სულიერო პირმა - ეპისკოპოსმა ანანია ჭავარიძემ ითავა.

ეპისკოპოს ანანიას 2 ტომიანი უზარმაზარი გამოკვლევა მრავალწლიანი თავდაუზოგავი კვლევის ნაუოფია. იგი დიდი სიყვარულითა და რუდუნებით არის შესრულებული. შეიძლება გა-დაუკარბებლად ითქვას, რომ ქართული ეკლესიის ისტორიის შესახებ ასეთი ყოვლისმომცველი გამ-ოვლევა რევოლუციამდელ საქართველოშიც კი არ შექმნილა.

ქართული ეკლესიის ისტორია, რა თქმა უნდა, ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის ნაწილია და ამ გრანდიოზულ ნაშრომშიც ქართული ეკლესიის ისტორია საქართველოს ისტორი-ასთან მცირდო კავშირში და მის ფონზე გადმოცემული. აღნიშნული გარემოება, ვფიქრობ, ნაშ-რომის ერთ-ერთ დიდ ლირსებად უნდა ჩაითვალოს.

ფარნავაზის ხანიდან (ძვ.წ.III ს.) მოკიდებული XVIII ს-ის ჩათვლით, არ დარჩენილა როგორც საქართველოს ისტორიის, ისე ქართული ეკლესიის ისტორიის მეტად თუ ნაკლებად აქტუ-ალური პრობლემა, რომლის შესახებაც ა.ჭავარიძეს თავისი თვალსაზრისი არ პქონდეს გამოთქმული. ყოველივე ეს ავტორის ფართო განათლებაზე მიუთითებს.

მისასალმებელია, რომ სასულიერო საქმეებით დაკავებული პირი წლების მანძილზე თვალს ადევნებს ქართულ (და არა მარტო ქართულ) ისტორიოგრაფიაში შექმნილ ყველა იმ წერილსა და მონოგრაფიას, რომელიც მის გამოკვლევაში განხილული ცალკეული საკითხებისას გამ-ოდებოდა. აღნიშნულის გამოა, რომ მის მონოგრაფიაში ახალი სამეცნიერო ლიტერატურა სა-თანადო სისრულითაა ასახული. ავტორი ახერხებს არა მარტო სრულყოფილად გაღმოსცეს ქართული ეკლესიის ისტორია, არამედ ქართული ეკლესიისათვის დღეს მეტად აქტუალური ზოგიერთი პრობლემა ახლებურად დასვას. ბევრი საქამათო საკითხი მონოგრაფიაში ახალი მასალითაა გამ-ყარებული და სათანადო დასკვნებიცაა მიღებული.

ნაშრომის ერთ-ერთ სიახლედ უნდა ჩაითვალოს მოციქულთა დროინდელი საქართველოს ვრცელი და დეტალური ისტორიის გადმოცემა, რასაც აქამდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა.

I-II ს-ში საქართველოს ტერიტორიაზე მოციქულთა მიმოსვლისა და ქადაგების შესახებ ძველ წყაროებში არსებული მასალა, მას შემდეგ, რაც 1900 წელს ივანავახიშლებილმა ანდრია პირველწოდებულის ქართლში შემოსვლა უარყო (იმ ხანად ასეთი შეხედულება მხოლოდ პატრია ავრელიო პალმიერიმ არ გაიზიარა), სპეციალურად აღარავის უკვლევია. ა. წ. I-II ს-ის საქართველოს ისტორიისათვის ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხი უყურადღებოდ იყო მიტოვებული. რა თქმა უნდა, ყოველივე იმაზე, რაც საქართველოს ისტორიისა და ქართული ეკლესიის ფეხების კვლევას ნათელს მოჰყვნს, უარის თქმა არ შეიძლება. უმცირესი მასალაც კი, სათანადო გაანალიზების შემდეგ, ქართული კულტურის სამსახურში უნდა იქნეს ჩაყენებული. სწორედ ამ მხრივ მიუდგა ავტორი საქართველოში მოციქულთა შემოსვლის საკითხს.

როგორც მონოგრაფიიდან ჩანს, საქართველოში მოციქულთა მოსვლის შესახებ (გარდა იმისა, რომ დაბეჭითებით მიუთითებს ძველი ქართული წერილობითი საისტორიო ტრადიცია), მოგვითხოვთ ძველი ბერძნი და ლათინი ავტორები. ამიტომ, მისასალმებელია, რომ სარეცენზიო მონოგრაფიაში ეს საკითხი ფართოდ და ამომწურავადაა წარმოდგენილი. დეტალურადაა გაანალიზებული საქართველოში მოციქულთა შემოსვლის გზები და მათი ქადაგების გეოგრაფიული არეალი (გვ.18-20). დამაჯერებლადა ნაჩვენები, რომ ძველ ავტორთა მიერ დასახელებული სკვითეთი, სადაც ანდრია პირველწოდებულმა ქრისტიანული რწმენა იქადაგა, ამავე ავტორთა (მაგ. დიონისე პერიეგეტი, გვ. 51-55) ცნობებიდან გამომდინარე, საქართველოს ტერიტორიად უნდა ჩაითვალოს(გვ.35-36).

როგორც მოტანილი მასალიდან დასტურდება, ანდრია პირველწოდებულის გარდა, საქართველოში რამდენიმე მოციქულს უქადაგია, რომელთაგან სიმონ კანანელი ანაკონდაში გარდა-იცვალა და იქ არსებული მისი საფლავი ავტორის მიერ სამართლიანადაა მიჩნეული საქართველოში მოციქულტა ყოფნის ერთ-ერთ დამადასტურებელ ფაქტად. ავტორის დასკვნით, ანდრია პირველწოდებულმა ა. წ. 1 ს-ში არა მარტო გააქრისტიანა ქართველთა ერთი ნაწილი, არამედ აწყურში პირველი ეკლესიაც დააარსა (გვ.34). დამაჯერებელია ძველი ქართული საისტორიო წყაროების მონოცემებზე დაყრდნობით გამოთქმული მოსაზრება ანდრია პირველწოდებულის ქართლში პირველად ა. წ. 30-35 წელს, მეფე ადერკის ზეობის დროს შემოსვლის შესახებ (გვ.38). ნაშრომში ასევე სათანადოდა დასაბუთებული საქართველოში სხვა მოციქულთა (მატათა და სხვა) ყოფნა გვ. 38-43, 56-57 და მათ მიერ ახალი რწმენის ქადაგება (გვ.44). რა თქმა უნდა, როგორც ავტორიც მიუთითებს, ა. წ. I-II ს-ების ქართლის სამეფოს სიძლიერესა და მის საერთაშორისო ავტორიტეტს თუ გავითვალისწინებთ, მოციქულები მაშინდელ საქართველოს მართლაც ვერ აუვლიდნენ გვერდს.

საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობის შესახებ ნაშრომში მოტანილი მასალით ავტორი მიზნად ისახავს უფრო დიდი პრობლემის გადაწყვეტას. კერძოდ, მოციქულთა მიერ (ა. წ.) I-II ს-ების საქართველოში ქრისტიანობის დანერგვა ეპისკოპოს ანანიას საფუძველს აძლევს მოციქულთა დროინდელი საქართველოს ეკლესია ავტოკეფალურად მიიჩნიოს (გვ. 45, 61-62, 65). ნაშრომში დამაჯერებლადა დასაბუთებული იმ დროისათვის ისეთი გზით წარმოქმნილი უკელა ავტოკეფალური ეკლესიის თანასწორუფლებიანობა (გვ.59). სათანადო მასალით შემაგრებულ ასეთ მოსაზრებას ავტორი ცნობილი ბიზანტიელი კანონისტის (XII ს.) ცნობით ადასტურებს (გვ. 269-270).

ნაშრომში საინტერესოდაა გადმოცემული ქართული სახელმწიფოს, ქართველი ერისა და ქართული ენის ჩამოყალიბების პროცესი. ნაჩვენებია, რომ ქართველებით განსახლებული ტერი-

ორის საზღვრები იმ უძველეს დროში ქართული ეკლესიის სამწყსოს ემთხვეოდა (გვ. 66-92). ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა ნაშრომებზე დაყრდნობით ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ფარნავაზის დროიდან მოკიდებული ქართლი და ეგრისი ერთიანი ქართული ქვეყანა - „ყოველი საქართველო“ იყო (გვ. 103-105, 108-109), რის გამო მას განმანათლებელიც ერთი ჰყავდა. ასეთი მოსაზრების ერთ-ერთ დამადასტურებელ საბუთად მოყვანილია ქართლის ცხოვრების ის ცნობა, რომლის თანახმად ქართველთა განმანათლებელმა წმიდა ნინომ „ნათელი სც ყოველთა ივერია“ (გვ. 108, 147-148, 195). როგორც ცნობილია, ასეთი შეხედულება აღირ ნ. მარმა გამოთქვა და ნ. მარის მოსაზრება სათანადოდ მითითებულია კიდეც მონოგრაფიაში (გვ. 120).

ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი იმის მტკიცებას, რომ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ტერიტორია ასევე იბერიიდ (ქართლად) იწოდებოდა (მაგ. გვ. 145). ეს საკითხი ჯერ კიდევ აკად. ს. ყაუხებიშვილმა გაარკვია, მაგრამ მისგან განსხვავებით ეპისკოპოსი ანანია ზოგჯერ იბერიის ტერიტორიად მთელ დასავლეთ საქართველოსაც გულისხმობს და ასკვნის, რომ ჩადგან ამ ერთიანი ისტორიულ ქართულ ტერიტორიაზე ერთიანი ქართველი ხალხი ცხოვრობდა, ერთიანი შევნებით, ერთიანი კულტურით, მთელ ამ ტერიტორიაზე IV-დან წირვა-ლოცვა ერთ ქართულ ენაზე იყო (გვ. 147).

IV V ს-ების საქართველოს ისტორიის ამსახველ ქართულ საისტორიო წყაროებში („მოქცევა ქართლისა“, „გახტანგ გორგასალის „ცხოვრება“), რაღვან ქართული ეკლესიის მეთაურად თითო პირია დასახელებული, ქართული ეკლესიის ისტორიის ისეთი ცნობილი შევლევარი, როგორც აკად. ჭ. კეკელიძე იყო, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ავტოკეფალიის მოპოვებამდე (კ. კეკელიძე ავტოკეფალიის მოპოვებას 468-472 წწ. განსაზღვრავდა) ქართლის სამეფო ერთ საეპისკოპოსოს წარმოადგენდა. კ. კეკელიძის მოსაზრებას იზიარებენ ბ. ლომინაძე და ა. ბოგვერაძე. მართალია კ. კეკელიძის მოსაზრება თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული არაა, მაგრამ მაინც მისასალმებელია, რომ ქართული ეკლესიისათვის ასეთ პრესტიულ საკითხს ეპისკოპოსმა ანანიამაც მიაქცია ყურადღება. მისი დასკვნით, ქრისტიანობის შემოსვლიდან და გამარჯვებიდან მოყოლებული, საქართველოში რამდენი საერისთავოც იყო, იმდენი საეპისკოპოსო უნდა ყოფილოყო (გვ. 414-419, 307) ასეთი მტკიცების ერთ-ერთ დამადასტურებელ საბუთად მონოგრაფიაში სამართლიანადა მიჩნეული „მოქცევა ქართლისა“ - ში ქართლის ეკლესიის მეთაურის მთავარებისკოპოსის ტიტულით, და ვახტანგ გორგასალის დროინდელ ქართლში ეპისკოპოსთა არსებობა (გვ. 420-421, 429).

მიხედვაც იმისა, რომ ძველ ქართულ წყაროებში მეცნიერთა არაერთმა თაობამ იმუშავა, ვახტანგ გორგასალის „ცხოვრების“ ავტორის ჯუანშერის გამოთქმით, რომ ქართველებმა კეთილად ვერ იპყრეს. „წესი ითანეს მცნებისა“, არავინ დაინტერესულა, ეპისკოპოსმა ანანიამ მიაქცია უზრადლება და აზრი გამოთქვა, რომ ჯუანშერის სიტყვაში ამ შემთხვევაში ითანე ნათლისმცემელი ან ითანე მოციქული კი არ იგულისმება, არამედ ქართლის ეკლესიის პირველი მეთაური ითანე (გვ. 344-346). იქევ დაასაბუთა, რაღვან ითანე ეპისკოპოსის მიერ საქართველოში შემოტანილი ნიკეის ჩრდენისათვის ქართლის ეკლესიას შემდეგში აღარ ულალატია, მაშინ, როცა თვით რომის იმპერიაში მრავალი მწვალებლობა წარმოიშვა, ჯუანშერის გამოთქმაში ითანე ეპისკოპოსის მიერ ქართლში დანერგილი ჩრდენისადმი ერთგულება იგულისმება და ქართული წყარო ზუსტად ასახავს იმ საეკლესიო პოლიტიკას, რომელიც 451 წლის ქალკედონის კრების შემდეგ ბიზანტიის იმპერიაში არსებობდა (გვ. 343) ვფიქრობ, ჯუანშერის გამოთქმის ასეთი ინტერპრეტაცია V ს-ის კითარების

გათვალისწინებით სწორი ჩანს და სიახლეა როგორც ქართული ეკლესიის ისტორიისათვის, ისე თვით ჭუანშერის ცნობათა გაგების საქმეში.

ქართველი ეკლესიის ისტორიის გაღმოცემისას მკვლევარი, რა თქმა უნდა, გვერდს ვერ აუგლის გახტანგ გორგასალასა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის მომხდარ კონფლიქტს. ამ საკითხს ეპისკოპოსმა ანანიამც მიაქცია ყურადღება (გვ.298, 300-301, 360) და იქვე საინტერესო მოსაზრება გამოთქვა - თუ რატომ დაწყევლა მიქაელმა ვახტანგის სპა (გვ.359). ავტორის თანახმად, ვახტანგი სამეფო ლაშქარზე დაყრდნობით ებრძოდა სიმღიდრით აღზესებულ მიქაელს და ამ უკანასკნელმა მეფეს ამიტომ დაუშეცვლა სპა. კონფლიქტის მიზეზთა კვლევისას ამ დეტალისათვის ყურადღება არავის მიუქცევია. ვფიქრობ, მოღებული დასკვნა საყურადღებოა.

როგორც ითქვა, სათანადო წყაროების მონაცემებისა და სამეცნიერო ლიტერატურაში (ი.ტროიცკი) გამოთქმულ მოსაზრებებზე (გვ.410) დაყრდნობით, მოციქულთა დროის საქართველოში შექმნილი ქრისტიანული თემები (აქედან გამომდინარე, ეკლესია) მონოგრაფიაში ავტოკეფალურად არის მიჩნეული (გვ.409-410). ავტორი თვლის, რომ, ქართლის ტახტზე ვახტანგის ასვლისას (V ს. 40-იანი წ.) საქართველოს ეკლესია ავტოკეფალური იყო, თუმცა იმპერიის ეკლესიასთანაც ურთიერთობა ჰქონდა(გვ.447-450). ალნიშნულიდან გამომდინარე, არ იზიარებს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ მოსაზრებას ავტოკეფალის მოპოვებამდე ანტიოქიის საპატრიარქოსადმი ქართული ეკლესიის მორჩილების შესახებ (გვ. 356-357, 361). იმ ხანად ანტიოქიის საპატრიარქო, რაღაც ბიზანტიის იმპერიის ეკლესიას წარმოადგენდა, ქართლში კი ირანი ბატონობდა , ვტორი თვლის, რომ ირანის ხელისუფლება არ დაუშვებდა ქართული ეკლესია იერარქიულ დამოკიდებულებაში ყოფილიყო მისი მოწინააღმდეგე იმპერიის ეკლესიისადმი.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალის საკითხი ამ კუთხით არ დასმულა, ამიტომ გამოთქმული მოსაზრება საყურადღებოა. როგორც ეპ. ანანია მიუთითებს, მართალია 381 წ. მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ ძლიერმა ეკლესიებმა დაიწყეს სუსტი ეკლესიების დამორჩილება, (კონტანსტინეპოლის ეკლესიამ ამ დროს გააუქმა პონტოს და ასიის ავტოკეფალიები) და ანტიოქიის ეკლესიის მიერ ქართულ ეკლესიაზე პრეტენზიის განცხადება მას ალნიშნული მოვლენის გამოხატულებად მიაჩინა. მაგრამ ანტიოქიის საპატრიარქოსადმი ქართული ეკლესიის იერარქიული დამოკიდებულების შესახებ, რაღაც ძველი ქართული წყაროებიც მიუთითებენ, უნდა დასაბუთდეს ქართულ წყაროთა ცნობების არარეალურაბა, ან მათი უცხოენოვანი წყაროებიდან წარმომავლობა.

საინტერესო ნაშრომის ის ნაწილი, რომელშიც მოცემულია ირანის მეშვეობით ქართულ ეკლესიაზე სომხური ეკლესიის ზემდგომობის დამყარების ცდა. როგორც ითქვა, ქართული ეკლესია V ს-ში უკვე ავტოკეფალური იყო, მაგრამ VI ს-დან ირანის დაწოლით შეიქმნა ქართულ-სომხურ ეკლესიათა ერთობა. ქალკედონიტური მრწამისი ქართლის სამეფოში მონოფიზიტობა მომძლავრდა (ვგ. 531-540). სწორედ ამ დროს ირანის ძალის საშუალებით სომხეთის ეკლესიამ შეძლო ძველი ალბანეთის ეკლესიის დამორჩილება და ლვოისმისაბურების ენად სომხურის დამკიდრება (ვგ. 486-487). სომხურმა ეკლესიამ გარკვეულ წარმატებას საქართველოშიც მიაღწია. მაგრამ ეპ. ანანიას მოსაზრების თანახმად, VI ს-ის შუაბანებში ქართლში შემოსულმა სირიელმა მამებმა გარკვეულწილად გაამყარეს ქალკედონიტობის პოზიციები (ვგ. 542-549,554,605).

ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდეა კამათი თუ რა ჩრდილისა უნდა ყოფილიყვნენ სირიელი მამები. აპ.ანანიას დასაბუთებული მსჯელობიდნ გამომდინარე, ისინი მართლაც შეიძლება ქალკედონიტები ყოფილიყვნენ.

ავტორი ფიქრობს, რომ VII ს-დან ქართულმა ეკლესიამ საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი სომხურ ეკლესიასთან და თავისი ასეთი სტატუსი 681 წელს I საეკლესიო კრების გადაწყვეტილ-ებებით დაიდასტურა.

განსაკუთრებით საინტერესოა ნაშრომის ის ნაწილი, რომელიც საქართველოს სამეფოს განაპირა მხარეების – ჰერეთის, ქვემო ქართლისა და ტაო-კლარჯეთის მოსახლეობის რელიგიურ ჩრდენასა და მათი გაქართველების საკითხს ეხება (გვ. 491-494, 499-500). მონოგრაფიაში ნაჩვენებია რომ მონოფიზიტური სომხეთის გავლენაში მოქცეული ამ მხარეების კვლავ ქართული სახელმწიფო იუბილების საზღვრებში დაბრუნებას თან სდევდა მოსახლეობის ქალკედონიტობაზე მოქცევა-გა-ქართველება (გვ.494). თუმცა, ისინი ეთნიკურად მანამდეც ქართველები იყვნენ, რომ სომხური ენა ამ ძევლი ქართული ტერიტორიების მოსახლეობისათვის მშობლიური კი არა, საეკლესიო იყო (გვ. 501,636). როგორც ავტორი მიუთითებს, სწორედ აღნიშნულით იყო განპირობებული, რომ ქართული ეროვნებისადმი კუთვნილების გამო, ჩვენს ეკლესიაში ეროვნულ-კულტურული ეკლესიის დამკვიდრებისათვის მებრძოლ კირიონს მონოფიზიტებიც ედგნენ მხარში (გვ. 625).

თავის დროზე ნ.მარის მიერ გამოთქმული ანტიმეცნიერული მოსაზრება, თითქოს VIII-IX საუკუნეებამდე ტაო-კლარჯეთის მოსახლეობა არაქართული იყო და ამ მხარეების ქართული კულ-ტურის ძეგლები სომხური ძეგლების ნანგრევებზე აშენდა, კ-კეკელიძემ და ი. აბულაძემ გაიზიარეს. მართალია, ნ. მარის თეორიის კრიტიკა ჭერ კიდევ პ.ა. ინგოროვავი მოგვცა, მაგრამ წინამდებარე ნაშრომში, რაღაც საქართველოს განაპირა მხარეების მოსახლეობის მრწამსზეც არის საუბარი, ეპ. ანანია ამ საკითხსაც შეეხო. აჩვენა ნ. მარის მოსაზრები უსაფუძვლობა (გვ.645, 860, 1063-1075) – რა მავნე შედეგები გამოიღო ნ. მარის თეორიამ, როგორ გამოიყენეს იგი ნ.ტოკარსკიმ, ა.იაკო-ბსონმა, ვ.მიხანკოვამ და სხვემბა ტაო-კლარჯეთის ძევლი ქართული არქიტექტურის ძეგლების არა-ქართულად გამოსაცხადებლად.

ჭერ კიდევ ნაშრომის დასაწყისში (გვ. 11) არის გამოთქმული სურვილი აღდგეს ქართული ეკლესიის ძევლი სახელწოდება და მას „საქართველოს სამოციქულო ეკლესია“ ეწოდოს. ნაშრომის მეორე ტომში მოსაზრების დასადასტურებლად დიდძალი და საინტერესო მასალაა მოტანილი. ნა-ჩვენებია, თუ რატომაა სომხური და ალბანური ეკლესიების მსგავსად ქართული ეკლესიაც სამოციქულო (გვ.717), საქართველოს ეკლესიების მამამთავრები მოციქულთა ტახტზე რომ სხედან (გვ.711). აქვე ნაჩვენებია, რომ „წმინდა კათოლიკე სამოციქულო ეკლესია სვეტიცხოველი“, ან მცხეთის სამოციქულო ეკლესია (გვ. 916-917) იწერებოდა.

ვთიქრობ, ნაშრომში საკმაო დამაჯერებლობითაა დასაბუთებული, რომ მირონი საქართველოში ქალკედონის მეოთხე მსოფლიო საკლესიო კრების (481 წწ.) დაღვენილების საფუძველზე იკურთხებოდა (გვ.818). ბერძნულენოვანი საბუთები ქართული რეალობის საწინააღმდეგოდ რომ მეტყველებენ, ავტორი ამას სამართლიანად ხსნის უცხოელთა ბატონობისაგან გაღარიბებული ანტიოქიისა და კონსტანტინოპოლის საპატიოარქების ფინანსური მდგომარეობის გაუარესებით. მათ ძევლ საბუთებში შესწორებანი შექმნდათ, რათა სხვა ეკლესიები აეძულებინათ მათთვის შესაწირი მიეცათ.

საინტერესო მასალაა მოტანილი მირონის კურთხევის წესის შესახებ. ნაჩვენებია რომ იგი VI ს-ში უნდა შეედგინათ (გვ.819), ხოლო VI მსოფლიო საეკლესიო კრებას (681 წ.) დაედასტურებინა (გვ. 830-831). უარყოფილია ბ.ლომინაძის მოსაზრება, თითქოს მირონის კურთხევა საქართველოში XI საუკუნეში დაწესდა.

მისაღები ჩანს გიორგი მერჩულეს თხზულების ტექსტის იმ ადგილის, რომელშიც საქართველოში მირონის კურთხევის დაწესებაზეა საუბარი, ქარაგმა „ა-ს“ გახსნა, აფხაზეთად (და არა აღმოსავლეთად, როგორც ეს დღესაა მიღებული). ქარაგმის ასეთი გახსნის შემდეგ ნათელი ხდება აფხაზეთის ეკლესიაში რატომ დაიწყეს იერუსალიმიდან მოტანილი მირონის მაგიერ მცხეთაში ნაკურთხი მირონის გამოყენება (გვ.832-834). იერუსალიმიდან მირონის მოტანა, როგორც მონოგრაფიაშია აღნიშნული, იმ ხანად მართლაც კონსტანტინეპოლში მიმდინარე ბრძოლებით იყო განვირობებული (გვ. 898-899, 902).

ნაშრომში სწორადაა მითითებული, რომ აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსება, დამოუკიდებელი აფხაზეთის სამეფოს წარმოქმნის შედეგი იყო. იქვე, სათანადო მასალის მოტანით, ნაჩვენებია აფხაზეთის საკათალიკოსო ერთიან ქართულ სახალმწიფოში რომ შედიოდა (გვ. 795,790, 793-794, 800). XI ს-ის საქართველოს ისტორიის გამოყენებისას მონოგრაფიაში კარგადაა ნაჩვენები ბიზანტიასა და საქართველოს შორის პოლიტიკური ვითერების გართულება როგორ მოქმდებდა ამ ქვეყნის საეკლესიო ურთიერთობაზე (გვ.911 და შემდეგი). როგორ და რა პირობებში მიიღო საქართველოს ეკლესიის მეთაურმა კათოლიკოს-პატრიარქის წოდება (გვ.915). აქვე საინტერესოდაა გაანაზილებული XI ს-ის საქართველოში შექმნილი ის კოთარება, რომელმაც განაპირობა აღრე სომხეთთან ეკლესიური სიახლოების დროს შექმნილი საეკლესიო ლიტერატურის ხელახალი რედაქტირება - ამჯერად უკვე ბერძნულთან დასახლოვებლად. ვიორგი და ექვთიმე მთაწმინდელების, ეფრემ მცირის როლი ამ საქმეში (გვ. 931, 1044). როგორც ევ. ანანია მიუთითებს, დასახელებულმა მოლვაწებმა, როგორც ზოგი მკვლევარი ფიქრობს, ხელახლა კი არ თარგმნეს სასულიერო ლიტერატურა ბერძნულიდან, არამედ უკვე თარგმნილს უდარებდნენ ბერძნულს, რათა მათში სომხურ ეკლესიათან სიახლოების კვალი აღმოეფხვრათ (გვ.933, 936-937). ამით ქართველმა მოლვაწეებმა ბერძნებს მოუსპეს საბაბი საქართველოს ეკლესია მწვალებლურ ეკლესიად გამოეცხადებინათ და უდიდესი როლი შეასრულებს ქართული ეკლესიის ძელთაგანვე არსებული ავტოკეფალიისა და საქართველოს საპატრიარქოს აღორძინების საქმეში (გვ.937).

საქართველოს საპატრიარქოს საზღვრების განხილვისას ნაჩვენებია, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთით ქართული ეკლესიის საზღვარი ხერსონისთან მდებარე კაფამდე აღწევდა (გვ. 981). აქვე მითითებულია ქართული ეკლესიის სამხრეთი და აღმოსავლეთი საზღვრები.

საინტერესოა ნაშრომის ის ნაწილი, რომელიც მსოფლიო დიპტიში საქართველოს ეკლესიის საკითხს შეეხება. სათანადო მასალა მოტანილი იმის საჩვენებლად, რომ საეკლესიო განხეთქილებამდე (1054 წ.) საქართველოს ეკლესიას იერუსალიმის ეკლესიის შემდეგ VI ადგილი ეჭირა. ავტორი აქვე ასაბუთებს, რომ დიპტიში ეს ადგილი 1054 წლის წინადრონიდელი საბუთებიდან მომდინარე ჩანს (გვ.1004-1011). მსოფლიო დიპტიში ქართულ ეკლესიას მართლაც ადგილი რომ ეკავა, ნაშრომში ამის დამადასტურებელ საბუთად მოტანილია 1438 წ. ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზე საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლის VI ადგილზე ჯდომა (გვ.1013-1014). ამ მხრივ მოტანილი მასალა, ვფიქრობ, იმდენად საინტერესო და დამახრებელია, რომ ნაშრომის ეს ნაწილი უქო ენაზეც უნდა გამოქვეყნდეს.

სათანადო დოკუმენტური მასალა მოტანილი ქართული ეკლესიის შინაგანი დიპტიშის ეპისკოპოსთა სხდომის საჩვენებლად (გვ.1025).

ნაშრომის ბოლოს გაანალიზებულია XVIII ს-ის საქართველოში შექმნილი რელიგიური ვითარება, როცა არაერთი ქართველი იძულებული შეიქმნა „სომხურ სარწმუნოებაზე“ (გრიგორი-ანელობა) გადასულიყო (გვ.1083-1095). ნაჩვენებია ანტონ კათალიკოსის დიდი როლი ქართველობის დაცვისათვის ბრძოლაში (გვ.1099-1100). უხვი მასალაა მოტანილი იმის საჩვენებლად, რომ გრიგორიანობაზე გადასული ქართველები თავის ეროვნებად ქართველობას ასახელებდნენ (გვ.1123-1135).


საბოლოოდ უნდა დავძინო: ევ.ანანიას ნაშრომში იმდენი საინტერესო საკითხია დასმული და გაანალიზებული, რომ ყველა მათგანის რეცენზიაში შეფასება შეუძლებელია, (რა თქმა უნდა ამას უპირველეს ყოვლისა ნაშრომის დიდი მოცულობა და მასში წამოჭრილი საკითხების სიმრავლე ართულებს). ჩვენს წინაშეა მეტად საინტერესო, ტიტანური შრომის შედეგად შექმნილი „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, რომელშიც ქართული ეკლესიის თვრამეტსაუკუნოვანი ისტორიის ზოგიერთი საკითხი შეიძლება საკამათოდაც მოვცეჩვნოს, მაგრამ ეს რომელიმე კონკრეტული საკითხის შესახებ ან ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული სხვადასხვა შეხედულებითაა გამოწვეული, ან საკითხის გარშემო არსებული საისტორიო წყაროთა სიმცირით. საერთოდ განხილული ნაშრომის შეფასებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ევ.ანანიას წიგნით ქართული ეკლესიის მონოგრაფიული შესწავლის საქმეში მხოლოდ პირველი ნაბიჯი იღვება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო უმნიშვნელო ტირაჟით გამოცემული საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის (ახალციხე, აბათი, 1983-88 წწ.) ხელმეორედ გამოქვეყნება სასურველ და გადაუღებელ საქმედ მიმართა, რაც მყარ საფუძველს შეუქმნის ქართველი ეკლესიის ისტორიის შემდგომ კვლევას.

ვახტანგ გოილაძე



გამოუჩინე, უფალო, სატცურებისა
დღეი მოხვდენითა ციხარულად, რო-
მელსა ზინა უოველი ერთობით პი-
გალობრ და მის მოხვდესა უფალსა.



გოლო ზანს შემოჩენილ გეზვენს,
შეალდიდობას ახლა მიზის ძვრანიც
დაირთო და პვლატ — გერამდენიდ! —
დაიდო საუკუნეებს გამოლაული
ჩვენი განხატებული ცული —
ქართველი კაცის ნაფიქრი და ნაჯაფი,
ნაზარი და ნამჟვენი...

ზემო იმერეთისა და რაჭის მრავალი
ააგანი დაინგრა...

ეგვესტელია აანთქა ცოცველი...

ჩამოიძვა არინის უმჯგნივრესი საუ-
დარი...

საჩხერის, ჭიათურის, საგანის, ჩიხის,
თერჯოლის, კაცენის ეპლესიანი...



იძრა ნიკორწმიდის გუგგათი...




ეგად და ღორღად ააშთა მრავალ-
რალის ტაძარი...





უსასოდგმნილ ხალხს მრთობით სა-
ქართველო აპოულება მხარში. ვინ —
პირით, ვინ — აგურით, ვინ — სახსრით
ეხმარება. ასაზენებელი — აშენებს, სა-
მკურნალოს — მკურნალობს, სატკ-
ვას — ტირისუფლობს...

სრულიად საქართველოს კათოლი-
კოს-პატრიარქმა, უმიდისება და უნიტ-
რესება ილია II მოიარა იავარქმნილი
ცოცველი, ნუგაზინი ცეკ უცუგებოს,
გაამცემა, ცლიქირი და ნივთიერი შე-
მჯონება მისცა, ლოცვა აღავლინა
უფლის მიმართ საქართველოს აღმგი-
ნებისა და გაძლიერებისათვის.









უფალო, მოხედვე ცხოვართა შენობა,
გიურიევი ლოდგანი ნებსითნი თუ უნის-
ლიეთნი, „მოხედვლი კართველს კართ-
ვლის ნდობა და სიცვარული და აღუდ-
გნებ მუნიციპალი ესი მამული!..“

სამკურნალო მცენარეები

ელენე ბარაშიძე

ნორდიკ 030 ვარდაჩაზა

Цикорий обыкновенный

Cichorium intybus

ვარკაჭაჭა მჩავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, აქვს გამსხვილებული, თითოსტარის მსგავსი ფესვი და სწორი, 30-150 სმ-ის სიმაღლის ღერო. ფესვთან მდებარე ფოთლები ფრთისებრ დაყოფილია, ღეროსთან - ლანცეტისებური, მსხვილებილანებიანი, ღეროსმომცველი; წვეროსთან - მთლიანბოლოებიანები. კალათები თითოდ ან ორ-სამაღაა განლაგებული. ყვავილები ცისფერია, იშვიათ თეთრი, უფრო იშვიათად ვარდისფერი.

ყვავილობს ივნის-აგვისტოში. იზრდება გზის პირას, თხრილებში, სამანებზე, ფერდობებზე. გავრცელებულია ყველგან. აგროვებენ მთლიანად მცენარეს, ყვავილობის დროს. ვარდკაჭაჭა ადამიანის ორგანიზმზე მოქმედებით იწვევს ნივთიერებათა ცვლის სტიმულაციას, აუმჯობესებს საჭმლის მონელებას.

მეცნიერული მედიცინა ამ მცენარეს არ იყენებს, ხალხურ მედიცინაში კი იხმარება კუჭნაწლავის ტრაქტის დავადებების, ლვიძლის ციროზის, ელენთის სიმსივნის სამკურნალოდ, მაგრამ იგი განსაკუთრებით ეფექტურია ლვიძლის დავადებათა სამკურნალოდ, განსაკუთრებით სიყვითლის დროს.

ნახარშის მოსამზადებლად იღებენ დაახლოებით 40,0 გრამ გამხმარ ვარდკაჭაჭას 1 ლიტრ წყალზე.

გარეგანი ხმარებისას ვარდკაჭაჭას ბალახს იყენებენ ეგზემების სამკურნალოდ - ფუფხის მოსაცილებლად და სხეულის ეგზემით დაავადებული ნაწილების გასაწმენდად. სელის ქსოვილს ასველებენ ვარდკაჭაჭას ნახარშში, იღებენ ეგზემიან ადგილზე, ვიღრე კანი ფუფხისგან არ გათავისუფლდება და დარჩება (უეპიდერმისოდ) ანთების ნიშნების გარეშე. ამ მიზნით ვარდკაჭაჭას ცხელ ნახარშში დებენ ვარდის ფურცლებსა და შვიტას ბალახს.

ეკროპაში გავრცელებულია ყავა, რომელსაც ხარშვისას ვარდკაჭაჭას წვრილად დაკრილ ფესვს უმატებენ. უხარისხო ან ძველი ჩაი ორგანიზმისთვის დიდად სასარგებლო იქნება, თუ დაკუმატებთ ლიმონ და თაფლშერეულ ვარდკაჭაჭას ნაყენს.

უგალობელით უფასა გაღობითა ახლითა

ქართველის სამკვირვე

ნოდარ გიგაშვილი

ლექსი ილია ჭავჭავაძე

Adagio religioso

Soprano (S):

Alto (A):
johor - 3gnub საბ - 53n8 - hngz. ქი - უნ - სოვა - გაგ

Tenor (T):

Bass (B):
johor - 3gnub საბ - 53n8 - hngz. ქი - უნ - სოვა - გაგ

Rehearsal marks: > > > >

Dynamic markings: <, ten, >, >, <, mf.

Lyrics (Georgian):
გა-ბა-გი-ბუ-გმ. ჩაბ - გენს ვა - ვა - ბას
გა-ბა-გი-ბუ-გმ. ჩაბ - გენს ვა - ვა - ბას
გა-ბა-გი-ბუ-გმ. ჩაბ - გენს ვა - ვა - ბას
გა-ბა-გი-ბუ-გმ. გა-ბა-გი-ბუ-გმ. გა-ბა-გი-ბუ-გმ.

Rehearsal marks: > > > >

Dynamic markings: <, ten, >, >, <, mf.

Lyrics (Georgian):
გა-ბა-გი-ბუ-გმ. გა-ბა-გი-ბუ-გმ. გა-ბა-გი-ბუ-გმ.

Rehearsal marks: > > > >

Dynamic markings: <, ten, >, >, <, mf.

Lyrics (Georgian):
გა-ბა-გი-ბუ-გმ. გა-ბა-გი-ბუ-გმ. გა-ბა-გი-ბუ-გმ.

A musical score for four voices in G major, 2/4 time. The vocal parts are arranged in four staves. The lyrics are written in a stylized, possibly non-standard script or a made-up language. The score includes several rests and dynamic markings like 'p' (piano) and 'f' (forte). Handwritten markings such as 's' (slur), 'v' (tie), and large black arrows indicate specific performance techniques. The lyrics are as follows:

Top staff:

mjan - mjan

azna tzh-lysh-sm

go

lo

Second staff:

mjan - mjan

azna tzh-lysh-sm

go

lo

Third staff:

s

v

az - ly - sm.

z - s - n - d - l

g - b - b - g - g

d - g - d - h

s

v

az - ly - sm.

z - s - n - d - l

g - b - b - g - g

d - g - d - h

Bottom staff:

d.

d.

d.

d.

v

ub - us

hm - z - s - l

w - z - s - n - s

l - b - z - s - l

hm - a - g - s - l

w - z - s - n - s

„Джвари Вазиса“ 3, 1991

В рубрике „Богословие“ печатается проповедь Григория Нисского о 67-ом псаломе для Вознесения. Здесь же представлена статья Екатерины Джикия, касающаяся догматической проблематики в сочинениях Василия Великого. Автор публикации отмечает, что в связи с этим вопросом особенно проявилось одаренность и энциклопедическая образованность Василия Великого. Цель составленного Григорием Дьяченко сборника „Уроки и образцы Христианской Веры“ состоит в помощи проповедникам богословия, учителям Закона Божьего и родителям в обучении Православного катехизиса, в религиозном и нравственном воспитании подростков.

Ознакомление с катехизисом, который направлен против сектантов, облегчит верующим определить свое отношение к разным еретическим религиям. Читатель с большим интересом прочтет статью Эвклида Коцхамазашвили - „Воспевайте с знанием“. В рубрике „Библия и Грузинская культура“ печатается статья Кетеаван Джапаридзе „Для символического осмыслиения иконостаса“. В настоящем номере журнала начинаем публикацию книги Маркоза Ткемаладзе „Тбилисский кафедральный храм Сиона“. В ней рассказывается история этой великолепной церкви, и о неоценимой сокровищнице, которой владел Сионский храм. Здесь же публикуется определение Церкви - выдержка из „Куртхевани“. Журнал представляет стихотворение Мери Бадриашвили „Молитва старухи“. Статья Марфы Тартарашвили рассказывает об открытии в Тбилиси еще одной церкви Святой Нино. Рецензия В. Гоиладзе о книге Епископа Анания Джапаридзе „История Грузинской Апостольской церкви“ печатается в журнале. Фитотерапевт Элене Барамидзе знакомит читателей с лечебными свойствами цикория.

3, 1991

Under the heading - THEOLOGY - we look through the preaching on the 67 th psalm for the Ascension, by Grigol Nosesly. Herewith the article written by Ekaterine Jikya, dealing with dogmatic problems in the works of Basily the Great, is printed. It is remarked that the great talent and encyclopedic education of Basily the Great particularly appeared on this problem. The purpose of the collection - The Lessons and Patterns Of Christian Faith, made up by Grigol Diachenko, is to help preachers of Theology, teachers of the Holy Scripture and parents in teaching the Orthodox catechism, in religious and ethical training of the young generation.

Looking through the Orthodox catechism against the sectarians will make it easier for the believers to form the right relations with the various heretic religions.

The reader will look through with great interest the article by Ekvtime Kochlamazashvili - "Praise Him With Love".

Under the heading - BIBLE AND THE GEORGIAN CULTURE, the article by Ketevan Japaridze "For Symbolic Comprehension of Iconostasis" is printed. The book written by Markoz Tkemaladze "Sioni Cathedral of Tbilisi", the printing of which is the present issue of the Journal, tells us about the history of this glorious cathedral and gives us the description of the invaluable treasury which was owned by the Sioni church fund.

Herewith we look through the explanation of the Church, picked up from Great Blessings.

The verse by Marry Badriashvili "The Prayer of an Old Woman" is printed in the journal.

The article by Martha Tartarashvili "The Renewal of the Georgian Church" tells us about the opening of one more church of St. Nino in Tbilisi.

The review by V. Goiladze, dealing with the book written by Bishop Ananya Japaridze - "History of the Georgian Apostolic Church", is printed in the journal.

The phytotherapist Elene Baramidze describes the medical qualities of "Cichorium Intibus".

შინაარსი

ლვთისმეტყველება	
გრიგოლ ნოხელი - ქადაგება 67-ე ფსალმუნზე ამაღლებისათვის	3
ეკა ჭიქა - დოგმატური პრობლემატიკა ბასილი დიდთან	6
„მწვალებელსა კაცსა განეშორე“	
სექტანტების საწინააღმდეგო კატეხიზმი	10
ექვთიმე კოჭლამაზაშვილი - „უგალობდით მას მეცნიერებით“	24
ქრისტიანული სარწმუნოების გაკვეთილები და ნიმუშები	35
ბიბლია და ქართული კულტურა	
ქეთევან ჭაფარიძე - კანკელის სიმბოლიკის გააზრებისათვის	41
დეკ. მარკოზ ტუემალაძე - თბილისის სიონის საკათედრო ტაძარი	48
მხატვრული სიტყვა	
შერი ბადრიაშვილი - ლედაბრის ლოცვა	57
განმარტება ეკლესიისა	58
წმიდა გზები	
მართა ტარტარაშვილი - გზა გზათა	60
წმიდა ნინოს სახელობის კიდევ ერთი ტაძარი თბილისში	63
ბიბლიოგრაფია	
ვასტანგ გოილაძე - ეპისკოპოს ანანია ჭაფარიძის „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“	64
სამკურნალო მცენარეები	
ელენე ბარაშიძე - ჩვეულებრივი ვარდკაჭაჭა	76
უგალობდით უფალსა გალობითა ახლითა	
ნოდარ გიგაური - ქართვლის სამკეიდროვ	77
რეზიუმე რუსულ ენაზე	79
რეზიუმე ინგლისური ენაზე	79

გარეუანზე:

I გვ-ზე — წმინდა ნინო. შიო მლვიმე, მე-17 ს.II ნაბ.
II გვ-ზე — ლაზარეს ალეგინება. მე-12 ს.

საგამომცემლო განცოდილების თავმჯდომარე თვისეკოვასი ზოსიმა (ზიოზვილი)
რედაქტორი დეკანი არჩილ გინდიავალი. პასუხისმგებელი მდივან ანდრო გედუაძე.

რედაქციის მისამართი:
სრულიად ხაქართველოს ხაპატრი რქმ. თბილისი, ერეკლეს მოედანი 1 ტელ. 98-26-34
ორიგინალ-მაკეტი და შრიფტები მომზადებულია კონკრეტულ ინფორმაცია გამოშეცვლისა
„ხაშთალოს“ სტამბაში. თბილისი, კონტაქტი 14. შეკვეთი 283. ტელ. 10000

DSVARI VAZISA (The Gross of Vine)

Georgian Patriarchate. Tbilisi 1, Erekle's square

ДЖВАРИ ВАЗИСА (Крест из лозы виноградной)
Грузинская патриархия Тбилиси, пл. Ираклия 1.

